მარტივი და ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების დრეკადობის და თერმოდრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანები

მარიამ მიქელაშვილი

სადოქტორო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ სვანაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადოქტორო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.



მარიამ მიქელაშვილი

ხელმოწერა და თარიღი 27.02.2023

მადლობა

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფ. მერაბ სვანაძეს გაწეული დახმარებისთვის. ძალიან დიდია მისი წვლილი ჩემს პროფესიულ ზრდაში და სადოქტორო ნაშრომის შექმნაში. ბედნიერი ვარ, რომ მასთან მუშაობის პატივი მხვდა წილად.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია დრეკადობისა და თერმოდრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიები მარტივი და ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალებისთვის, რომლებშიც ერთდროულადაა გათვალისწინებული დარსის კანონი და ფორების ფარდობითი მოცულობის ცვლილება. გამოკვლეულია ამ თეორიების მდგრადი რხევის შიგა და გარე ძირითადი სასაზღვრო ამოცანები. კერძოდ, თითოეულ თეორიაში მიღებულია შემდეგი შედეგები: ელემენტარული ფუნქციების საშუალებით აგებულია მდგრადი რხევის განტოლებათა სისტემის ფუნდამენტური ამონახსნი და დადგენილია მისი ძირითადი თვისებები, მიღებულია გრინის იგივეობები და დამტკიცებულია მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების რეგულარული (კლასიკური) ამონახსნების ერთადერთობის თეორემები, აგებულია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალები და მოყვანილია მათი ძირითადი თვისებები; ბოლოს, პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია აღნიშნული ამოცანების კლასიკური ამონახსნების არსებობის თეორემები.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: დრეკადობა, თერმოდრეკადობა, კვაზისტატიკა, ფოროვანი მასალები, სასაზღვრო ამოცანები, არსებობისა და ერთადერთობის თეორემები.

საგნობრივი კლასიფიკატორები MSC2020: 74F05, 74F10, 74G25, 74G30, 35E05.

Abstract

In this work, the coupled linear quasi-static theories of elasticity and thermoelasticity for materials with single and double porosities is considered which simultaneously takes into account Darcy's law and the change of volume fraction of pores. The basic internal and external boundary value problems of steady vibrations are investigated. Indeed, the following results are obtained in each theory: the fundamental solution of the system of steady vibration equations is constructed by means of elementary functions and its basic properties are presented; Green’s identities are obtained and the uniqueness theorems for the regular (classical) solutions of the boundary value problems of steady vibrations are proved, the surface and volume potentials are constructed and the basic properties of these potentials are given; finally, the existence theorems for classical solutions of the boundary value problems of steady vibrations are proved by means of the potential method and the theory of singular integral equations.

Key words: Elasticity, thermoelasticity, quasi-statics, porous materials, boundary value problems, existence and uniqueness theorems.

MSC2020: 74F05, 74F10, 74G25, 74G30, 35E05.

სარჩევი

თავი 1. შესავალი

1.1. ფოროვან სხეულთა მათემატიკური თეორიების მოკლე მიმოხილვა

მარტივი და ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების მექანიკური თვისებების პროგნოზირება, ას წელზე მეტია, უწყვეტ გარემოთა მექანიკის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ფოროვან გარემოთა მათემატიკური მოდელების აგება და მათი ინტენსიური კვლევა გამოწვეულია ფოროვანი მასალების ფართო გამოყენებით სამოქალაქო და გეოტექნიკურ ინჟინერიაში, ტექნოლოგიაში, ჰიდროლოგიასა და ბოლო წლებში, მედიცინასა და ბიოლოგიაში (იხ. [2, 17, 19, 21, 22, 33, 87] და იქვე მითითებული ლიტერატურა). ამასთანავე, როგორც ცნობილია, ასტროფიზიკური, გეოლოგიური და ბიოლოგიური სხეულები ძირითადად მიკროსტრუქტურის მქონე ფოროვანი მასალებია [18, 28, 60].

კლასიკური განმარტებით, მარტივი ფოროვნობის მქონე მასალებს მიეკუთვნება ის ფოროვანი სხეულები, რომელთა ფორების დიამეტრი 50-1000 ნმ (nm) დიაპაზონისაა და უწოდებენ მაკრო ფორებს. ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალებს გარდა მაკრო ფორებისა, გააჩნიათ უფრო მცირე ზომის ფორები, რომელთა დიამეტრი 2-50 ნმ დიაპაზონისაა და უწოდებენ მეზო ფორებს ან ბზარებს (დეტალებისთვის იხ. [85]).

ისტორიულად, პირველად აიგო მარტივი ფოროვნობის, ხოლო შემდეგ - ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების მათემატიკური მოდელები. კერძოდ, დღეისათვის აგებულია მრავალი თეორია, რომლებიც აღწერენ მარტივი და ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების მექანიკურ თვისებებს (მაგ., იხ. [2, 14, 17, 33] და იქვე მითითებული ლიტერატურა) და მათგან ყველაზე პოპულარულია დარსის კანონზე ან ფორების ფარდობითი მოცულობის კონცეფციაზე დაფუძნებული თეორიები. დღეისათვის ამ თეორიების ამოცანების გამოკვლევა აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

1941 წელს მ.ა. ბიოს [4] მიერ აიგო მარტივი ფოროვნობის მქონე მასალებისთვის ფოროდრეკადობის პირველი მათემატიკური მოდელი კვაზისტატიკის შემთხვევაში,

რომელიც ეფუძნება დარსის კანონს. ეს კანონი განსაზღვრავს ფორებში სითხის წნევის ცვლილების კანონზომიერებას. ამის გამო, ბიოს თეორიაში ძირითადი განტოლებათა სისტემა ჩაწერილია გადაადგილების ვექტორისა და სითხის წნევის ცვლილების მიმართ.

მარტივი ფოროვნობის მქონე მასალების ბიოს ფოროდრეკადობისა [4] და ფოროთერმოდრეკადობის [5] კლასიკური თეორიები დღეისათვის სრულყოფი-ლადაა გამოკვლეული. ამ თეორიებში მიღებული ძირითადი შედეგები და ისტორიული ინფორმაცია მოყვანილია [14, 17, 33, 55, 58, 86] მონოგრაფიებსა და მათში მითითებულ ლიტერატურაში. ფოროდრეკადობის განტოლებებთან დაკავშირებული ამოცანების ანალიზური ამონახსნების შესახებ ლიტერატურის ფართო მიმოხილვა მოცემულია [54] ნაშრომში.

მეორე მხრივ, 1979 წელს ჯ. ნუნზიატომ და ს. კოუინიმ [50] ფორების ფარდობითი მოცულობის კონცეფციის საფუძველზე ააგეს არაწრფივი მათემატიკური მოდელი მარტივი ფოროვნობის მქონე მასალებისთვის, ხოლო ამ მოდელის წრფივი ვერსია იგივე ავტორებმა შემოგვთავაზეს [20] სტატიაში. ნუნზიატო-კოუინის ამ მოდელებში განტოლებათა მთავარი სისტემა ჩაიწერა გადაადგილების ვექტორისა და ფორების ფარდობითი მოცულობის ცვლილების მიმართ. შემდეგ, დ. იეშანმა [35] ამავე კონცეფციაზე დაყრდნობით ააგო მარტივი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის წრფივი თეორია. ამასთანავე, ბოლო 40 წლის განმავლობაში ფარდობითი მოცულობის კონცეფციაზე დაფუძნებული აღნიშნული მოდელები განზოგადდა ამავე სტრუქტურის მქონე მასალებისათვის და [1, 27, 34, 51] ნაშრომებში აიგო სხვადასხვა მიკროსტრუქტურული თეორია. ამ მიმართულებით მიღებული ძირითადი შედეგები მოყვანილია [15, 36, 58] მონოგრაფიებში.

გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან პარალელურად მიმდინარეობდა მათემატიკური მოდელების აგება ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალებისთვის. კერძოდ, 1982 წელს რ. ვილსონმა და ე. აიფანტისმა [88] ააგეს ამავე სტრუქტურის მქონე დრეკადი მასალებისთვის დარსის კანონზე დაფუძნებული კვაზისტატიკის პირველი წრფივი თეორია. ამ თეორიის ძირითადი განტოლებები ჩაწერილია

გადაადგილების ვექტორის, ფორებსა და ბზარებში სითხის წნევების ცვლილებების მიმართ. ორგვარი ფოროვნობის მქონე დრეკადი და თერმოდრეკადი მასალების უფრო ზოგადი თეორიები აგებულია [3, 29, 40, 89] ნაშრომებში და სრულყოფილადაა გამოკვლეული [8, 9, 16, 30, 52, 53, 59, 61, 62, 65, 73-78, 82-84] სტატიებში.

უფრო მეტიც, ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობს დარსის კანონზე დაფუძნებული ახალი მათემატიკური მოდელების აგება და მათი შესწავლა სამგვარი და ოთხგვარი ფოროვნობის მქონე მასალებისთვის. ამ მიმართულებით მიღებული ძირითადი შედეგების ფართო მიმოხილვა მოცემულია ბ. სტრაუგანის [60] და მ. სვანაძის [66] მონოგრაფიებში.

2014 წელს დ. იეშანმა და რ. ქვინტანილამ [38] განაზოგადეს ნუნზიატო-კოუინის წრფივი თეორია (იხ. [20]) და ააგეს ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის წრფივი მათემატიკური მოდელი, რომელიც ეფუძნება ფორების ფარდობითი მოცულობის კონცეფციას. ამ ახალ თეორიაში დამოუკიდებელი ცვლადებია გადაადგილების ვექტორი, მასალის ტემპერატურის ცვლილება, ფორებისა და ბზარების ფარდობითი მოცულობების ცვლილებები. ბოლო წლებში მიმდინარეობს ამ თეორიის სხვადასხვა ამოცანის ინტენსიური შესწავლა. კერძოდ, ძირითადი სასაზღვრო ამოცანები გამოკვლეულია [25, 26, 37, 41, 42, 63, 64, 67, 81] სტატიებში.

ფარდობითი მოცულობის კონცეფციაზე დაფუძნებული ფოროვანი გარემოს ალტერნატიული თეორიები აგებულია [11, 12, 23, 24] შრომებში. დღეისათვის ეს თეორიები შესწავლილია სხვადასხვა მკვლევარის მიერ და ლიტერატურის ფართო სია მოყვანილია [21, 22] მონოგრაფიებში. ფარდობითი მოცულობის კონცეფციის ისტორიული განვითარების შესახებ (1894 წლიდან დაწყებული) საინტერესო მიმოხილვა მოცემულია [21] წიგნში და [10] სტატიაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი: ა) დარსის კანონზე დაფუძნებულ თეორიებში გათვალისწინებულია ფორებში სითხის წნევის ცვლილება, ხოლო ფორების ფარდობითი მოცულობის ცვლილება უგულებელყოფილია (ანუ სხეულის დეფორმაციისას ფორების მოცულობა უცვლელია); ბ) ფორების ფარდობითი

მოცულობის კონცეფციაზე დაფუძნებულ თეორიებში გათვალისწინებულია ფორების ფარდობითი მოცულობის ცვლილება, ხოლო სითხის წნევის ცვლილება უგულებელყოფილია (ანუ სხეულის დეფორმაციისას ფორებში სითხის წნევა უცვლელია).

ცხადია, როცა ფოროვანი სხეული განიცდის დეფორმაციას, მაშინ ერთდროულად ხდება როგორც ფორების მოცულობის ცვლილება, ასევე ფორებში სითხის წნევის ცვლილება. უფრო მეტი, თუ ამ სამი მექანიკური სიდიდიდან (სხეულის დეფორმაცია, სითხის წნევის ცვლილება და ფორების მოცულობის ცვლილება) იცვლება ერთ-ერთი, მაშინ მოსალოდნელია დანარჩენი ორი სიდიდის ცვლილებაც.

მაშასადამე, ფოროვან სხეულთა მექანიკაში აღნიშნული სამი მექანიკური სიდიდის ცვლილება ბმული პროცესია და უფრო ზუსტი მათემატიკური მოდელის აგებისას სამივე სიდიდის ცვლილება ერთდროულად უნდა იყოს გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, დარსის კანონისა და ფორების ფარდობითი მოცულობის კონცეფციის კომბინაცია იძლევა ფოროვანი მასალის მექანიკური თვისებების შესახებ უფრო ზუსტ და დეტალურ ინფორმაციას.

მეორე მხრივ, რადგან ფოროვანი მასალების მექანიკური თვისებები ბუნებით ბმულია, ამიტომ პრაქტიკულ ამოცანებში ვაწყდებით სხვადასხვა ბმულ პროცესებს, რომლებიც ფუნდამენტურ როლს თამაშობენ საინჟინრო და ბიოლოგიური ფოროვანი მასალების ფართო გამოყენებებში (დეტალებისთვის იხ. [45, 56, 57] და იქვე მითითებული ლიტერატურა). ცხადია, დარსის კანონისა და ფორების ფარდობითი მოცულობის კონცეფციის კომბინაციის საფუძველზე აგებული მოდელები გვაძლევს ფოროვანი სხეულების მექანიკური თვისებების უფრო დეტალურად აღწერის შესაძლებლობას. რის გამოც, ასეთი მოდელების აგება და მათი კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

აღნიშნული მექანიკური სიდიდეების ბმული პროცესის იდეა პირველად გამოყენებულ იქნა მ. სვანაძის მიერ [68, 69] შრომებში, რომლებშიც დარსის კანონისა და ფორების ფარდობითი მოცულობის კონცეფციის კომბინირებით აიგო

დრეკადობისა და თერმოდრეკადობის ბმული მათემატიკური მოდელები მარტივი ფოროვნობის მქონე მასალებისთვის. ახლახანს, შესაძლებელი გახდა ამ მოდელების განზოგადება. კერძოდ, აიგო დრეკადობისა და ბლანტი დრეკადობის ახალი ბმული მათემატიკური მოდელები ორგვარი და სამგვარი ფოროვნობის მქონე მასალებისთვის (იხ. [70-72, 79, 80]). შემდეგ, ამ მოდელების კვაზისტატიკის ამოცანები გამოკვლეულ იქნა [6, 7, 46-48] შრომებში.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება მარტივი და ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების დრეკადობისა და თერმოდრეკადობის ბმული წრფივი თეორიების კვაზისტატიკის მდგრადი რხევის ძირითადი სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევას. პოტენციალთა მეთოდი (სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი) და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორია კვლევის მთავარი საშუალებაა. მათემატიკურ ფიზიკასა და დრეკადობის კლასიკურ თეორიაში ამ მეთოდის განვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია შესაბამისად მოცემულია [31, 32, 39] და [13, 43, 44] მონოგრაფიებში, ხოლო მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორია მოყვანილია ს. მიხლინის [49] წიგნში.

1.2. ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია. იგი შედგება ექვსი თავისგან. პირველი თავის წინა პარაგრაფში გაკეთდა ფოროვან სხეულთა კლასიკური და თანამედროვე ძირითადი მათემატიკური თეორიების მოკლე მიმოხილვა, ხოლო მომდევნო პარაგრაფში მოყვანილია ის ძირითადი ცნებები და აღნიშვნები, რომლებიც შემდეგ თავებში ხშირად იქნება გამოყენებული.

მეორე თავი ეძღვნება მარტივი ფოროვნობის მქონე მასალების დრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანების გამოკვლევას და იგი შედგება 7 პარაგრაფისგან. პარაგრაფ 2.1-ში მოყვანილია ამ თეორიის მდგრადი რხევის ძირითადი განტოლებები. განტოლებათა მთავარი სისტემა ჩაწერილია

გადაადგილების ვექტორის, ფორების ფარდობითი მოცულობისა და ფორებში სითხის წნევის ცვლილებების მიმართ. პარაგრაფ 2.2-ში ელემენტარული ფუნქციების საშუალებით აგებულია ამ სისტემის ფუნდამენტური ამონახსნი და დადგენილია მისი ძირითადი თვისებები. პარაგრაფ 2.3-ში ჩამოყალიბებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანები. პარაგრაფ 2.4-ში მიღებულია გრინის ფორმულები (იგივეობები) და მომდევნო პარაგრაფში დამტკიცებულია ამ ამოცანების ერთადერთობის თეორემები. პარაგრაფ 2.6-ში აგებულია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალები და დადგენილია მათი ძირითადი თვისებები. ბოლოს, პარაგრაფ 2.7-ში, პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების კლასიკური ამონახსნების არსებობის თეორემები. ამ თავის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია [46] ნაშრომში.

მესამე თავში გამოკვლეულია მარტივი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანები და იგი შედგება 7 პარაგრაფისგან. პარაგრაფ 3.1-ში მოყვანილია ამ თეორიის მდგრადი რხევის ძირითადი განტოლებები. განტოლებათა მთავარი სისტემა ჩაწერილია გადაადგილების ვექტორის, ტემპერატურის, ფორების ფარდობითი მოცულობისა და ფორებში წნევის ცვლილებების მიმართ. პარაგრაფ 3.2-ში ელემენტარული ფუნქციების საშუალებით აგებულია ამ სისტემის ფუნდამენტური ამონახსნი და დადგენილია მისი ძირითადი თვისებები. პარაგრაფ 3.3-ში ჩამოყალიბებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანები. პარაგრაფ 3.4-ში მიღებულია გრინის ფორმულები და მომდევნო პარაგრაფში დამტკიცებულია ამ ამოცანების ერთადერთობის თეორემები. პარაგრაფ 3.6-ში აგებულია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალები და დადგენილია მათი ძირითადი თვისებები. ბოლოს, პარაგრაფ 3.7-ში, პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების კლასიკური ამონახსნების არსებობის თეორემები. ამ თავის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია [47] ნაშრომში.

მეოთხე თავი ეძღვნება ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების დრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანების გამოკვლევას და იგი შედგება 6 პარაგრაფისაგან. პარაგრაფ 4.1-ში მოყვანილია ამ თეორიის მდგრადი რხევის ძირითადი განტოლებები. განტოლებათა მთავარი სისტემა ჩაწერილია გადაადგილების ვექტორის, ფორებისა და ბზარების ფარდობითი მოცულობების, ფორებსა და ბზარებში სითხის წნევების ცვლილებების მიმართ. პარაგრაფ 4.2-ში ჩამოყალიბებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანები. პარაგრაფ 4.3-ში მიღებულია გრინის ფორმულები და დამტკიცებულია ამ ამოცანების ერთადერთობის თეორემები. პარაგრაფ 4.4-ში ელემენტარული ფუნქციების საშუალებით აგებულია ამ სისტემის ფუნდამენტური ამონახსნი და დადგენილია მისი ძირითადი თვისებები. პარაგრაფ 4.5-ში აგებულია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალები და დადგენილია მათი ძირითადი თვისებები. ბოლოს, პარაგრაფ 4.6-ში, დამტკიცებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების კლასიკური ამონახსნების არსებობის თეორემები. ამ თავის ძირითადი შედეგები იბეჭდება [48] ნაშრომში.

მეხუთე თავში გამოკვლეულია ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანები და იგი შედგება 6 პარაგრაფისაგან. პარაგრაფ 5.1-ში მოყვანილია ამ თეორიის მდგრადი რხევის ძირითადი განტოლებები. განტოლებათა მთავარი სისტემა ჩაწერილია გადაადგილების ვექტორის, ტემპერატურის, ფორებისა და ბზარების ფარდობითი მოცულობების, ფორებსა და ბზარებში სითხის წნევების ცვლილებების მიმართ. პარაგრაფ 5.2-ში ჩამოყალიბებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანები. პარაგრაფ 5.3-ში მიღებულია გრინის ფორმულები და დამტკიცებულია ამ ამოცანების ერთადერთობის თეორემები. პარაგრაფ 5.4-ში ელემენტარული ფუნქციების საშუალებით აგებულია მდგრადი რხევის განტოლებათა სისტემის ფუნდამენტური ამონახსნი და დადგენილია მისი ძირითადი თვისებები. პარაგრაფ 5.5-ში აგებულია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალები და დადგენილია მათი ძირითადი თვისებები. პარაგრაფ 5.6-ში

დამტკიცებულია ამ თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების კლასიკური ამონახსნების არსებობის თეორემები.

მეექვსე თავში შეჯამებულია სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგები და მოყვანილია ამ შედეგების საფუძველზე მომავალი კვლევის შესაძლებლობები.

ბოლოს, სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რომელიც შედგება 89 დასახელებისგან.

1.3. ძირითადი აღნიშვნები

ამ პარაგრაფში მოვიყვანთ იმ ძირითად ცნებებს და აღნიშვნებს, რომლებიც შემდეგში ხშირად იქნება გამოყენებული.

ვთქვათ, $\mathbf{x} = (x_1, x_2, x_3)$ ევკლიდეს სამგანზომილებიანი $\mathbb{R}^3$ სივრცის წერტილია, ხოლო t დროის პარამეტრია, $t \geq 0$. ვიგულისხმოთ, რომ ფოროვან სხეულს უჭირავს $\mathbb{R}^3$ სივრცის რაიმე არე. შემდეგში განვიხილავთ მარტივი და ორგვარი ფოროვნობის მქონე დრეკად სხეულებს, რომელთა ჩონჩხი იზოტროპული და ერთგვაროვანი მასალაა λ და μ ლამეს მუდმივებით და ρ სიმკვრივით, $\rho > 0$; შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ მარტივი ფოროვნობის შემთხვევაში სხეულს გააჩნია მაკრო მასშტაბის ზომის ფორები. ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალებს აქვთ როგორც მაკრო, ასევე მეზო (ან მიკრო) მასშტაბის ზომის ფორები, რომლებსაც ხშირად ბზარებს უწოდებენ. ამასთანავე, ფორები შევსებულია სითხით ან გაზით.

ნაშრომში გამოვიყენებთ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ შემდეგ აღნიშვნებს: მუქი ფერის ლათინური ასოებით აღვნიშნავთ ვექტორებსა და მატრიცებს, ფუნქციის ზემოთ წერტილი კი ნიშნავს წარმოებულს t დროის მიმართ, ხოლო მძიმის შემდეგ ინდექსი ნიშნავს კერძო წარმოებულს შესაბამისი კოორდინატით. ამასთანავე, ლათინური და ბერძნული განმეორებითი ინდექსები შესაბამისად აღნიშნავენ ჯამს 1-დან 3-მდე და 1-დან 2-მდე.

შემდეგში, ∇ და Δ სიმბოლოებით შესაბამისად აღნიშნული იქნება გრადიენტისა და ლაპლასის ოპერატორები, ე.ი.

$$\nabla = \mathbf{D_x} = \left(\frac{\partial}{\partial x_1}, \frac{\partial}{\partial x_2}, \frac{\partial}{\partial x_3}\right), \qquad \Delta = \frac{\partial^2}{\partial x_1^2} + \frac{\partial^2}{\partial x_2^2} + \frac{\partial^2}{\partial x_3^2}.$$

ამასთანავე, $\delta(\mathbf{x})$ და δ_{lj} სიმბოლოებით შესაბამისად აღვნიშნავთ დირაკის დელტას და კრონეკერის სიმბოლოს, ხოლო $\mathbf{J}_m = (\delta_{lj})_{m\times m}$ აღნიშნავს ერთეულოვან მატრიცას, სადაც m ნატურალური რიცხვია.

ორი ვექტორის $\mathbf{U} = (U_1, U_2, \dots, U_l)$ და $\mathbf{U}' = (U_1{}', U_2{}', \dots, U_l{}')$ სკალარული ნამრავლი აღვნიშნოთ $\mathbf{U} \cdot \mathbf{U}'$ სიმბოლოთი, სადაც

$$\mathbf{U} \cdot \mathbf{U}' = \sum_{j=1}^{l} U_j \overline{U_j'}$$

და $\overline{U_j'}$ არის U_j'-ის კომპლექსურად შეუღლებული ($l = 1,2,\cdots$). როცა $l = 3$, მაშინ ამ ვექტორების ვექტორული ნამრავლი აღვნიშნოთ $\mathbf{U} \times \mathbf{U}'$ სიმბოლოთი. სივრცის $\mathbf{x}$ წერტილზე და t დროზე დამოკიდებულ ფუნქციებს (ვექტორებს, მატრიცებს) აღვნიშნავთ $\widehat{\ }$ (ქუდი) სიმბოლოთი.

შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ Ω^+ არის $\mathbb{R}^3$-ის შემოსაზღვრული არე, რომლის საზღვარია S გლუვი ზედაპირი, $\overline{\Omega^+} = \Omega^+ \cup S$, ცხადია, $\Omega^- = \mathbb{R}^3 \setminus \overline{\Omega^+}$ უსასრულო არეა S საზღვრით, $\overline{\Omega^-} = \Omega^- \cup S$. ამასთანავე, $\mathbf{n}(\mathbf{z})$-ით აღვნიშნოთ S ზედაპირის $\mathbf{z}$ წერტილში გავლებული გარე (Ω^+-ის მიმართ) ერთეულოვანი ნორმალი, ხოლო $\frac{\partial}{\partial \mathbf{n}}$ არის წარმოებული $\mathbf{n}$ ვექტორის მიმართულებით.

ვთქვათ, $\hat{\mathbf{u}}(\mathbf{x}, t)$ დრეკადი ფოროვანი სხეულის ჩონჩხის $\mathbf{x}$ წერტილის გადაადგილების სამკომპონენტიანი ვექტორია დროის t მომენტში, $\hat{\mathbf{u}} = (\hat{u}_1, \hat{u}_2, \hat{u}_3)$. $\hat{\theta}(\mathbf{x}, t)$ ფუნქცია ფოროვანი სხეულის თავდაპირველი T_0 ტემპერატურის ცვლილებაა, $T_0 > 0$; $\hat{t}_{lj}(l, j = 1,2,3)$ ძაბვის ტენზორის კომპონენტია, $\hat{\mathbf{F}}' = (\hat{F}_1', \hat{F}_2', \hat{F}_3')$ მოცულობითი ძალაა, μ' და ρ_1 შესაბამისად სითხის სიბლანტე და სიმკვრივეა.

მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულის ფორების ფარდობითი მოცულობის ცვლილება აღვნიშნოთ $\hat{\varphi}(\mathbf{x}, t)$-ით, ხოლო ამ ფორებში სითხის წნევის ცვლილება $\hat{p}(\mathbf{x}, t)$ -ით. შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ $\hat{\sigma}_j$ $(j = 1,2,3)$ ფოროვანი სხეულის

მაწონასწორებელი ძალის კომპონენტია, $\hat{\mathbf{v}} = (\hat{v}_1, \hat{v}_2, \hat{v}_3)$ სითხის ნაკადის ვექტორია, $\hat{s}_1$ სხეულის გარე მაწონასწორებელი მოცულობითი ძალაა, ხოლო $\hat{\mathbf{s}}_2$ სითხის გარე ძალაა ფოროვანი ფაზისთვის, κ' ფოროვანი სხეულის შიგა მაკროსკოპული გამტარიანობაა.

ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულის ფორებისა და ბზარების ფარდობითი მოცულობების ცვლილებები შესაბამისად აღვნიშნოთ $\hat{\varphi}_1(\mathbf{x}, t)$ და $\hat{\varphi}_2(\mathbf{x}, t)$-ით, ხოლო ამ ფორებსა და ბზარებში სითხის წნევების ცვლილებები - $\hat{p}_1(\mathbf{x}, t)$ და $\hat{p}_2(\mathbf{x}, t)$ -ით.

თავი 2. მარტივი ფოროვნობის მქონე მასალების დრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანები

2.1. ძირითადი განტოლებები

მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის განტოლებები ეფუძნება ერთმანეთთან დაკავშირებულ ოთხი ტიპის თანაფარდობებს, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით [46]:

1. **წონასწორობის განტოლებები**

$$\hat{t}_{lj,j} = -\rho \widehat{F}_l', \qquad \hat{\sigma}_{j,j} + \hat{\xi}_1 = -\rho \hat{s}_1, \qquad l = 1,2,3, \tag{2.1}$$

სადაც $\hat{\xi}$ ფუნქცია სხეულის შიდა წონასწორობის ძალაა, რომელიც განსაზღვრულია შემდეგი სახით

$$\hat{\xi}_1 = -b\hat{e}_{rr} - \alpha_1 \hat{\varphi} + m\hat{p}, \tag{2.2}$$

$\hat{e}_{lj}$ ძაბვის ტენზორის კომპონენტია, რომელიც მოიცემა ფორმულით

$$\hat{e}_{lj} = \frac{1}{2}\left(\hat{u}_{l,j} + \hat{u}_{j,l}\right). \tag{2.3}$$

2. **ძირითადი განტოლებები**

$$\hat{t}_{lj} = 2\mu\hat{e}_{lj} + \lambda\hat{e}_{rr}\delta_{lj} + (b\hat{\varphi} - \beta\hat{p})\delta_{lj},$$
$$\hat{\sigma}_l = \alpha\hat{\varphi}_{,l}, \qquad l,j = 1,2,3, \tag{2.4}$$

სადაც β ეფექტური ძაბვის პარამეტრია, ხოლო b, m, α და α_1 მასალის ძირითადი მუდმივებია.

3. **სითხის მასის შენახვის განტოლება**

$$\hat{v}_{j,j} + a\dot{\hat{p}} + \beta\dot{\hat{e}}_{rr} + m\dot{\hat{\varphi}} = 0, \tag{2.5}$$

სადაც a ფორების კუმშვადობის განმსაზღვრელი სიდიდეა.

4. **დარსის კანონი**

$$\hat{\mathbf{v}} = -\frac{\kappa'}{\mu'}\nabla\hat{p} - \rho_1\hat{\mathbf{s}}_2. \tag{2.6}$$

გავითვალისწინოთ (2.2)-(2.4) და (2.6) ტოლობები (2.1) და (2.5) თანაფარდობებში. ცხადია, მივიღებთ მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის განტოლებათა შემდეგ

სისტემას ჩაწერილს $\hat{\mathbf{u}}$ გადაადგილების ვექტორის, $\hat{\varphi}$ ფორების ფარდობითი მოცულობისა და $\hat{p}$ სითხის წნევის ცვლილებების მიმართ

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\hat{\mathbf{u}} + (\lambda+\mu)\nabla \mathrm{div}\,\hat{\mathbf{u}} + b\nabla\hat{\varphi} - \beta\nabla\hat{p} = -\rho\hat{\mathbf{F}}',\\
&\alpha\Delta\hat{\varphi} - \alpha_1\hat{\varphi} - b\,\mathrm{div}\,\hat{\mathbf{u}} + m\hat{p} = -\rho\hat{s}_1,\\
&k\Delta\hat{p} - a\dot{\hat{p}} - \beta\,\mathrm{div}\,\dot{\hat{\mathbf{u}}} - m\dot{\hat{\varphi}} = -\rho_1\mathrm{div}\,\hat{\mathbf{s}}_2,
\end{aligned} \tag{2.7}$$

სადაც $k = \frac{\kappa'}{\mu'}$.

თუ $\hat{\mathbf{u}}$, $\hat{\varphi}$, $\hat{p}$, $\hat{\mathbf{F}}'$, $\hat{s}_1$ და $\hat{\mathbf{s}}_2$ ფუნქციები დროის პარამეტრზე ჰარმონიულადაა დამოკიდებული, მაშინ გვაქვს

$$\{\hat{\mathbf{u}}, \hat{\varphi}, \hat{p}, \hat{\mathbf{F}}', \hat{s}_1, \hat{\mathbf{s}}_2\}(\mathbf{x}, t) = \mathrm{Re}\big[\{\mathbf{u}, \varphi, p, \mathbf{F}', s_1, \mathbf{s_2}\}(\mathbf{x})e^{-i\omega t}\big].$$

ამ თანაფარდობის ძალით (2.7)-დან მივიღებთ მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის მდგრადი რხევის განტოლებათა სისტემას

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla \mathrm{div}\,\mathbf{u} + b\nabla\varphi - \beta\nabla p = -\rho\mathbf{F}',\\
&(\alpha\Delta - \alpha_1)\varphi - b\,\mathrm{div}\,\mathbf{u} + mp = -\rho s_1,\\
&(k\Delta + i\omega a)p + i\omega(\beta\,\mathrm{div}\,\mathbf{u} + m\varphi) = -\rho_1\mathrm{div}\,\mathbf{s}_2,
\end{aligned} \tag{2.8}$$

სადაც ω რხევის სიხშირეა, $\omega > 0$.

შემოვიღოთ მეორე რიგის მუდმივკოეფიციენტებიანი მატრიცულ დიფერენციალური ოპერატორი:

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x}) = \big(M_{lj}(\mathbf{D_x})\big)_{5\times 5}, \quad M_{lj} = \mu\Delta\delta_{lj} + (\lambda+\mu)\frac{\partial^2}{\partial x_l \partial x_j},$$

$$M_{l4} = -M_{4l} = b\frac{\partial}{\partial x_l}, \quad M_{l5} = -\beta\frac{\partial}{\partial x_l}, \quad M_{44} = \alpha\Delta - \alpha_1,$$

$$M_{45} = m, \quad M_{5l} = i\omega\beta\,\frac{\partial}{\partial x_l}, \quad M_{54} = i\omega m, \quad M_{55} = k\Delta + i\omega a,$$

$$l, j = 1,2,3.$$

ცხადია, (2.8) სისტემა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{F}(\mathbf{x}), \tag{2.9}$$

სადაც $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi, p)$ და $\mathbf{F} = (-\rho\mathbf{F}', -\rho s_1, -\rho_2\mathrm{div}\,\mathbf{s}_2)$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია და $\mathbf{x} \in \mathbb{R}^3$.

2.2. ფუნდამენტური ამონახსნი

ამ თავში ვიგულისხმოთ, რომ მარტივი ფოროვნობის მქონე მასალის ძირითადი მუდმივები აკმაყოფილებენ პირობებს

$$\mu > 0, \quad 3\lambda + 2\mu > 0, \quad (3\lambda + 2\mu)\alpha_1 - 3b^2 > 0,$$
$$k > 0, \quad a > 0, \quad \alpha > 0. \tag{2.10}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\mu_0 = \lambda + 2\mu, \quad a_1 = \mu_0\alpha_1 - b^2, \quad a_2 = \mu_0 m^2 - 2bm\beta + \alpha_1\beta^2,$$
$$a_3 = \mu_0 a + \beta^2, \quad a_4 = \mu_0 m - b\beta. \tag{2.11}$$

მაშინ (2.10) და (2.11)-დან გვაქვს

$$\mu_0 > 0, \quad a_1 > 0, \quad \alpha_1 > 0, \quad a_2 \geq 0, \quad a_3 > 0,$$
$$a_4^2 = \mu_0 a_2 - \beta^2 a_1 = \mu_0(aa_1 + a_2) - a_1 a_3, \quad aa_1 + a_2 > 0. \tag{2.12}$$

სამართლიანია შემდეგი ლემა.

ლემა 2.1. თუ ξ_1 და ξ_2 არის

$$\alpha k \mu_0 \xi^2 - (i\omega\alpha a_3 - k a_1)\xi - i\omega(aa_1 + a_2) = 0 \tag{2.13}$$

კვადრატული განტოლების ფესვები ξ-ის მიმართ, მაშინ

ა) $\xi_l \neq 0 \ (l = 1\,, 2)$;

ბ) $\xi_1 \neq \xi_2$;

გ) $\operatorname{Im} \xi_l \neq 0 \ (l = 1\,, 2)$, როცა $a_4 \neq 0$;

დ) $\xi_1 = -\dfrac{a_1}{\alpha\mu_0} < 0, \quad \xi_2 = \dfrac{i\omega a_3}{k\mu_0}$, როცა $a_4 = 0$.

დამტკიცება. (2.12)-ის ბოლო უტოლობიდან გვაქვს ა) თვისების სამართლიანობა. ასევე, (2.13) განტოლების $\mathcal{D}$ დისკრიმინანტი შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი ფორმულით

$$\mathcal{D} = k^2 a_1^2 - \omega^2\alpha^2 a_3^2 - 2i\omega\alpha k[2\mu_0(aa_1 + a_2) - a_1 a_3].$$

რადგან

$$2\mu_0(aa_1 + a_2) - a_1 a_3 = 2a_4^2 + a_1 a_3 > 0.$$

ამიტომ $\mathcal{D} \neq 0$, ე.ი. გვაქვს ბ) შემთხვევის სამართლიანობა.

ვთქვათ, ξ_0 არის (2.13) განტოლების ნამდვილი ფესვი. მაშინ აღნიშნული განტოლების ნამდვილი და წარმოსახვითი ნაწილების განცალებით მივიღებთ შემდეგ სისტემას

$$\alpha\mu_0\xi_0 + a_1 = 0, \qquad \alpha a_3\xi_0 + a a_1 + a_2 = 0. \tag{2.14}$$

(2.14)-დან შეგვიძლია შევამოწმოთ, რომ $\mu_0(a a_1 + a_2) - a_1 a_3 = 0$. თუ გავითვალისწინებთ (2.12)-ს, მივიღებთ $a_4 = 0$.

მაშასადამე, თუ $a_4 \neq 0$, მაშინ გვაქვს გ) შემთხვევის სამართლიანობა, ხოლო თუ $a_4 = 0$, მაშინ (2.12) და (2.13) თანაფარდობებიდან მივიღებთ დ) შემთხვევის სამართლიანობას. ■

განმარტება 2.1. $\mathbf{G}(\mathbf{x}) = \left(G_{lj}(\mathbf{x})\right)_{5\times5}$ მატრიცას ეწოდება (2.8) განტოლების ფუნდამენტური ამონახსნი, თუ განზოგადებულ ფუნქციათა კლასში იგი აკმაყოფილებს შემდეგ განტოლებას

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{G}(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x})\mathbf{J}_5,$$

სადაც $\mathbf{x} \in \mathbb{R}^3$.

ავაგოთ $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცა შემდეგი მეთოდით. პირველ რიგში განვიხილოთ განტოლებათა არაერთგვაროვანი სისტემა

$$\begin{aligned} &\mu\Delta\boldsymbol{u} + (\lambda+\mu)\nabla\mathrm{div}\mathbf{u} - b\nabla\varphi + i\omega\beta\nabla p = \boldsymbol{\mathcal{F}}', \\ &(\alpha\Delta - \alpha_1)\varphi + b\,\mathrm{div}\mathbf{u} + i\omega m p = \mathcal{F}_4, \\ &(k\Delta + i\omega a)p - \beta\,\mathrm{div}\mathbf{u} + m\varphi = \mathcal{F}_5, \end{aligned} \tag{2.15}$$

სადაც $\mathcal{F}_l$ $(l = 1,2,3,4,5)$ გლუვი ფუნქციებია $\mathbb{R}^3$-ში, $\boldsymbol{\mathcal{F}}' = (\mathcal{F}_1, \mathcal{F}_2, \mathcal{F}_3)$. მაშინ, (2.15) სისტემა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\mathbf{M}^{\mathrm{T}}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) = \boldsymbol{\mathcal{F}}(\mathbf{x}), \tag{2.16}$$

სადაც $\mathbf{M}^{\mathrm{T}}$ არის $\mathbf{M}$ მატრიცის ტრანსპონირებული, $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi, p)$, $\boldsymbol{\mathcal{F}} = (\boldsymbol{\mathcal{F}}', \mathcal{F}_4, \mathcal{F}_5)$.

ვიმოქმედოთ (2.15) სისტემის პირველ ტოლობაზე div ოპერატორით. რის შედეგადაც მივიღებთ განტოლებათა შემდეგ სისტემას

$$\begin{aligned} &\mu_0\Delta\mathrm{div}\mathbf{u} - b\Delta\varphi + i\omega\beta\Delta p = \mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}', \\ &b\,\mathrm{div}\mathbf{u} + (\alpha\Delta - \alpha_1)\varphi + i\omega m p = \mathcal{F}_4, \\ &-\beta\,\mathrm{div}\mathbf{u} + m\varphi + (k\Delta + i\omega a)p = \mathcal{F}_5. \end{aligned} \tag{2.17}$$

ჩავწეროთ (2.17) სისტემა შემდეგი სახით

$$\mathbf{A}(\Delta)\mathbf{V} = \mathbf{\Phi}, \tag{2.18}$$

სადაც $\mathbf{V} = (\mathrm{div}\mathbf{u}, \varphi, p) = (V_1, V_2, V_3)$, $\mathbf{\Phi} = (\mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}', \mathcal{F}_4, \mathcal{F}_5) = (\Phi_1, \Phi_2, \Phi_3)$ და

$$\mathbf{A}(\Delta) = \left(A_{lj}(\Delta)\right)_{3\times 3} = \begin{pmatrix} \mu_0\Delta & -b\Delta & i\omega\beta\Delta \\ b & \alpha\Delta - \alpha_1 & i\omega m \\ -\beta & m & k\Delta + i\omega a \end{pmatrix}_{3\times 3}.$$

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\Lambda_1(\Delta) = \frac{1}{\alpha k \mu_0}\det \mathbf{A}(\Delta) = \Delta(\Delta + \lambda_1^2)(\Delta + \lambda_2^2), \tag{2.19}$$

სადაც λ_1^2 და λ_2^2 არის (2.13) განტოლების ფესვები (ξ-ის მიმართ). ლემა 2.1-ის ძალით, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ $\mathrm{Im}\lambda_l > 0$ ($l = 1, 2$).

ადვილად ჩანს, რომ (2.18)-დან შეგვიძლია დავწეროთ

$$\Lambda_1(\Delta)\mathrm{div}\mathbf{u} = \Psi_1, \qquad \Lambda_1(\Delta)\varphi = \Psi_2, \qquad \Lambda_1(\Delta)p = \Psi_3, \tag{2.20}$$

სადაც

$$\Psi_l = \frac{1}{\alpha k \mu_0} A_{jl}^* \Phi_j, \qquad l = 1, 2, 3 \tag{2.21}$$

და A_{jl}^* არის $\mathbf{A}$ მატრიცის A_{jl} ელემენტის ალგებრული დამატება.

ვიმოქმედოთ $\Lambda_1(\Delta)$ ოპერატორით (2.15) სისტემის პირველ ტოლობაზე და გამოვიყენოთ (2.20) თანაფარდობები. მივიღებთ შემდეგ ტოლობას

$$\Lambda_2\mathbf{u} = \widetilde{\mathbf{\Psi}}, \tag{2.22}$$

სადაც $\Lambda_2(\Delta) = \Delta\Lambda_1(\Delta)$ და

$$\widetilde{\mathbf{\Psi}} = \frac{1}{\mu}\Lambda_1\boldsymbol{\mathcal{F}}' - \frac{1}{\mu}\nabla[(\lambda + \mu)\Psi_1 - b\Psi_2 + i\omega\beta\Psi_3]. \tag{2.23}$$

ცხადია, (2.20) და (2.22)-ის ძალით გვაქვს

$$\mathbf{\Lambda}(\Delta)\mathbf{U} = \mathbf{\Psi}, \tag{2.24}$$

სადაც $\mathbf{\Psi} = (\widetilde{\mathbf{\Psi}}, \Psi_2, \Psi_3)$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა და

$$\mathbf{\Lambda} = (\Lambda_{lj})_{5\times 5}, \qquad \Lambda_{11} = \Lambda_{22} = \Lambda_{33} = \Lambda_2, \qquad \Lambda_{44} = \Lambda_{55} = \Lambda_1,$$

$$\Lambda_{lj} = 0, \qquad l \neq j, \qquad l, j = 1, 2, \ldots, 5. \tag{2.25}$$

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნა

$$m_{l1} = -\frac{1}{\alpha k \mu \mu_0}[(\lambda + \mu)A_{l1}^* - bA_{l2}^* + i\omega\beta A_{l3}^*],$$

$$m_{lj} = \frac{1}{\alpha k \mu} A_{lj}^*, \qquad l = 1, 2, 3, \qquad j = 2, 3. \tag{2.26}$$

თუ გავითვალისწინებთ (2.26)-ს (2.21) და (2.23)-ში, მივიღებთ

$$\widetilde{\boldsymbol{\Psi}} = \frac{1}{\mu}\Lambda_1\boldsymbol{\mathcal{F}}' + m_{11}\nabla\mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}' + m_{21}\nabla\mathcal{F}_4 + m_{31}\nabla\mathcal{F}_5,$$

$$\Psi_2 = m_{12}\mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}' + m_{22}\mathcal{F}_4 + m_{32}\mathcal{F}_5,$$

$$\Psi_3 = m_{13}\mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}' + m_{23}\mathcal{F}_4 + m_{33}\mathcal{F}_5. \tag{2.27}$$

ცხადია, (2.27) ტოლობები შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი ფორმით

$$\boldsymbol{\Psi} = \mathbf{N}^{\mathrm{T}}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\boldsymbol{\mathcal{F}}, \tag{2.28}$$

სადაც

$$\mathbf{N} = \left(N_{lj}\right)_{5\times5}, \qquad N_{lj} = \frac{1}{\mu}\Lambda_1\delta_{lj} + m_{11}\frac{\partial^2}{\partial x_l\partial x_j},$$

$$N_{l4} = m_{12}\frac{\partial}{\partial x_l}, \qquad N_{l5} = m_{13}\frac{\partial}{\partial x_l}, \qquad N_{4j} = m_{21}\frac{\partial}{\partial x_l},$$

$$N_{44} = m_{22}, \qquad N_{45} = m_{23}, \qquad N_{5j} = m_{31}\frac{\partial}{\partial x_l},$$

$$N_{54} = m_{32}, \qquad N_{55} = m_{33}, \qquad l,j = 1,2,3. \tag{2.29}$$

თუ (2.16) და (2.24) ტოლობებს გავითვალისწინებთ (2.28)-ში, გვექნება

$$\mathbf{M}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{N}(\mathbf{D}_{\mathbf{x}}) = \boldsymbol{\Lambda}(\Delta). \tag{2.30}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა:

ა) $$\gamma_0(\mathbf{x}) = -\frac{1}{4\pi|\mathbf{x}|}, \qquad \gamma_0'(\mathbf{x}) = -\frac{|\mathbf{x}|}{8\pi}, \qquad \gamma_j(\mathbf{x}) = -\frac{e^{i\lambda_j|\mathbf{x}|}}{4\pi|\mathbf{x}|}, \qquad j = 1,2; \tag{2.31}$$

ბ) $$\eta_{10} = \frac{1}{\lambda_1^2\lambda_2^2}, \qquad \eta_{11} = \frac{1}{\lambda_1^2(\lambda_1^2-\lambda_2^2)}, \qquad \eta_{12} = \frac{1}{\lambda_2^2(\lambda_2^2-\lambda_1^2)},$$

$$\eta_{20} = -\frac{\lambda_1^2+\lambda_2^2}{\lambda_1^4\lambda_2^4}, \qquad \eta_{21} = \frac{1}{\lambda_1^4(\lambda_2^2-\lambda_1^2)}, \qquad \eta_{22} = \frac{1}{\lambda_2^4(\lambda_1^2-\lambda_2^2)};$$

გ) $$\boldsymbol{\Upsilon}(\mathbf{x}) = \left(\Upsilon_{lj}(\mathbf{x})\right)_{5\times5}, \qquad \Upsilon_{11}(\mathbf{x}) = \Upsilon_{22}(\mathbf{x}) = \Upsilon_{33}(\mathbf{x}) = \Upsilon_2(\mathbf{x}),$$

$$\Upsilon_{44}(\mathbf{x}) = \Upsilon_{55}(\mathbf{x}) = \Upsilon_1(\mathbf{x}), \qquad \Upsilon_{lj}(\mathbf{x}) = 0, \qquad l \neq j, \qquad l,j = 1,2,\dots,5, \tag{2.32}$$

სადაც

$$\Upsilon_1(\mathbf{x}) = \eta_{10}\gamma_0(\mathbf{x}) + \eta_{11}\gamma_1(\mathbf{x}) + \eta_{12}\gamma_2(\mathbf{x}),$$

$$\Upsilon_2(\mathbf{x}) = \eta_{20}\gamma_0(\mathbf{x}) + \eta_{10}\gamma_0'(\mathbf{x}) + \eta_{21}\gamma_1(\mathbf{x}) + \eta_{22}\gamma_2(\mathbf{x}).$$

ცხადია,

$$\Delta\gamma_0(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x}), \qquad \Delta^2\gamma_0'(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x}), \qquad \left(\Delta + \lambda_j^2\right)\gamma_j(\mathrm{x}) = \delta(\mathbf{x}). \tag{2.33}$$

თუ გავითვალისწინებთ (2.19), (2.25), (2.32) და (2.33) თანაფარდობებს, შეგვიძლია დავამტკიცოთ შემდეგი ტოლობის სამართლიანობა

$$\mathbf{\Lambda}(\Delta)\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x})\mathbf{J}_5, \tag{2.34}$$

ე.ი. $\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x})$ არის $\mathbf{\Lambda}(\Delta)$ ოპერატორის ფუნდამენტური მატრიცა.

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\mathbf{G}(\mathbf{x}) = \mathbf{N}(\mathbf{D_x})\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}). \tag{2.35}$$

თუ მხედველობაში მივიღებთ (2.30), (2.34) და (2.35) ტოლობებს, შეგვიძლია დავწეროთ

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{G}(\mathbf{x}) = \mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{N}(\mathbf{D_x})\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}) = \mathbf{\Lambda}(\Delta)\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x})\mathbf{J}_5.$$

ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემის სამართლიანობა.

თეორემა 2.1. $\mathbf{G}(\mathbf{x}) = (G_{lj}(\mathbf{x}))_{5\times5}$ მატრიცა, რომელიც განსაზღვრულია (2.35) ფორმულით, (2.8) სისტემის ფუნდამენტური ამონახსნია, სადაც $\mathbf{N}(\mathbf{D_x})$ და $\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x})$ მოცემულია (2.29) და (2.32) თანაფარდობებით.

ადვილად ჩანს, რომ $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცის $G_{lj}(\mathbf{x})$ ელემენტები წარმოდგება შემდეგი სახით

$$G_{lj}(\mathbf{x}) = N_{lj}(\mathbf{D_x})\Upsilon_2(\mathbf{x}), \quad G_{lm}(\mathbf{x}) = N_{lm}(\mathbf{D_x})\Upsilon_1(\mathbf{x}),$$
$$l = 1, 2, \dots, 5, \qquad j = 1, 2, 3, \qquad m = 4, 5.$$

თეორემა 2.1-დან გამომდინარეობს $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცის შემდეგი ძირითადი თვისებები.

თეორემა 2.2. $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცის თითოეული სვეტი წარმოადგენს

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{G}(\mathbf{x}) = \mathbf{0},$$

ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნს, როცა $\mathbf{x} \neq \mathbf{0}$.

თეორემა 2.3. შემდეგი შეფასებები

$$G_{lj}(\mathbf{x}) = O(|\mathbf{x}|^{-1}), \qquad G_{44}(\mathbf{x}) = O(|\mathbf{x}|^{-1}), \qquad G_{55}(\mathbf{x}) = O(|\mathbf{x}|^{-1}),$$
$$G_{lm}(\mathbf{x}) = O(1), \qquad G_{mj}(\mathbf{x}) = O(1), \qquad G_{45}(\mathbf{x}) = O(1),$$
$$G_{54}(\mathbf{x}) = O(1), \qquad l, j = 1, 2, 3, \qquad m = 4, 5$$

სამართლიანია კოორდინატთა სათავის მახლობლობაში.

თეორემა 2.4. $\mathbf{G}^{(0)}(\mathbf{x}) = \left(G_{lj}^{(0)}(\mathbf{x})\right)_{5\times5}$ მატრიცა, რომელიც განსაზღვრულია თანაფარდობებით

$$G_{lj}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{1}{\mu}\left(\Delta\delta_{lj} - \frac{\lambda+\mu}{\mu_0}\frac{\partial^2}{\partial x_l \partial x_j}\right)\gamma_0'(\mathbf{x}) = -\frac{\lambda+3\mu}{8\pi\mu\mu_0}\frac{\delta_{lj}}{|\mathbf{x}|} - \frac{\lambda+\mu}{8\pi\mu\mu_0}\frac{x_l x_j}{|\mathbf{x}|^3},$$

$$G_{44}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{1}{\alpha}\gamma_0(\mathbf{x}), \qquad G_{55}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{1}{k}\gamma_0(\mathbf{x}),$$

$$G_{lm}^{(0)}(\mathbf{x}) = G_{mj}^{(0)}(\mathbf{x}) = G_{45}^{(0)}(\mathbf{x}) = G_{54}^{(0)}(\mathbf{x}) = 0,$$

$$l, j = 1,2,3, \qquad m = 4,5,$$

შემდეგი სისტემის ფუნდამენტური ამონახსნია

$$\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla\mathrm{div}\mathbf{u} = \mathbf{0}, \qquad \alpha\Delta\varphi = 0, \qquad k\Delta p = 0.$$

თეორემა 2.5. შემდეგი თანაფარდობა

$$G_{lj}(\mathbf{x}) - G_{lj}^{(0)}(\mathbf{x}) = \mathrm{const} + O(|\mathbf{x}|), \qquad l, j = 1, 2, \ldots, 5$$

სამართლიანია კოორდინატთა სათავის მახლობლობაში.

მაშასადამე, 2.3 და 2.5 თეორემების საფუძველზე კოორდინატთა სათავის მახლობლობაში $\mathbf{G}^{(0)}(\mathbf{x})$ მატრიცა წარმოადგენს $\mathbf{G}(\mathbf{x})$ ფუნდამენტური მატრიცის სინგულარულ ნაწილს.

ასევე აღვნიშნოთ, რომ $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცა აგებულია $\gamma_0, \gamma_0', \gamma_1, \gamma_2$ ოთხი ელემენტარული ფუნქციის საშუალებით.

2.3. სასაზღვრო ამოცანები

განსაზღვრება 2.1. $\mathbf{U} = (U_1, U_2, \ldots, U_5)$ ვექტორ-ფუნქციას ეწოდება რეგულარული Ω^--ში (ან Ω^+-ში), თუ

ა) $U_l \in C^2(\Omega^-) \cap C^1(\overline{\Omega^-})$ $\left(\text{ან } U_l \in C^2(\Omega^+) \cap C^1\left(\overline{\Omega^+}\right)\right)$,

ბ) $U_l(\mathbf{x}) = O(|\mathbf{x}|^{-1})$, $\qquad U_{l,j}(\mathbf{x}) = o(|\mathbf{x}|^{-1})$, (2.36)

როცა $|\mathbf{x}| \gg 1$, $l = 1,2,\ldots,5$ და $j = 1,2,3$.

შემდეგში გამოვიყენებთ $\mathbf{R}(\mathbf{D_x}, \mathbf{n}) = \left(R_{lj}(\mathbf{D_x}, \mathbf{n})\right)_{5\times5}$ მატრიცულ დიფერენციალურ ოპერატორს, სადაც

$$R_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=\mu\delta_{lj}\frac{\partial}{\partial\mathbf{n}}+\mu n_j\frac{\partial}{\partial x_l}+\lambda n_l\frac{\partial}{\partial x_j},\qquad R_{l4}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=bn_l,$$

$$R_{l5}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=-\beta n_l,\quad R_{44}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=\alpha\frac{\partial}{\partial\mathbf{n}},\quad R_{55}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=k\frac{\partial}{\partial\boldsymbol{n}},$$

$$R_{ml}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=R_{45}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=R_{54}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=0, \tag{2.37}$$

$$l,j=1,2,3,\quad m=4,5.$$

მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის მდგრადი რხევის ძირითადი შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანები ჩამოყალიბდება შემდეგნაირად.

ვიპოვოთ (2.9) სისტემის რეგულარული $\mathbf{U}$ ამონახსნი, როცა $\mathbf{x}\in\Omega^+$, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობას

$$\lim_{\Omega^+\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^+=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{2.38}$$

შიგა $(I)^+_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანაში და

$$\lim_{\Omega^+\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{R}(\mathbf{D_x},\mathbf{n}(\mathbf{z}))\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\left\{\mathbf{R}\big(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{U}(\mathbf{z})\right\}^+=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{2.39}$$

შიგა $(II)^+_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანაში, სადაც $\mathbf{F}$ და $\mathbf{f}$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია.

ვიპოვოთ (2.9) სისტემის რეგულარული $\mathbf{U}$ ამონახსნი, როცა $\mathbf{x}\in\Omega^-$, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$\lim_{\Omega^-\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^-=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{2.40}$$

გარე $(I)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანაში და

$$\lim_{\Omega^-\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{R}(\mathbf{D_x},\mathbf{n}(\mathbf{z}))\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\left\{\mathbf{R}\big(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{U}(\mathbf{z})\right\}^-=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{2.41}$$

გარე $(II)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანაში, სადაც $\mathbf{F}$ და $\mathbf{f}$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია და $\mathrm{supp}\mathbf{F}$ შემოსაზღვრულია Ω^--ში.

2.4. გრინის ფორმულები

ამ პარაგრაფში მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმულ წრფივ კვაზისტატიკის თეორიაში აიგება გრინის ფორმულები (იგივეობები),

რომლებსაც მომდევნო პარაგრაფებში გამოვიყენებთ მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების რეგულარული ამონახსნების ერთადერთობის საკითხის შესწავლისას.

შემდეგში გამოვიყენებთ მატრიცულ დიფერენციალურ ოპერატორებს:

ა) $$\mathbf{M}^{(0)}(\mathbf{D_x}) = \left(M_{lj}^{(0)}(\mathbf{D_x})\right)_{3\times3}, \qquad M_{lj}^{(0)}(\mathbf{D_x}) = \mu\Delta\delta_{lj} + (\lambda+\mu)\frac{\partial^2}{\partial x_l \partial x_j},$$

$$\mathbf{M}^{(1)}(\mathbf{D_x}) = \left(M_{lr}^{(1)}(\mathbf{D_x})\right)_{3\times5}, \qquad M_{lr}^{(1)}(\mathbf{D_x}) = M_{lr}(\mathbf{D_x}),$$

$$\mathbf{M}^{(2)}(\mathbf{D_x}) = \left(M_{1r}^{(2)}(\mathbf{D_x})\right)_{1\times5}, \qquad M_{1r}^{(2)}(\mathbf{D_x}) = M_{4r}(\mathbf{D_x}),$$

$$\mathbf{M}^{(3)}(\mathbf{D_x}) = \left(M_{1r}^{(3)}(\mathbf{D_x})\right)_{1\times5}, \qquad M_{1r}^{(3)}(\mathbf{D_x}) = M_{5r}(\mathbf{D_x});$$

ბ) $$\mathbf{R}^{(0)}(\mathbf{D_x}, \mathbf{n}) = \left(R_{lj}^{(0)}(\mathbf{D_x}, \mathbf{n})\right)_{3\times3}, \qquad R_{lj}^{(0)}(\mathbf{D_x}, \mathbf{n}) = R_{lj}(\mathbf{D_x}, \mathbf{n}),$$

$$\mathbf{R}^{(1)}(\mathbf{D_x}, \mathbf{n}) = \left(R_{lr}^{(1)}(\mathbf{D_x}, \mathbf{n})\right)_{3\times5}, \qquad R_{lr}^{(1)}(\mathbf{D_x}, \mathbf{n}) = R_{lr}(\mathbf{D_x}, \mathbf{n}),$$

სადაც $l, j = 1, 2, 3$ და $r = 1, 2, \dots, 5$.

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$W^{(0)}(\mathbf{u}, \mathbf{u}') = \frac{1}{3}(3\lambda + 2\mu)\mathrm{div}\mathbf{u}\ \mathrm{div}\overline{\mathbf{u}'} + \frac{\mu}{2}\sum_{l,j=1; l\neq j}^{3}(u_{l,j} + u_{j,l})(\overline{u'_{l,j}} + \overline{u'_{j,l}})$$

$$+\frac{\mu}{3}\sum_{l,j=1}^{3}\left(\frac{\partial u_l}{\partial x_l} - \frac{\partial u_j}{\partial x_j}\right)\left(\frac{\partial \overline{u'_l}}{\partial x_l} - \frac{\partial \overline{u'_j}}{\partial x_j}\right),$$

$$W^{(1)}(\mathbf{U}, \mathbf{u}') = W^{(0)}(\mathbf{u}, \mathbf{u}') + (b\varphi - \beta p)\mathrm{div}\overline{\mathbf{u}'},$$

$$W^{(2)}(\mathbf{U}, \varphi') = \alpha\nabla\varphi \cdot \nabla\varphi + (b\mathrm{div}\mathbf{u} - mp)\overline{\varphi'} + \alpha_1\varphi\overline{\varphi'},$$

$$W^{(3)}(\mathbf{U}, p') = k\nabla p \cdot \nabla p' - i\omega(ap + \beta\mathrm{div}\mathbf{u} + m\varphi)\overline{p'}. \tag{2.42}$$

სამართლიანია შემდეგი ლემა.

ლემა 2.2. თუ $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi, p)$ რეგულარული ვექტორია Ω^+-ში, $u'_j, \varphi' p' \in C^1(\Omega^+) \cap C\left(\overline{\Omega^+}\right)$, $j = 1, 2, 3$, მაშინ

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(1)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) \cdot \mathbf{u}'(\mathbf{x}) + W^{(1)}(\mathbf{U}, \mathbf{u}')\right]d\mathbf{x} = \int_S \mathbf{R}^{(1)}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{U} \cdot \mathbf{u}' d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(2)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{\varphi'(\mathbf{x})} + W^{(2)}(\mathbf{U}, \varphi')\right]d\mathbf{x} = \alpha\int_S \frac{\partial\varphi}{\partial\mathbf{n}}\overline{\varphi'} d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int_{\Omega^+} \left[\mathbf{M}^{(3)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{p'(\mathbf{x})} + W^{(3)}(\mathbf{U}, p')\right] d\mathbf{x} = k \int_S \frac{\partial p}{\partial \mathbf{n}} \overline{p'} d_{\mathbf{z}} S, \tag{2.43}$$

სადაც $\mathbf{U}' = (\mathbf{u}', \varphi', p')$, $\mathbf{u}' = (u_1', u_2', u_3')$.

დამტკიცება. სამართლიანია შემდეგი იგივეობები (მაგ., იხ. [44]):

$$\int_{\Omega^+} \left[\mathbf{M}^{(0)}(\mathbf{D_x})\mathbf{u}(\mathbf{x}) \cdot \mathbf{u}'(\mathbf{x}) + W^{(0)}(\mathbf{u}, \mathbf{u}')\right] d\mathbf{x} = \int_S \mathbf{R}^{(0)}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{u}(\mathbf{z}) \cdot \mathbf{u}'(\mathbf{z}) d_{\mathbf{z}} S,$$

$$\int_{\Omega^+} \left[\Delta\varphi(\mathbf{x})\overline{\varphi'(\mathbf{x})} + \nabla\varphi(\mathbf{x}) \cdot \nabla\varphi'(\mathbf{x})\right] d\mathbf{x} = \int_S \frac{\partial\varphi(\mathbf{z})}{\partial\mathbf{n}(\mathbf{z})} \overline{\varphi'(\mathbf{z})} d_{\mathbf{z}} S,$$

$$\int_{\Omega^+} \left[\nabla\varphi(\boldsymbol{x}) \cdot \mathbf{u}'(\mathbf{x}) + \varphi(\mathbf{x}) \operatorname{div}\overline{\mathbf{u}'(\mathbf{x})}\right] d\mathbf{x} = \int_S \varphi(\mathbf{z})\mathbf{n}(\mathbf{z})\overline{\mathbf{u}'(\mathbf{z})} d_{\mathbf{z}} S. \tag{2.44}$$

ცხადია, (2.42)-ის ძალით (2.44)-დან მივიღებთ (2.43) იგივეობებს. ■

ლემა 2.2-ის და უსასრულობაში ქრობის (2.36) პირობის გათვალისწინებით შეგვიძლია დავამტკიცოთ შემდეგი ლემა.

ლემა 2.3. თუ $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi, p)$ რეგულარული ვექტორია Ω^--ში, $u_j', \varphi', p' \in C^1(\Omega^-) \cap C(\overline{\Omega^-})$, $j = 1, 2, 3$, $\mathbf{U}' = (\mathbf{u}', \varphi', p')$ აკმაყოფილებს (2.36) პირობას, მაშინ

$$\int_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(1)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) \cdot \mathbf{u}'(\mathbf{x}) + W^{(1)}(\mathbf{U}, \mathbf{u}')\right] d\mathbf{x} = -\int_S \mathbf{R}^{(1)}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{U} \cdot \mathbf{u}' d_{\mathbf{z}} S,$$

$$\int_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(2)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{\varphi'(\mathbf{x})} + W^{(2)}(\mathbf{U}, \varphi')\right] d\mathbf{x} = -\alpha \int_S \frac{\partial\varphi}{\partial\mathbf{n}} \overline{\varphi'} d_{\mathbf{z}} S,$$

$$\int_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(3)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{p'(\mathbf{x})} + W^{(3)}(\mathbf{U}, p')\right] d\mathbf{x} = -k \int_S \frac{\partial p}{\partial \mathbf{n}} \overline{p'} d_{\mathbf{z}} S. \tag{2.45}$$

ლემა 2.2 და ლემა 2.3-ის გამოყენებით მიიღება შემდეგი თეორემების სამართლიანობა.

თეორემა 2.6. თუ $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi, p)$ რეგულარული ვექტორია Ω^+-ში, $\mathbf{U}' = (\mathbf{u}', \varphi', p') \in C^1(\Omega^+) \cap C(\overline{\Omega^+})$, $j = 1, 2, 3$, მაშინ

$$\int_{\Omega^+} [\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) \cdot \mathbf{U}'(\mathbf{x}) + W(\mathbf{U}, \mathbf{U}')] d\mathbf{x} = \int_S \mathbf{R}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{U}(\mathbf{z}) \cdot \mathbf{U}'(\mathbf{z}) d_{\mathbf{z}} S, \tag{2.46}$$

სადაც $W(\mathbf{U},\mathbf{U}')=W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u}')+W^{(2)}(\mathbf{U},\varphi')+W^{(3)}(\mathbf{U},p')$.

თეორემა 2.7. თუ $\mathbf{U}=(\mathbf{u},\varphi,p)$ და $\mathbf{U}'=(\mathbf{u}',\varphi',p')$ რეგულარული ვექტორებია Ω^--ში, მაშინ

$$\int\limits_{\Omega^-}[\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\cdot\mathbf{U}'(\mathbf{x})+W(\mathbf{U},\mathbf{U}')]d\mathbf{x}=-\int\limits_{S}\mathbf{R}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\mathbf{U}(\mathbf{z})\cdot\mathbf{U}'(\mathbf{z})d_{\mathbf{z}}S. \qquad (2.47)$$

(2.46) და (2.47) ფორმულები გრინის პირველი იგივეობებია Ω^+ და Ω^- არეებისთვის მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმულ წრფივ კვაზისტატიკის თეორიაში.

განვიხილოთ განტოლებათა შემდეგი სისტემა

$$\begin{aligned}&\mu\Delta\tilde{\mathbf{u}}+(\lambda+\mu)\nabla\mathrm{div}\tilde{\mathbf{u}}+b\nabla\tilde{\varphi}-i\omega\beta\nabla\tilde{p}=\mathbf{0},\\&(\alpha\Delta-\alpha_1)\tilde{\varphi}-b\,\mathrm{div}\tilde{\mathbf{u}}+i\omega m\tilde{p}=0,\\&(k\Delta+i\omega a)\tilde{p}+(\beta\,\mathrm{div}\tilde{\mathbf{u}}+m\tilde{\varphi})=0,\end{aligned} \qquad (2.48)$$

სადაც $\tilde{u}_l$, $\tilde{\varphi}$, $\tilde{p}$ ფუნქციები განსაზღვრულია $\Omega^\pm$-ში, $\tilde{\boldsymbol{u}}=(\tilde{u}_1,\tilde{u}_2,\tilde{u}_3)$, $l=1,2,3$. ცხადია, (2.48) სისტემა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\widetilde{\mathbf{M}}(\mathbf{D_x})\widetilde{\mathbf{U}}(\mathbf{x})=\mathbf{0}, \qquad (2.49)$$

სადაც $\widetilde{\mathbf{U}}=(\tilde{\mathbf{u}},\tilde{\varphi},\tilde{p})$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა, ხოლო $\widetilde{\mathbf{M}}(\mathbf{D_x})=\mathbf{M}^{\mathrm{T}}(-\mathbf{D_x})$. ადვილად ჩანს, რომ $\widetilde{\mathbf{M}}(\mathbf{D_x})=(\widetilde{M}_{lj}(\mathbf{D_x}))_{5\times5}$ არის $\mathbf{M}(\mathbf{D_x})$-ის ასოციაციური ოპერატორი.

განვსაზღვროთ $\widetilde{\mathbf{R}}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=\left(\tilde{R}_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})\right)_{5\times5}$ მატრიცული დიფერენციალური ოპერატორი შემდეგი სახით

$$\begin{gathered}\tilde{R}_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=R_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n}),\qquad \tilde{R}_{l5}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=-i\omega\beta n_l,\qquad \tilde{R}_{rs}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=R_{rs}(\mathbf{D_x},\mathbf{n}),\\ l=1,2,3,\qquad j=1,2,3,4,\qquad r=4,5,\qquad s=1,2,\dots,5,\end{gathered} \qquad (2.50)$$

სადაც $R_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})$ მოცემულია (2.37) ფორმულით.

უშუალო გამოთვლებით მივიღებთ შემდეგი თეორემის სამართლიანობას.

თეორემა 2.8. ვთქვათ, $\widetilde{\mathbf{U}}_j$ არის $\widetilde{\mathbf{U}}=(\widetilde{U}_{lj})_{5\times5}$ მატრიცის j-ური სვეტი. თუ $\mathbf{U}=(\mathbf{u},\varphi,p)$ და $\widetilde{\mathbf{U}}_j$ ($j=1,2,\dots,5$) რეგულარული ვექტორებია $\Omega^\pm$-ში, მაშინ

$$\int\limits_{\Omega^\pm}\left\{\left[\widetilde{\mathbf{M}}(\mathbf{D_y})\widetilde{\mathbf{U}}(\mathbf{y})\right]^{\mathrm{T}}\mathbf{U}(\mathbf{y})-\left[\widetilde{\mathbf{U}}(\mathbf{y})\right]^{\mathrm{T}}\mathbf{M}(\mathbf{D_y})\mathbf{U}(\mathbf{y})\right\}d\mathbf{y}$$

$$= \pm \int_S \left\{ \left[\widetilde{\mathbf{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n}) \widetilde{\mathbf{U}}(\mathbf{z}) \right]^{\mathrm{T}} \mathbf{U}(\mathbf{z}) - \left[\widetilde{\mathbf{U}}(\mathbf{z}) \right]^{\mathrm{T}} \mathbf{R}(\mathbf{D_z}, \mathbf{n}) \mathbf{U}(\mathbf{z}) \right\} d_{\mathbf{z}} S. \qquad (2.51)$$

(2.51) ფორმულა წარმოადგენს გრინის მეორე იგივეობას Ω^+ და Ω^- არეებისათვის მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმულ წრფივ კვაზისტატიკის თეორიაში.

ვთქვათ, $\widetilde{\mathbf{G}}(\mathbf{x})$ მატრიცა განსაზღვრულია ფორმულით

$$\widetilde{\mathbf{G}}(\mathbf{x}) = \mathbf{G}^{\mathrm{T}}(-\mathbf{x}), \qquad (2.52)$$

სადაც $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მოცემულია (2.35) თანაფარდობით. ცხადია, $\widetilde{\mathbf{G}}(\mathbf{x})$ მატრიცა (2.49) განტოლების ფუნდამენტური ამონახსნია.

თუ (2.51)-ში გამოვიყენებთ $\widetilde{\mathbf{U}}(\mathbf{y}) = \widetilde{\mathbf{G}}(\mathbf{y} - \mathbf{x})$ მატრიცას, მაშინ (2.49) და (2.52) ფორმულებით სტანდარტული გამოთვლების შედეგად მივიღებთ შემდეგი თეორემების სამართლიანობას.

თეორემა 2.9. თუ $\mathbf{U}$ რეგულარული ვექტორია Ω^+-ში, მაშინ

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \int_S \left\{ \left[\widetilde{\mathbf{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n}) \mathbf{G}^{\mathrm{T}}(\mathbf{x} - \mathbf{z}) \right]^{\mathrm{T}} \mathbf{U}(\mathbf{z}) - \mathbf{G}(\mathbf{x} - \mathbf{z}) \mathbf{R}(\mathbf{D_z}, \mathbf{n}) \mathbf{U}(\mathbf{z}) \right\} d_{\mathbf{z}} S$$

$$+ \int_{\Omega^+} \mathbf{G}(\mathbf{x} - \mathbf{y}) \mathbf{M}\big(\mathbf{D_y}\big) \mathbf{U}(\mathbf{y}) d\mathbf{y}, \quad \text{როცა} \quad \mathbf{x} \in \Omega^+. \qquad (2.53)$$

თეორემა 2.10. თუ $\mathbf{U}$ რეგულარული ვექტორია Ω^--ში, მაშინ

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = -\int_S \left\{ \left[\widetilde{\mathbf{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n}) \mathbf{G}^{\mathrm{T}}(\mathbf{x} - \mathbf{z}) \right]^{\mathrm{T}} \mathbf{U}(\mathbf{z}) - \mathbf{G}(\mathbf{x} - \mathbf{z}) \mathbf{R}(\mathbf{D_z}, \mathbf{n}) \mathbf{U}(\mathbf{z}) \right\} d_{\mathbf{z}} S$$

$$+ \int_{\Omega^+} \mathbf{G}(\mathbf{x} - \mathbf{y}) \mathbf{M}\big(\mathbf{D_y}\big) \mathbf{U}(\mathbf{y}) \mathrm{d}\mathbf{y}, \quad \text{როცა} \quad \mathbf{x} \in \Omega^-. \qquad (2.54)$$

(2.53) და (2.54) ფორმულები გრინის მესამე იგივეობებია Ω^+ და Ω^- არეებისთვის მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმულ წრფივ კვაზისტატიკის თეორიაში.

2.5. ერთადერთობის თეორემები

ამ პარაგრაფში შევისწავლით $(I)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(II)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანების რეგულარული ამონახსნების ერთადერთობის საკითხს.

ფორმულა (2.42)-დან შეგვიძლია დავწეროთ

$$W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u}) = \frac{1}{3}(3\lambda + 2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2 + W^{(0)}(\mathbf{u}) + (b\varphi - \beta p)\mathrm{div}\bar{\mathbf{u}},$$

$$W^{(2)}(\mathbf{U},\varphi) = \alpha|\nabla\varphi|^2 + \alpha_1|\varphi|^2 + (b\mathrm{div}\mathbf{u} - mp)\bar{\varphi},$$

$$W^{(3)}(\mathbf{U},p) = k|\nabla p|^2 - i\omega a|p|^2 - i\omega(\beta\mathrm{div}\mathbf{u} + m\varphi)\bar{p}, \tag{2.55}$$

სადაც

$$W^{(0)}(\mathbf{u}) = \frac{\mu}{2}\sum_{l,j=1;\ l\neq j}^{3}\left|\frac{\partial u_j}{\partial x_l} + \frac{\partial u_l}{\partial x_j}\right|^2 + \frac{\mu}{3}\sum_{l,j=1}^{3}\left|\frac{\partial u_l}{\partial x_l} - \frac{\partial u_j}{\partial x_j}\right|^2. \tag{2.56}$$

სამართლიანია შემდეგი თეორემები.

თეორემა 2.11. თუ $(I)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანას გააჩნია რეგულარული ამონახსნი, მაშინ ის ერთადერთია.

დამტკიცება. ვთქვათ, $(I)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანას აქვს ორი რეგულარული ამონახსნი. მაშინ მათი სხვაობა $\mathbf{U}$ იქნება $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ შიგა ერთგვაროვანი სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი, ე.ი. $\mathbf{U}$ არის

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{0} \tag{2.57}$$

ერთგვაროვანი განტოლების რეგულარული ამონახსნი, როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$ და აკმაყოფილებს ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობას

$$\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^+ = \mathbf{0}, \text{ როცა } \mathbf{z} \in S. \tag{2.58}$$

თუ (2.55)-(2.58)-ს გავითვალისწინებთ (2.43)-ში, მაშინ მივიღებთ

$$\int_{\Omega^+} W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\,d\mathbf{x} = 0, \qquad \int_{\Omega^+} W^{(2)}(\mathbf{U},\varphi)\,d\mathbf{x} = 0,$$

$$\int_{\boldsymbol{\Omega}^+} W^{(3)}(\mathbf{U},p)\,d\mathbf{x} = 0. \tag{2.59}$$

ასევე, (2.55) ფორმულებიდან მარტივად მტკიცდება შემდეგი ტოლობის სამართლიანობა

$$\mathrm{Re}[W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})]=\frac{1}{3}(3\lambda+2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2+W^{(0)}(\mathbf{u})+b\mathrm{Re}[\varphi\mathrm{div}\bar{\mathbf{u}}]-\beta\mathrm{Re}[p\mathrm{div}\bar{\mathbf{u}}],$$

$$\mathrm{Re}\big[W^{(2)}(\mathbf{U},\varphi)\big]=\alpha|\nabla\varphi|^2+\alpha_1|\varphi|^2+b\mathrm{Re}[\varphi\mathrm{div}\bar{\mathbf{u}}]-m\mathrm{Re}[\varphi,\bar{p}],$$

$$\mathrm{Im}\big[W^{(3)}(\mathbf{U},p)\big]=-\omega a|p|^2-\omega\beta\mathrm{Re}[p\mathrm{div}\bar{\mathbf{u}}]-\omega m\mathrm{Re}[\varphi,\bar{p}].$$

აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავწეროთ

$$\mathrm{Re}\big[W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\big]+\mathrm{Re}\big[W^{(2)}(\mathbf{U},\varphi)\big]-\frac{1}{\omega}\mathrm{Im}\big[W^{(3)}(\mathbf{U},p)\big]=\frac{1}{3}(3\lambda+2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2$$

$$+2b\mathrm{Re}[\varphi\mathrm{div}\bar{\mathbf{u}}]+\alpha_1|\varphi|^2+W^{(0)}(\mathbf{u})+\alpha|\nabla\varphi|^2+a|p|^2. \tag{2.60}$$

გამოვიყენოთ (2.10) თანაფარდობები (2.60)-ში, მაშინ მივიღებთ

$$\mathrm{Re}\big[W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\big]+\mathrm{Re}\big[W^{(2)}(\mathbf{U},\varphi)\big]-\frac{1}{\omega}\mathrm{Im}\big[W^{(3)}(\mathbf{U},p)\big]\geq 0. \tag{2.61}$$

სადაც (2.53)-დან გვაქვს

$$\int\limits_{\Omega^+}\left\{\mathrm{Re}\big[W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\big]+\mathrm{Re}\big[W^{(2)}(\mathbf{U},\varphi)\big]-\frac{1}{\omega}\mathrm{Im}\big[W^{(3)}(\mathbf{U},p)\big]\right\}d\mathbf{x}=0. \tag{2.62}$$

თუ (2.62) ტოლობას ჩავსვამთ (2.60) და (2.61) თანაფარდობებში, მაშინ მივიღებთ შემდეგ ტოლობას

$$\begin{gathered}\frac{1}{3}(3\lambda+2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2+2b\mathrm{Re}[\varphi\mathrm{div}\bar{\mathbf{u}}]+\alpha_1|\varphi|^2=0,\\ W^{(0)}(\mathbf{u})=0,\\ |p|^2=0.\end{gathered} \tag{2.63}$$

ცხადია, (2.63)-ის პირველი და მესამე ტოლობებიდან გვაქვს

$$\varphi(\mathbf{x})=p(\mathbf{x})=0 \tag{2.64}$$

და

$$\mathrm{div}\mathbf{u}(\mathbf{x})=0, \tag{2.65}$$

როცა $\mathbf{x}\in\Omega^+$.

ამასთან ერთად, (2.56) და (2.65) თანაფარდობიდან (2.63)-ის მეორე ტოლობის ძალით შეგვიძლია ვთქვათ, რომ $\mathbf{u}$ ხისტი გაადგილების ვექტორია და ჩაიწერება შემდეგი ფორმით

$$\mathbf{u}(\mathbf{x})=\widetilde{\boldsymbol{a}}+\widetilde{\boldsymbol{b}}\times\mathbf{x}, \tag{2.66}$$

სადაც $\widetilde{\boldsymbol{a}}$ და $\widetilde{\boldsymbol{b}}$ ნებისმიერი სამკომპონენტიანი მუდმივი ვექტორებია. თუ გავითვალისწინებთ (2.66)-ს (2.58) ერთგვაროვან სასაზღვრო პირობაში, მაშინ მივიღებთ $\mathbf{u}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$. აქედან გამომდინარე, $\mathbf{U}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$. ■

ანალოგიურად მტკიცდება შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.12. $(II)^+_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანის ორი რეგულარული ამონახსნი ერთმანეთისგან განსხვავდება $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi, p)$ ვექტორით, სადაც φ და p აკმაყოფილებენ (2.64) პირობას, ხოლო $\mathbf{u}$ ხისტი გადაადგილების ვექტორია და აქვს (2.66)-ის ფორმა, სადაც $\widetilde{\boldsymbol{a}}$ და $\widetilde{\boldsymbol{b}}$ სამკომპონენტიანი მუდმივი ვექტორებია და $\mathbf{x} \in \Omega^+$.

თეორემა 2.13. თუ $(K)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ გარე სასაზღვრო ამოცანას აქვს რეგულარული ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერთია, სადაც $K = I, II$.

დამტკიცება. ვთქვათ, $(K)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ $(K = I, II)$ ამოცანას აქვს ორი რეგულარული ამონახსნი. მაშინ მათი სხვაობა $\mathbf{U}$ არის $(K)^+_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ერთგვაროვანი სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი, ე.ი. $\mathbf{U}$ წარმოადგენს (2.57) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნს, როცა $\mathbf{x} \in \Omega^-$, აკმაყოფილებს ერთგვაროვან სასაზღვრო პირობას

$$\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^- = \mathbf{0} \tag{2.67}$$

$K = I$ შემთხვევაში და

$$\{\mathbf{R}(\mathbf{D}_\mathbf{z}, \mathbf{n})\mathbf{U}(\mathbf{z})\}^- = \mathbf{0} \tag{2.68}$$

$K = II$ შემთხვევაში.

ცხადია, (2.45)-დან (2.55), (2.67) და (2.68)-ის ძალით გვექნება

$$\int_{\Omega^-} W^{(1)}(\mathbf{U}, \mathbf{u}) d\mathbf{x} = 0, \qquad \int_{\Omega^-} W^{(2)}(\mathbf{U}, \varphi) d\mathbf{x} = 0,$$

$$\int_{\Omega^-} W^{(3)}(\mathbf{U}, p) d\mathbf{x} = 0. \tag{2.69}$$

თეორემა 2.11-ისა და (2.69) თანაფარდობის გამოყენებით მივიღებთ (2.64) და (2.66) ტოლობებს, როცა $\mathbf{x} \in \Omega^-$. ამასთან ერთად, (2.66)-დან (2.36)-ის ძალით შეგვიძლია დავწეროთ $\mathbf{u}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^-$ და გვექნება $\mathbf{U}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$. ■

2.6. ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალები

ამ პარაგრაფში განვსაზღვრავთ ზედაპირულ და მოცულობით პოტენციალებს და დავადგენთ მათ ძირითად თვისებებს, რომლებსაც გამოვიყენებთ მომდევნო პარაგრაფში.

შემოვიღოთ აღნიშვნა:

1) მარტივი ფენის პოტენციალი

$$\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \int_S \mathbf{G}(\mathbf{x}-\mathbf{y})\mathbf{g}(\mathbf{y})d_{\mathbf{y}}S,$$

2) ორმაგი ფენის პოტენციალი

$$\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \int_S [\widetilde{\mathbf{R}}(\mathbf{D}_\mathrm{y},\mathbf{n}(\mathbf{y})\mathbf{G}^\mathrm{T}(\mathbf{x}-\mathbf{y})]^\mathrm{T}\,\mathbf{g}(\mathbf{y})d_{\mathbf{y}}S,$$

3) მოცულობითი პოტენციალი

$$\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x},\boldsymbol{\phi},\Omega^\pm) = \int_{\Omega^\pm} \mathbf{G}(\mathbf{x}-\mathbf{y})\boldsymbol{\phi}(\mathbf{y})d\mathbf{y},$$

სადაც $\mathbf{G}$ არის $\mathbf{M}(\mathbf{D}_\mathbf{x})$ ოპერატორის ფუნდამენტური მატრიცა და წარმოიდგინება (2.35) სახით, $\widetilde{\mathbf{R}}$ მოიცემა (2.50) ფორმულით, ხოლო $\mathbf{g}$ და $\boldsymbol{\phi}$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია.

სამართლიანია შემდეგი თეორემები.

თეორემა 2.14. თუ $S \in C^{r+1,v}, \mathbf{g} \in C^{r,v'}(S), 0 < v' < v \le 1$ და r არაუარყოფითი მთელი რიცხვია, მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(1)}(.,\mathbf{g}) \in C^{0,v'}(\mathbb{R}^3) \cap C^{r+1,v'}(\overline{\Omega^\pm}) \cap C^\infty(\Omega^\pm)$,

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D}_\mathbf{x})\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{x} \in \Omega^\pm$,

გ) $\mathbf{R}(\mathbf{D}_\mathbf{z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g})$ სინგულარული ინტეგრალია, როცა $\mathbf{z} \in S$,

დ) $\{\mathbf{R}(\mathbf{D}_\mathbf{z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g})\}^\pm = \mp\dfrac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{x}) + \mathbf{R}(\mathbf{D}_\mathbf{z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}), \quad \boldsymbol{z} \in S,$ (2.70)

ე) $\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = O(|\mathbf{x}|^{-1}),\ \dfrac{\partial}{\partial x_l}\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = O(|\mathbf{x}|^{-2})$,

როცა $|\mathbf{x}| \gg 1$ და $l = 1,2,3$.

თეორემა 2.15. თუ $S \in C^{r+1,v}, \mathbf{g} \in C^{r,v'}(S), 0 < v' < v \leq 1$, მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(2)}(.,\mathbf{g}) \in C^{r+1,v'}\left(\overline{\Omega^{\pm}}\right) \cap C^{\infty}(\Omega^{\pm})$,

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{x} \in \Omega^{\pm}$,

გ) $\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})$ სინგულარული ინტეგრალია, როცა $\mathbf{z} \in S$,

დ) $\left\{\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})\right\}^{\pm} = \pm\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{x}) + \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}), \qquad \mathbf{z} \in S,$ (2.71)

ე) $\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = O(|\mathbf{x}|^{-2}),\ \ \frac{\partial}{\partial x_l}\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = O(|\mathbf{x}|^{-3})$

როცა $|\mathbf{x}| \gg 1$ და $l = 1,2,3$.

ვ) $\{\mathbf{R}(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})\}^{+} = \{\mathbf{R}(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})\}^{-}$,

სადაც r არაუარყოფითი მთელი რიცხვია, ხოლო m ნატურალური რიცხვია და $\mathbf{z} \in S$.

თეორემა 2.16. თუ $S \in C^{r+1,v}, \boldsymbol{\phi} \in C^{r,v'}(\Omega^{+}), 0 < v' < v \leq 1$, მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(3)}(\cdot,\boldsymbol{\phi},\Omega^{+}) \in C^{1,v'}(\mathbb{R}^3) \cap C^2(\Omega^{+}) \cap C^{2,v'}\left(\overline{\Omega_0^{+}}\right)$,

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x},\boldsymbol{\phi},\Omega^{+}) = \boldsymbol{\phi}(\mathbf{x}), \quad \mathbf{x} \in \Omega^{+}$,

სადაც Ω_0^{+} არეა $\mathbb{R}^3$-ში და $\Omega_0^{+} \subset \Omega^{+}$, ხოლო r არაუარყოფითი მთელი რიცხვია.

თეორემა 2.17. თუ $S \in C^{1,v}, \mathrm{supp}\boldsymbol{\phi} = \Omega \subset \Omega^{-}, \boldsymbol{\phi} \in C^{0,v'}(\Omega^{-}), 0 < v' < v \leq 1$, მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(3)}(\cdot,\boldsymbol{\phi},\Omega^{-}) \in C^{1,v'}(\mathbb{R}^3) \cap C^2(\Omega^{-}) \cap C^{2,v'}(\overline{\Omega_0^{-}})$,

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x},\boldsymbol{\phi},\Omega^{-}) = \boldsymbol{\phi}(\mathbf{x}), \quad \mathbf{x} \in \Omega^{-}$,

სადაც Ω არეა $\mathbb{R}^3$-ში და $\overline{\Omega_0^{-}} \subset \Omega^{-}$.

თეორემები 2.14-2.17 მტკიცდება მსგავსად, როგორც ანალოგიური თეორემები [44] ნაშრომში.

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნა

$$\mathcal{N}^{(1)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{N}^{(2)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \mathbf{R}\big(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{N}^{(3)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = -\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{N}^{(4)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = -\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \mathbf{R}\big(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{N}_\varsigma \mathbf{g}(\mathbf{z}) = \frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \varsigma \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}), \quad \mathbf{z} \in S, \tag{2.72}$$

სადაც ς კომპლექსური რიცხვია. თეორემა 2.14 და 2.15-ის საფუძველზე $\mathcal{N}^{(1)}$ $(r = 1,2,3,4)$ და $\mathcal{N}_\varsigma$ სინგულარული ინტეგრალური ოპერატორებია.

თუ $\mathbf{\Gamma}^{(r)} = (\Gamma_{lj}^{(r)})_{5\times 5}$ არის $\mathcal{N}^{(r)}$ $(r = 1,2,3,4)$ ოპერატორის სიმბოლო, მაშინ (2.72)-დან გვაქვს

$$\det\mathbf{\Gamma}^{(1)} = \det\mathbf{\Gamma}^{(2)} = -\det\mathbf{\Gamma}^{(3)} = -\det\mathbf{\Gamma}^{(4)}$$

$$= \left(-\frac{1}{2}\right)^5 \left(1 - \frac{\mu^2}{\mu_0^2}\right) = -\frac{(\lambda+\mu)(\lambda+3\mu)}{32\mu_0^2} < 0. \tag{2.73}$$

ცხადია, $\mathcal{N}^{(r)}$ ოპერატორი არის ნორმალური ტიპის, სადაც $r = 1,2,3,4$.

ამასთანავე, თუ $\mathbf{\Gamma}_\varsigma$ და $\mathrm{ind}\mathcal{N}_\varsigma$ შესაბამისად $\mathcal{N}_\varsigma$ ოპერატორის სიმბოლო და ინდექსია, მაშინ ანალოგიურად მივიღებთ

$$\det\mathbf{\Gamma}_\varsigma = -\frac{\mu_0^2 - \mu^2\varsigma^2}{32\mu_0^2}$$

და $\det\mathbf{\Gamma}_\varsigma = 0$ კომპლექსური სიბრტყის მხოლოდ ორ ς_1 და ς_2 წერტილში. თუ გავითვალისწინებთ (2.73)-ს და $\det\mathbf{\Gamma}_1 = \det\mathbf{\Gamma}^{(1)}$ ტოლობას, შეგვიძლია დავწეროთ $\varsigma_j \neq 1$ $(j = 1,2)$ და

$$\mathrm{ind}\mathcal{N}_1 = \mathrm{ind}\mathcal{N}^{(1)} = \mathrm{ind}\mathcal{N}_0 = 0.$$

მსგავსად გვექნება

$$\mathrm{ind}\mathcal{N}^{(2)} = -\mathrm{ind}\mathcal{N}^{(1)} = 0, \qquad \mathrm{ind}\mathcal{N}^{(3)} = -\mathrm{ind}\mathcal{N}^{(4)} = 0.$$

ცხადია, სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი $\mathcal{N}^{(r)}$ $(r = 1,2,3,4)$ ნორმალური ტიპისაა და მისი ინდექსი ნულია. მაშასადამე, ამ ოპერატორებისთვის სამართლიანია ნეტერის თეორემები.

შევნიშნოთ, რომ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის ძირითადი ცნებები და თეორემები (მათ შორის ნეტერის თეორემები) მოყვანილია [44] და [49] მონოგრაფიებში.

2.7. არსებობის თეორემები

ამ პარაგრაფში დავამტკიცებთ $(K)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(K)^{-}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანების რეგულარული ამონახსნების არსებობის თეორემებს პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით, სადაც $K = I, II$.

შევნიშნოთ, რომ თეორემა 2.16 და თეორემა 2.17-ის საფუძველზე მოცულობითი პოტენციალი $\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x}, \mathbf{F}, \Omega^{\pm})$ არის (2.9) არაერთგვაროვანი განტოლების კერძო ამონახსნი, სადაც $\mathbf{F} \in C^{0,\nu'}(\Omega^{\pm})$, $0 < \nu' \leq 1$, ხოლო $\mathrm{supp}\mathbf{F}$ შემოსაზღვრული არეა Ω^{-} -ში. რის გამოც, საკმარისია დავამტკიცოთ $(K)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ და $(K)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანების რეგულარული ამონახსნების არსებობის თეორემები. ცხადია, ამ თეორემებიდან მივიღებთ $(K)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(K)^{-}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანების რეგულარული ამონახსნების არსებობას, სადაც $K = I, II$.

ამოცანა $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი ორმაგი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x}, \mathbf{g}), \tag{2.74}$$

სადაც $\mathbf{g}$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა და $\mathbf{x} \in \Omega^{+}$.

თეორემა 2.15-ის საფუძველზე, $\mathbf{U}$ ვექტორ-ფუნქცია (2.57)-ის ამონახსნია, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{+}$. თუ გავითვალისწინებთ (2.38) და (2.71)-ს, მაშინ (2.74)-დან მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(1)}\mathbf{g}(\boldsymbol{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{2.75}$$

სადაც $\mathbf{g}$ უცნობი ვექტორ-ფუნქციაა და $\boldsymbol{z} \in S$. დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის (2.75) განტოლება ყოველთვის ამოხსნადია.

ცხადია, (2.75)-ის შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლება შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი ფორმით

$$\mathcal{N}^{(2)}\mathbf{h}(\boldsymbol{z}) = \mathbf{0}, \tag{2.76}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$, ხოლო $\mathbf{h}$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა. ვაჩვენოთ, რომ (2.76)-ს აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი.

ვთქვათ, $\mathbf{h}_0$ არის (2.76) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი. თეორემა 2.14-ის და (2.76) ტოლობის საფუძველზე ვექტორ-ფუნქცია $\mathbf{V}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{h_0})$ იქნება $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$

ამოცანის რეგულარული ამონახსნი. როგორც ვიცით (იხ. თეორემა 2.13), $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, ე.ი.

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}, \tag{2.77}$$

სადაც $\mathbf{x} \in \Omega^{-}$.

ასევე, თეორემა 2.14 და (2.77) ტოლობის გამოყენებით მივიღებთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} = 0,$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$. ცხადია, $\mathbf{V}(\mathbf{x})$ ვექტორი $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნია და თეორემა 2.11-ის ძალით ვღებულობთ

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}, \tag{2.78}$$

როცა $\mathbf{x} \in \Omega^{+}$. თუ გავითვალისწინებთ (2.70), (2.77) და (2.78) ფორმულებს, შეგვიძლია დავწეროთ

$$\mathbf{h}_{\mathbf{0}}(\mathbf{z}) = \{\mathbf{R}(\mathbf{D}_{\mathbf{z}}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} - \{\mathbf{R}(\mathbf{D}_{\mathbf{z}}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0},$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

აქედან გამომდინარე, (2.76) განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ფრედჰოლმის თეორემის საფუძველზე (2.75) არაერთგვაროვანი განტოლება ყოველთვის ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის.

მაშასადამე, დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.18. თუ $S \in C^{2,\nu}, \mathbf{f} \in C^{1,\nu'}(S), 0 < \nu' < \nu \leq 1$, მაშინ არსებობს $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი, რომელიც ერთადერთია და წარმოიდგინება (2.74) ორმაგი ფენის პოტენციალის სახით, სადაც $\mathbf{g}$ არის (2.75) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ყოველთვის ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის.

ამოცანა $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი მარტივი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{h}), \tag{2.79}$$

სადაც $\mathbf{h}$ ხუთკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა და $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. თეორემა 2.14-ის ძალით $\mathbf{U}$ ვექტორ-ფუნქცია (2.57) განტოლების ამონახსნია, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. ამასთანავე, (2.41) (2.70) ფორმულების გამოყენებით უცნობი $\mathbf{h}$ ვექტორისთვის (2.79)-დან მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(2)}\mathbf{h}(\mathbf{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}),$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

თეორემა 2.18-ში დავამტკიცეთ, რომ (2.79) ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. აქედან გამომდინარე, (2.80) განტოლება ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის და სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.19. თუ $S \in C^{2,v}, \mathbf{f} \in C^{0,v'}(S), 0 < v' < v \leq 1$, მაშინ $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს, იგი ერთადერთია და წარმოიდგინება (2.79) მარტივი ფენის პოტენციალის სახით, სადაც $\mathbf{h}$ არის (2.80) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის.

ამოცანა $(I)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალების ჯამის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) + \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}), \tag{2.81}$$

სადაც $\mathbf{g}$ ხუთკომპონენტიანი უცნობი ვექტორ-ფუნქციაა და $\mathbf{x} \in \Omega^{-}$.

თეორემა 2.14 და თეორემა 2.15-ის ძალით $\mathbf{U}$ ვექტორ-ფუნქცია (2.59) განტოლების რეგულარული ამონახსნია, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. თუ გავითვალისწინებთ (2.40) სასაზღვრო პირობას და (2.71) ფორმულას, მაშინ (2.81)-დან უცნობი $\mathbf{g}$ ვექტორ-ფუნქციისათვის მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(5)}\mathbf{g}(\mathbf{z}) \equiv \mathcal{N}^{(3)}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{2.82}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

დავამტკიცოთ, რომ (2.82) განტოლება ყოველთვის ამოხსნადია. ცხადია, $\mathcal{N}^{(5)}$ ნორმალური ტიპის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორია და $\operatorname{ind}\mathcal{N}^{(5)} = \operatorname{ind}\mathcal{N}^{(3)} = 0$. პირველ რიგში ვაჩვენოთ, რომ

$$\mathcal{N}^{(5)}\mathbf{g_0}(\mathbf{z}) = \mathbf{0} \tag{2.83}$$

ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

დავუშვათ, $\mathbf{g}_0$ არის (2.83) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი. მაშინ

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}_0) + \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}_0) \tag{2.84}$$

ვექტორი იქნება $(I)_{\mathbf{0,0}}^{-}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი და თეორემა 2.13-ის ძალით მივიღებთ (2.77) ტოლობას.

ასევე, (2.70), (2.71) და (2.80) ტოლობების გამოყენებით შეგვიძლია დავწეროთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} - \{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} = \mathbf{g}_0(\mathbf{z}),$$
$$\{\mathbf{R}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} - \{\mathbf{R}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} = -\mathbf{g}_0(\mathbf{z}), \tag{2.85}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$. თუ (2.85) თანაფარდობებში ჩავსვამთ (2.77)-ს, მივიღებთ

$$\{\mathbf{R}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z}) + \mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0}, \tag{2.86}$$

როცა $\boldsymbol{z} \in S$.

ცხადია, $\mathbf{V}$ ვექტორი (2.57) განტოლების ამონახსნია Ω^{+}-ში და აკმაყოფილებს (2.86) ერთგვაროვან სასაზღვრო პირობას. თუ $\mathbf{V}$ ვექტორისთვის გამოვიყენებთ (2.43) იგივეობებს, მაშინ გვექნება

$$\int_{\Omega^+} W^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})d\mathbf{x} = -\int_S |\mathbf{u}|^2 d_{\mathbf{z}}S, \qquad \int_{\Omega^+} W^{(2)}(\mathbf{U},\varphi)d\mathbf{x} = -\int_S |\varphi|^2\, d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int_{\Omega^+} W^{(3)}(\mathbf{U},p)d\mathbf{x} = -\int_S |p|^2\, d_{\mathbf{z}}S.$$

აქედან (2.60) იგივეობის გათვალისწინებით ვწერთ

$$\int_{\Omega^+} \left[\frac{1}{3}(3\lambda + 2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2 + 2b\mathrm{Re}[\varphi\mathrm{div}\bar{\mathbf{u}}] + \alpha_1|\varphi|^2 + W^{(0)}(\mathbf{u}) + \alpha|\nabla\varphi|^2 + a|p|^2\right] d\mathbf{x}$$

$$= -\int_S (|\mathbf{u}|^2 + |\varphi|^2) d_{\mathbf{z}}S.$$

მიღებული ტოლობიდან (2.10) უტოლობების ძალით მარტივად მივიღებთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0}, \tag{2.87}$$

როცა $\boldsymbol{z} \in S$. ბოლოს, (2.85)-ის პირველი ტოლობიდან (2.77) და (2.87)-ის გათვალისწინებით გვაქვს $\mathbf{g}_0(\boldsymbol{z}) \equiv \mathbf{0}$, სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

მაშასადამე, (2.83) ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ფრედჰოლმის თეორემის საფუძველზე, ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის (2.82) ინტეგრალური განტოლება ყოველთვის ამოხსნადია.

ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.20. თუ $S \in C^{2,v}, \mathbf{f} \in C^{1,v'}(S), 0 < v' < v \leq 1$, მაშინ $(I)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს, იგი ერთადერთია და წარმოიდგინება (2.81) მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალის ჯამის სახით, სადაც $\mathbf{g}$ არის (2.82) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის ყოველთვის ამოხსნადია.

ამოცანა $(II)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი მარტივი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}), \tag{2.88}$$

სადაც $\mathbf{g}$ ხუთკომპონენტიანი უცნობი ვექტორ-ფუნქცია და $\mathbf{x} \in \Omega^{+}$. თუ გავითვალისწინებთ (2.70) ფორმულას და (2.39) სასაზღვრო პირობას, მაშინ $\mathbf{g}$ ვექტორის მიმართ მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(4)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{2.89}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

განვიხილოთ შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლება

$$\mathcal{N}^{(4)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \tag{2.90}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$. ცხადია, (2.90)-ის მიკავშირებულ ერთგვაროვან განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\mathcal{N}^{(3)}\mathbf{h}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \tag{2.91}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

სამართლიანია შემდეგი ლემა.

ლემა 2.4. (2.90) და (2.91) ერთგვაროვან განტოლებებს აქვთ ექვსი წრფივად დამოუკიდებელი ამონახსნი, რომლებიც ქმნიან ამონახსნთა სრულ სისტემას.

დამტკიცება. (2.64) და (2.66) თანაფარდობების საფუძველზე შემოვიღოთ შემდეგი ხუთკომპონენტიანი ვექტორები:

$$\boldsymbol{\phi}^{(1)} = (1,0,0,0,0), \qquad \boldsymbol{\phi}^{(2)} = (0,1,0,0,0), \qquad \boldsymbol{\phi}^{(3)} = (0,0,1,0,0),$$

$$\boldsymbol{\phi}^{(4)} = (0,-x_3,x_2,0,0), \qquad \boldsymbol{\phi}^{(5)} = (x_3,0,-x_1,0,0), \qquad \boldsymbol{\phi}^{(6)} = (-x_2,x_1,0,0,0). \tag{2.92}$$

ცხადია, $\left\{\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x})\right\}_{j=1}^{6}$ წრფივად დამოუკიდებელ ვექტორთა სისტემაა. თეორემა 2.12-ის ძალით ყოველი $\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x})$ ვექტორი $(II)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნია და

ასევე, ამონახსნია (2.91) ერთგვაროვანი სინგულარული ინტეგრალური განტოლების. აქედან გამომდინარე, გვაქვს

$$\mathbf{M}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x}) = \mathbf{0}, \qquad \mathbf{x} \in \Omega^{+},$$

$$\left\{\mathbf{R}(\mathbf{D}_{\mathbf{z}}, \mathbf{n})\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x})\right\}^{+} = \mathbf{0}, \qquad \mathcal{N}^{(4)}\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x}) = \mathbf{0}, \qquad \boldsymbol{z} \in S$$

და $j = 1,2,\dots,6$. აღნიშნულ (2.90) და (2.91) განტოლებებს აქვთ სულ მცირე ექვსი წრფივად დამოუკიდებელი ამონახსნი.

ახლა ვაჩვენოთ, რომ $\left\{\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x})\right\}_{j=1}^{6}$ არის (2.91)-ის წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა სრული სისტემა.

ვთქვათ, $\left\{\mathbf{g}^{(j)}(\mathbf{z})\right\}_{j=1}^{m}$ არის (2.90) ერთგვაროვანი ინტეგრალური განტოლების წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა სრული სისტემა, სადაც $m \geq 6$. ავაგოთ მარტივი ფენის პოტენციალები $\mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \mathbf{g}^{(j)}\right)$ $(j = 1, 2, \dots, m)$. მათი წრფივი კომბინაცია გავუტოლოთ ნულს. მივიღებთ

$$0 = \sum_{j=1}^{m} \chi_j \mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \mathbf{g}^{(j)}\right) = \mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \sum_{j=1}^{m} \chi_j \mathbf{g}^{(j)}\right), \qquad \mathbf{x} \in \Omega^{+},$$

სადაც $\chi_1, \chi_2, \dots, \chi_m$ ნებისმიერი მუდმივებია. აქედან გამომდინარე გვაქვს

$$\sum_{j=1}^{m} \chi_j \, \mathbf{g}^{(j)}(\boldsymbol{z}) = 0, \qquad \boldsymbol{z} \in S. \tag{2.93}$$

რადგან $\left\{\mathbf{g}^{(j)}(\mathbf{z})\right\}_{j=1}^{m}$ წრფივად დამოუკიდებელ ვექტორთა სისტემაა, ამიტომ (2.93)-დან ვწერთ $\chi_1 = \chi_2 = \cdots = \chi_m = 0$, ე.ი. $\left\{\mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \mathbf{g}^{(j)}\right)\right\}_{j=1}^{m}$ ვექტორთა სისტემაც წრფივად დამოუკიდებელია.

ამასთანავე, თითოეული $\mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \mathbf{g}^{(j)}\right)$ $(j = 1, 2, \dots, m)$ ვექტორი $(II)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნია. თეორემა 2.12-ისა და (2.92)-ის საფუძველზე $\mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \mathbf{g}^{(j)}\right)$ ვექტორი შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი ფორმით

$$\mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \mathbf{g}^{(j)}\right) = \sum_{l=1}^{6} \chi_{jl} \boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x}),$$

სადაც χ_{jl} ($j = 1,2, \dots., m; l = 1,2, \dots ,6$) ნებისმიერი მუდმივებია. აქედან გამომდინარე, $\left\{\mathbf{P}^{(1)}\left(\mathbf{x}, \mathbf{g}^{(j)}\right)\right\}_{j=1}^{m}$ სისტემის ნებისმიერი ვექტორი წარმოიდგინება $\boldsymbol{\phi}^{(1)}(\mathbf{x})$, $\boldsymbol{\phi}^{(2)}(\mathbf{x})$, $\dots, \boldsymbol{\phi}^{(6)}(\mathbf{x})$ ექვსი წრფივად დამოუკიდებელი ვექტორის საშუალებით, ე.ი. $m = 6$.

ნეტერის თეორემის გამოყენებით (იხ. [44, 49]), (2.89) ინტეგრალური განტოლების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა ჩაიწერება შემდეგი ფორმით

$$\int_S \mathbf{f}(\boldsymbol{z}) \cdot \boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{z}) d_{\boldsymbol{z}} S = 0, \qquad j = 1, 2, \dots, 6, \tag{2.94}$$

სადაც $\boldsymbol{\phi}^{(j)}$ განსაზღვრულია (2.92)-ით.

ცხადია, თუ $\mathbf{f} = (f_1, f_2, \dots, f_5)$ და $\mathbf{f}^{(0)} = (f_1, f_2, f_3)$, მაშინ (2.92)-ის საფუძველზე (2.94) თანაფარდობა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\int_S \mathbf{f}^{(0)}(\boldsymbol{z}) d_{\boldsymbol{z}} S = \mathbf{0}, \qquad \int_S \boldsymbol{z} \times \mathbf{f}^{(0)}(\boldsymbol{z}) d_{\boldsymbol{z}} S = \mathbf{0}. \tag{2.95}$$

მაშასადამე, დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.21. თუ $S \in C^{2,\nu}, \mathbf{f} \in C^{0,\nu'}(S), 0 < \nu' < \nu \leq 1$, მაშინ $(II)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანა ამოხსნადია, როცა შესრულებულია (2.95) პირობა. ასეთ შემთხვევაში ამოცანის ამონახსნი წარმოიდგინება (2.88) მარტივი ფენის პოტენციალის სახით და განსაზღვრულია $\widetilde{\mathbf{U}} = (\widetilde{\mathbf{u}}, \tilde{\varphi}, \tilde{p})$ შესაკრები ვექტორის სიზუსტით, სადაც $\mathbf{g}$ არის (2.89) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი და

$$\widetilde{\mathbf{u}}(\mathbf{x}) = \widetilde{\boldsymbol{a}} + \widetilde{\boldsymbol{b}} \times \mathbf{x}, \qquad \tilde{\varphi}(\mathbf{x}) = \tilde{p}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}, \qquad \mathbf{x} \in \Omega^{+},$$

ხოლო $\widetilde{\boldsymbol{a}}$ და $\widetilde{\boldsymbol{b}}$ ნებისმიერი სამკომპონენტიანი მუდმივი ვექტორებია.

თავი 3. მარტივი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანები

3.1. ძირითადი განტოლებები

მარტივი ფოროვნობის მქონე სხეულების თერმოდრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის მოძრაობის განტოლებები ეფუძნება ერთმანეთთან დაკავშირებულ ექვსი ტიპის შემდეგ თანაფარდობებს (იხ. [47]).

1. **წონასწორობის განტოლებები**

$$\hat{t}_{lj,j} = -\rho \hat{F}_l', \qquad \hat{\sigma}_{j,j} + \hat{\xi}_2 = -\rho \hat{s}_1, \qquad l = 1,2,3, \tag{3.1}$$

სადაც $\hat{\xi}$ ფუნქცია სხეულის შიგა წონასწორობის ძალაა, რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად

$$\hat{\xi}_2 = -b\hat{e}_{rr} - \alpha_1 \hat{\varphi} + m\hat{p} + \gamma_1 \hat{\theta}, \tag{3.2}$$

$\hat{e}_{lj}$ ძაბვის ტენზორის კომპონენტია, რომელიც განსაზღვრულია (2.3) ფორმულით.

2. **ძირითადი განტოლებები**

$$\begin{aligned} &\hat{t}_{lj} = 2\mu \hat{e}_{lj} + \lambda \hat{e}_{rr}\delta_{lj} + \left(b\hat{\varphi} - \beta\hat{p} - \gamma_0\hat{\theta}\right)\delta_{lj}, \\ &\hat{\sigma}_l = \alpha \hat{\varphi}_{,l}, \qquad\qquad l,j = 1,2,3. \end{aligned} \tag{3.3}$$

3. **სითხის მასის შენახვის განტოლება**

$$\hat{v}_{j,j} + a_0\dot{\hat{p}} + \beta\dot{\hat{e}}_{rr} + m\dot{\hat{\varphi}} + \gamma_2\dot{\hat{\theta}} = 0, \tag{3.4}$$

სადაც a_0 ფორების კუმშვადობის განმსაზღვრელი სიდიდეა.

4. **დარსის კანონი**

$$\hat{\mathbf{v}} = -\frac{\kappa'}{\mu'}\nabla\hat{p} - \rho_1 \hat{\mathbf{s}}_2. \tag{3.5}$$

5. **ფურიეს სითბოგამტარობის კანონი**

$$\hat{\mathbf{q}} = -\kappa\nabla\hat{\theta}, \tag{3.6}$$

სადაც $\hat{\mathbf{q}}$ სითბოს ნაკადის ვექტორია, ხოლო κ ფოროვანი მასალის თბოგამტარობაა.

6. **სითბოს გადაცემის განტოლება**

$$\mathrm{div}\hat{\mathbf{q}} = -T_0\dot{\hat{\eta}} + \rho\hat{s}_3, \tag{3.7}$$

სადაც $\hat{\eta}$ ენტროპიაა და განსაზღვრულია შემდეგი სახით

$$\hat{\eta} = a\hat{\theta} + \gamma_0 \hat{e}_{rr} + \gamma_1 \hat{\varphi} + \gamma_2 \hat{p}, \tag{3.8}$$

სადაც a სხეულის სითბოტევადობაა, ხოლო $\hat{s}_3$ სითბოს წყაროა.

ამ განტოლებებში $b, m, \alpha, \alpha_1, \gamma_0, \gamma_1$ და γ_2 მასალის ძირითადი მუდმივებია.

თუ გავითვალისწინებთ (2.3), (3.2), (3.4), (3.5) და (3.7) ტოლობებს (3.1), (3.3) და (3.6) თანაფარდობებში, მივიღებთ მარტივი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის განტოლებათა შემდეგ სისტემას ჩაწერილს $\hat{\mathbf{u}}$ გადაადგილების ვექტორის, $\hat{\varphi}$ ფორების ფარდობითი მოცულობის, $\hat{p}$ სითხის წნევისა და $\hat{\theta}$ ტემპერატურის ცვლილებების მიმართ

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\hat{\mathbf{u}} + (\lambda+\mu)\nabla \operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + b\nabla\hat{\varphi} - \beta\nabla\hat{p} - \gamma_0\nabla\hat{\theta} = -\rho\hat{\mathbf{F}}',\\
&\alpha\Delta\hat{\varphi} - \alpha_1\hat{\varphi} - b\operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + m\hat{p} + \gamma_1\hat{\theta} = -\rho\hat{s}_1,\\
&k\Delta\hat{p} - a_0\dot{\hat{p}} - \beta\operatorname{div}\dot{\hat{\mathbf{u}}} - m\dot{\hat{\varphi}} - \gamma_2\dot{\hat{\theta}} = -\rho_1\operatorname{div}\hat{\mathbf{s}}_2,\\
&\kappa\Delta\hat{\theta} - T_0\left(a\dot{\hat{\theta}} + \gamma_0\operatorname{div}\dot{\hat{\mathbf{u}}} + \gamma_1\dot{\hat{\varphi}} + \gamma_2\dot{\hat{p}}\right) = -\rho\hat{s}_3,
\end{aligned} \tag{3.9}$$

სადაც $k = \frac{\kappa'}{\mu'}$.

თუ $\hat{\mathbf{u}}$, $\hat{\varphi}$, $\hat{p}$, $\hat{\theta}$, $\widehat{\mathbf{F}}'$, $\hat{s}_1$, $\hat{\mathbf{s}}_2$ და $\hat{s}_3$ ფუნქციები დროის პარამეტრზე ჰარმონიულადაა დამოკიდებული, ე.ი.

$$\{\hat{\mathbf{u}}, \hat{\varphi}, \hat{p}, \hat{\theta}, \hat{\mathbf{F}}', \hat{s}_1, \hat{\mathbf{s}}_2, \hat{s}_3\}(\mathbf{x}, t) = \operatorname{Re}[\{\mathbf{u}, \varphi, p, \theta, \mathbf{F}', s_1, \mathbf{s_2}, s_3\}\,(\mathbf{x})\; e^{-i\omega t}],$$

მაშინ (3.9)-დან მივიღებთ ამავე თეორიის მდგრადი რხევის განტოლებათა შემდეგ სისტემას

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla\operatorname{div}\mathbf{u} + b\nabla\varphi - \beta\nabla p - \gamma_0\nabla\theta = -\rho\mathbf{F}',\\
&(\alpha\Delta + \alpha_1)\varphi - b\operatorname{div}\mathbf{u} + mp + \gamma_1\theta = -\rho s_1,\\
&(k\Delta + a_0')p + \beta'\operatorname{div}\mathbf{u} + m'\varphi + \gamma_2'\theta = -\rho_1\operatorname{div}\mathbf{s}_2,\\
&(\kappa\Delta + a')\theta + \gamma_0'\operatorname{div}\mathbf{u} + \gamma_1'\varphi + \gamma_2' T_0 p = -\rho s_3,
\end{aligned} \tag{3.10}$$

სადაც ω რხევის სიხშირეა, $\omega > 0$, $a_0' = i\omega a_0$, $\beta' = i\omega\beta$, $m' = i\omega m$, $\gamma_2' = i\omega\gamma_2$, $a' = i\omega T_0 a$, $\gamma_0' = i\omega T_0\gamma_0$, $\gamma_1' = i\omega T_0\gamma_1$.

შემოვიღოთ მეორე რიგის მუდმივკოეფიციენტებიანი მატრიცული დიფერენციალური ოპერატორი:

$$\boldsymbol{\mathcal{M}}(\mathbf{D_x}) = (\mathcal{M}_{lj}(\mathbf{D_x}))_{6\times 6}, \qquad \mathcal{M}_{lj}(\mathbf{D_x}) = \mu\Delta\delta_{lj} + (\lambda+\mu)\frac{\partial^2}{\partial x_l \partial x_j},$$

$$\mathcal{M}_{l4}(\mathbf{D_x}) = -\mathcal{M}_{4l}(\mathbf{D_x}) = b\frac{\partial}{\partial x_l}, \quad \mathcal{M}_{l5}(\mathbf{D_x}) = -\beta\frac{\partial}{\partial x_l}, \quad \mathcal{M}_{l6}(\mathbf{D_x}) = -\gamma_0\frac{\partial}{\partial x_l},$$

$$\mathcal{M}_{44}(\mathbf{D_x}) = \alpha\Delta - \alpha_1, \qquad \mathcal{M}_{45}(\mathbf{D_x}) = m, \qquad \mathcal{M}_{46}(\mathbf{D_x}) = \gamma_1,$$

$$\mathcal{M}_{5l}(\mathbf{D_x}) = \beta'\frac{\partial}{\partial x_l}, \quad \mathcal{M}_{54}(\mathbf{D_x}) = m', \qquad \mathcal{M}_{55}(\mathbf{D_x}) = k\Delta - a_0', \quad \mathcal{M}_{56}(\mathbf{D_x}) = \gamma_2',$$

$$\mathcal{M}_{6l}(\mathbf{D_x}) = \gamma_0'\frac{\partial}{\partial x_l}, \qquad \mathcal{M}_{64}(\mathbf{D_x}) = \gamma_1', \qquad \mathcal{M}_{65}(\mathbf{D_x}) = \gamma_2' T_0,$$

$$\mathcal{M}_{66}(\mathbf{D_x}) = \kappa\Delta + a', \qquad\qquad l,j = 1,2,3.$$

ნათელია, (3.7) სისტემა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\boldsymbol{\mathcal{M}}(\mathbf{D_x})\,\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{F}(\mathbf{x}), \tag{3.11}$$

სადაც $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi, p, \theta)$ და $\mathbf{F} = (-\rho\mathbf{F}', -\rho s_1, -\rho_2 \operatorname{div}\mathbf{s}_2, -\rho s_3)$ ექვსკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია და $\mathbf{x} \in \mathbb{R}^3$.

ამ თავში ვიგულისხმოთ, რომ ფოროვანი მასალის ძირითადი მუდმივები აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს

$$\begin{aligned} &\mu > 0, \quad 3\lambda + 2\mu > 0, \quad (3\lambda+2\mu)\alpha_1 - 3b^2 > 0, \\ &k > 0, \quad a > 0, \quad \alpha > 0, \quad \kappa > 0, \quad aa_0 - \gamma_2^2 > 0. \end{aligned} \tag{3.12}$$

3.2. ფუნდამენტური ამონახსნი

განმარტება 3.1. $\boldsymbol{\mathcal{G}}(\mathbf{x}) = (\mathcal{G}_{lj}(\mathbf{x}))_{6\times 6}$ მატრიცას ეწოდება (3.10) სისტემის ფუნდამენტური ამონახსნი, თუ განზოგადებულ ფუნქციათა კლასში იგი აკმაყოფილებს შემდეგ განტოლებას

$$\boldsymbol{\mathcal{M}}(\mathbf{D_x})\boldsymbol{\mathcal{G}}(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x})\mathbf{J}_6,$$

სადაც $\mathbf{x} \in \mathbb{R}^3$.

ავაგოთ $\boldsymbol{\mathcal{G}}(\mathbf{x})$ მატრიცა შემდეგი მეთოდით. თავდაპირველად განვიხილოთ არაერთგვაროვან განტოლებათა შემდეგი სისტემა

$$\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla\operatorname{div}\mathbf{u} - b\nabla\varphi + \beta'\nabla p + \gamma_0'\nabla\theta = \boldsymbol{\mathcal{F}}',$$

$$
\begin{aligned}
&(\alpha\Delta-\alpha_1)\varphi+b\,\mathrm{div}\,\mathbf{u}+m'p+\gamma_1'\theta=\mathcal{F}_4,\\
&(k\Delta+a_0')p-\beta\mathrm{div}\,\mathbf{u}+m\varphi+\gamma_2'T_0\theta=\mathcal{F}_5,\\
&(\kappa\Delta+a')\theta-\gamma_0\mathrm{div}\,\mathbf{u}+\gamma_1\varphi+\gamma_2'p=\mathcal{F}_6,
\end{aligned}
\tag{3.13}
$$

სადაც $\boldsymbol{\mathcal{F}}'=(\mathcal{F}_1,\mathcal{F}_2,\mathcal{F}_3)$, ხოლო $\mathcal{F}_1,\mathcal{F}_2,\dots,\mathcal{F}_6$ გლუვი ფუნქციებია $\mathbb{R}^3$-ზე. გადავწეროთ (3.13) სისტემა შემდეგი სახით

$$
\boldsymbol{\mathcal{M}}^{\mathrm{T}}(\mathbf{D}_\mathbf{x})\mathbf{U}(\mathbf{x})=\boldsymbol{\mathcal{F}}(\mathbf{x}),
\tag{3.14}
$$

სადაც $\boldsymbol{\mathcal{M}}^{\mathrm{T}}$ არის $\boldsymbol{\mathcal{M}}$ მატრიცის ტრანსპონირებული, $\mathbf{U}=(\mathbf{u},\varphi,p,\theta)$, $\boldsymbol{\mathcal{F}}=(\mathcal{F}_1,\mathcal{F}_2,\dots,\mathcal{F}_6)$.

თუ (3.13) სისტემის პირველ განტოლებაზე ვამოქმედებთ div ოპერატორს, მივიღებთ შემდეგ სისტემას

$$
\begin{aligned}
&\mu_0\Delta\,\mathrm{div}\,\mathbf{u}-b\Delta\varphi+\beta'\Delta p+\gamma_0'\Delta\theta=\mathrm{div}\,\boldsymbol{\mathcal{F}}',\\
&b\mathrm{div}\,\mathbf{u}+(\alpha\Delta-\alpha_1)\varphi+m'p+\gamma_1'\theta=\mathcal{F}_4,\\
&-\beta\,\mathrm{div}\,\mathbf{u}+m\varphi+(k\Delta+a_0')p+\gamma_2'T_0\theta=\mathcal{F}_5,\\
&-\gamma_0\,\mathrm{div}\,\mathbf{u}+\gamma_1\varphi+\gamma_2'p+(\kappa\Delta+a')\theta=\mathcal{F}_6,
\end{aligned}
\tag{3.15}
$$

სადაც $\mu_0=\lambda+2\mu$. ცხადია, (3.15)-დან გვაქვს

$$
\boldsymbol{\mathcal{A}}(\Delta)\mathbf{V}=\mathbf{\Phi},
\tag{3.16}
$$

სადაც $\mathbf{V}=(\mathrm{div}\,\mathbf{u},\varphi,p,\theta)=(V_1,V_2,V_3,V_4)$, $\mathbf{\Phi}=(\mathrm{div}\,\boldsymbol{\mathcal{F}}',\mathcal{F}_4,\mathcal{F}_5,\mathcal{F}_6)=(\Phi_1,\Phi_2,\Phi_3,\Phi_4)$ და

$$
\boldsymbol{\mathcal{A}}(\Delta)=(\mathcal{A}_{lj}(\Delta))_{4\times4}=\begin{pmatrix}
\mu_0\Delta & -b\Delta & \beta'\Delta & \gamma_0'\Delta\\
b & \alpha\Delta-\alpha_1 & m' & \gamma_1'\\
-\beta & m & k\Delta+a_0' & \gamma_2'T_0\\
-\gamma_0 & \gamma_1 & \gamma_2' & \kappa\Delta+a'
\end{pmatrix}_{4\times4}.
$$

შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნა

$$
\Lambda_1(\Delta)=\frac{1}{\alpha k\kappa\mu_0}\det\boldsymbol{\mathcal{A}}(\Delta)=\Delta\prod_{j=1}^{3}\left(\Delta+\lambda_j^2\right),
$$

სადაც λ_1^2, λ_2^2 და λ_3^2 არის $\Lambda_1(-\xi)=0$ განტოლების ნულისგან განსხვავებული ფესვები ξ -ის მიმართ. ვიგულისხმოთ, რომ $\mathrm{Im}\lambda_l>0$, $\lambda_l\neq\lambda_j$ $(l,j=1,2,3,l\neq j)$. შემდეგი ტოლობები მარტივად მიიღება (3.16) ფორმულიდან

$$
\Lambda_1(\Delta)\,\mathrm{div}\,\mathbf{u}=\Psi_1,\quad \Lambda_1(\Delta)\varphi=\Psi_2,\quad \Lambda_1(\Delta)p=\Psi_3,\quad \Lambda_1(\Delta)\theta=\Psi_4,
\tag{3.17}
$$

სადაც

$$\Psi_l = \frac{1}{\alpha k\kappa\mu_0}\sum_{j=1}^{4}\mathcal{A}_{jl}^{*}\Phi_j, \qquad l = 1, 2, 3, 4 \tag{3.18}$$

და $\mathcal{A}_{jl}^{*}$ არის $\boldsymbol{\mathcal{A}}$ მატრიცის $\mathcal{A}_{jl}$ ელემენტის ალგებრული დამატება.

თუ ვამოქმედებთ $\Lambda_1(\Delta)$ ოპერატორს (3.13) სისტემის პირველ განტოლებაზე, მივიღებთ

$$\det\mathbf{\Gamma}_{\varsigma} = \frac{\mu_0^2-\mu^2\varsigma^2}{64\mu_0^2}$$

და $\det\mathbf{\Gamma}_{\varsigma} = 0$ კომპლექსური სიბრტყის მხოლოდ ორ ς_1 და ς_2 წერტილში. თუ გავითვალისწინებთ (3.70)-ს და $\det\mathbf{\Gamma}_1 = \det\mathbf{\Gamma}^{(1)}$ ტოლობას, მივიღებთ $\varsigma_j \neq 1$ ($j = 1,2$) და

$$\mathrm{ind}\,\mathcal{N}_1 = \mathrm{ind}\,\mathcal{N}^{(1)} = \mathrm{ind}\,\mathcal{N}_0 = 0.$$

შეგვიძლია დავამტკიცოთ

$$\mathrm{ind}\,\mathcal{N}^{(2)} = -\mathrm{ind}\,\mathcal{N}^{(1)} = 0, \qquad \mathrm{ind}\,\mathcal{N}^{(3)} = -\mathrm{ind}\,\mathcal{N}^{(4)} = 0.$$

ცხადია, სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი $\mathcal{N}^{(r)}$ ($r = 1,2,3,4$) ნორმალური ტიპისაა და მისი ინდექსი ნულია, ე.ი. $\mathcal{N}^{(r)}$ ოპერატორისთვის სამართლიანია ნეტერის თეორემები.

3.7. არსებობის თეორემები

ამ პარაგრაფში პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დავამტკიცებთ $(K)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(K)^{-}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანების კლასიკურ ამონახსნთა არსებობის თეორემებს, სადაც $K = I, II$.

თავიდანვე შევნიშნოთ, რომ თეორემა 3.16 და თეორემა 3.17-ის საფუძველზე მოცულობითი პოტენციალი $\boldsymbol{\mathcal{P}}^{(3)}(\mathbf{x},\mathbf{F},\Omega^{\pm})$ არაერთგვაროვანი (3.11) განტოლების კერძო ამონახსნია, სადაც $\mathbf{F} \in C^{0,\nu'}(\Omega^{\pm}), 0 < \nu' \leq 1$ და $\mathrm{supp}\mathbf{F}$ შემოსაზღვრულია Ω^{-} არეში. ამიტომ, $(K)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(K)^{-}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანების კლასიკურ ამონახსნთა არსებობის დასამტკიცებლად საკმარისია ვაჩვენოთ $(K)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ და $(K)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანების კლასიკური ამონახსნების არსებობა, სადაც $K = I, II$.

ამოცანა $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი ორმაგი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \boldsymbol{\mathcal{P}}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}), \quad \mathbf{x} \in \Omega^{+}, \tag{3.71}$$

სადაც $\mathbf{g}$ ექვსკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა. თეორემა 3.15-ის ბ) თვისების ძალით $\mathbf{U}$ არის (3.52)-ის ამონახსნი, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{+}$. ამავე დროს, (3.71)-დან (3.34)-ის ძალით და (3.69) იგივეობის გამოყენებით მივიღებთ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(1)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{3.72}$$

სადაც $\mathbf{g}$ უცნობი ვექტორ-ფუნქციაა და $\mathbf{z} \in S$.

რადგან $\mathcal{N}^{(2)}$ არის $\mathcal{N}^{(1)}$-ის მიკავშირებული სინგულარულ ინტეგრალური ოპერატორი, ამიტომ (3.72)-ის მიკავშირებულ ერთგვაროვან განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\mathcal{N}^{(2)}\,\mathbf{h}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S, \tag{3.73}$$

სადაც $\mathbf{h}$ ექვსკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა. დავამტკიცოთ, რომ (3.73)-ს აქვს ტრივიალური ამონახსნი.

ვთქვათ, $\mathbf{h}_0$ არის (3.73) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი. მაშინ თეორემა 3.14-ის ბ) და დ) თვისებებისა და (3.73)-ის გათვალისწინებით $\mathbf{V}(\mathbf{x}) = \boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{h_0})$ ვექტორ-ფუნქცია იქნება $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი. თეორემა 3.13-ის ძალით $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, ე.ი.

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}, \quad \mathbf{x} \in \Omega^{-}. \tag{3.74}$$

თეორემა 3.14-ის ა) თვისებისა და (3.74) პირობის გამო გვაქვს

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S,$$

ანუ $\mathbf{V}(\mathbf{x})$ წარმოადგენს $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარულ ამონახსნს. თეორემა 3.11-ის გამოყენებით მივიღებთ

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}, \quad \mathbf{x} \in \Omega^{+}. \tag{3.75}$$

ბოლოს, (3.68) იგივეობისა და (3.74), (3.75) პირობების ძალით დავწეროთ

$$\mathbf{h_0}(\mathbf{z}) = \{\boldsymbol{\mathcal{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} - \{\boldsymbol{\mathcal{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S.$$

ამგვარად, (3.73) ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ნეტერის თეორემის საფუძველზე (3.72) არაერთგვაროვანი განტოლება ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისათვის. ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 3.18. თუ $S \in C^{2,\nu}$, $\mathbf{f} \in C^{1,\nu'}(S), 0 < \nu' < \nu \leq 1$, მაშინ $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს, იგი ერთადერთია და წარმოიდგინება (3.71) ორმაგი ფენის პოტენციალის სახით, სადაც $\mathbf{g}$ არის (3.73) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორ-ფუნქციისთვის.

ამოცანა $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი მარტივი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{h}), \quad \mathbf{x} \in \Omega^{-}, \tag{3.76}$$

სადაც $\mathbf{h}$ ექვსკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა. თეორემა 3.14-ის ძალით $\mathbf{U}$ არის (3.52)-ის ამონახსნი, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. თუ გავითვალისწინებთ (3.68) იგივეობას და (3.37) სასაზღვრო პირობას, (3.76)-დან უცნობი $\mathbf{h}$ ვექტორის მიმართ მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(2)}\, \mathbf{h}(\mathbf{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \quad \mathbf{z} \in S. \tag{3.77}$$

თეორემა 3.18-ში დავამტკიცეთ, რომ (3.77)-ის შესაბამის (3.73) ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ამიტომ (3.77) არაერთგვაროვანი განტოლება ამოხსნადია და მაშასადამე, სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 3.19. თუ $S \in C^{2,v}$, $\mathbf{f} \in C^{0,v'}(S), 0 < v' < v \leq 1$, მაშინ $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს, იგი ერთადერთია და წარმოიდგინება (3.76) მარტივი ფენის პოტენციალის სახით, სადაც $\mathbf{h}$ არის (3.77) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორ-ფუნქციისათვის.

ამოცანა $(I)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის ამონახსნი მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალების ჯამის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) + \boldsymbol{\mathcal{P}}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}), \quad \mathbf{x} \in \Omega^{-}, \tag{3.78}$$

სადაც $\mathbf{g}$ ექვსკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა.

თეორემა 3.14 და თეორემა 3.15-ის ძალით, $\mathbf{U}$ არის (3.52) განტოლების რეგულარური ამონახსნი, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. თუ გავითვალისწინებთ (3.36) სასაზღვრო პირობას და გამოვიყენებთ (3.68) იგივეობას, მაშინ (3.78)-დან, უცნობი $\mathbf{g}$ ვექტორის მიმართ, მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(5)}\mathbf{g}(\mathbf{z}) \equiv \mathcal{N}^{(3)}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \qquad \mathbf{z} \in S. \tag{3.79}$$

ვაჩვენოთ, რომ (3.79) განტოლება ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორ-ფუნქციისათვის.

ცხადია, სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი $\mathcal{N}^{(5)}$ ნორმალური ტიპისაა და $\operatorname{ind}\mathcal{N}^{(5)} = \operatorname{ind}\mathcal{N}^{(3)} = 0$. დავამტკიცოთ, რომ შემდეგ ერთგვაროვან განტოლებას

$$\mathcal{N}^{(5)}\mathbf{g_0}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S \tag{3.80}$$

აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ვთქვათ, $\mathbf{g}_0$ არის (3.80) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი. მაშინ ვექტორი

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) \equiv \boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g_0}) + \boldsymbol{\mathcal{P}}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g_0}), \quad \mathbf{x} \in \Omega^{-} \tag{3.81}$$

იქნება $(I)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი და თეორემა 3.13-ის გამოყენებით გვაქვს (3.74) ტოლობა.

ამასთან ერთად, (3.68) და (3.69) იგივეობების გამოყენებით, (3.81)-დან მივიღებთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^+ - \{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^- = \mathbf{g_0}(\mathbf{z}),$$
$$\{\boldsymbol{\mathcal{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^+ - \{\boldsymbol{\mathcal{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^- = -\mathbf{g_0}(\mathbf{z}), \quad \mathbf{z} \in S, \tag{3.82}$$

ხოლო (3.82)-დან (3.74)-ის ძალით გვაქვს

$$\{\boldsymbol{\mathcal{R}}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z}) + \mathbf{V}(\mathbf{z})\}^+ = 0, \quad \mathbf{z} \in S, \tag{3.83}$$

ე.ი. $\mathbf{V}$ ვექტორი (3.52) განტოლების ამონახსნია Ω^+ არეში, რომელიც აკმაყოფილებს (3.83) სასაზღვრო პირობას. ახლა გამოვიყენოთ (3.42) იგივეობა $\mathbf{V}$ ვექტორისთვის და მივიღებთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^+ = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S. \tag{3.84}$$

ბოლოს, (3.82)-ის პირველი განტოლებიდან (3.74) და (3.84)-ის ძალით, მივიღებთ $\mathbf{g_0}(\mathbf{z}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{z} \in S$.

ამგვარად, (3.80) ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ნეტერის თეორემის საფუძველზე (3.79) სინგულარული ინტეგრალური განტოლება ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორ-ფუნქციისთვის. ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 3.20. თუ $S \in C^{2,\nu}$, $\mathbf{f} \in C^{1,\nu'}(S), 0 < \nu' < \nu \leq 1$, მაშინ $(I)^-_{\mathbf{0,f}}$ სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს, იგი ერთადერთია და წარმოიდგინება (3.78) მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალების ჯამის სახით, სადაც $\mathbf{g}$ არის (3.79) სინგულარულ ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორ-ფუნქციისათვის.

ამოცანა $(II)^+_{\mathbf{0,f}}$. ამ ამოცანის რეგულარულ ამონახსნს ვეძებთ მარტივი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{g}), \quad \mathbf{x} \in \Omega^+, \tag{3.85}$$

სადაც $\mathbf{g}$ ექვსკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა.

თუ გავითვალისწინებთ (3.35) სასაზღვრო პირობას და (3.68) იგივეობას, (3.85)-დან $\mathbf{g}$ ვექტორის მიმართ მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{N}^{(3)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \quad \mathbf{z} \in S. \tag{3.86}$$

განვიხილოთ ამ განტოლების შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლება

$$\mathcal{N}^{(3)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S, \tag{3.87}$$

ხოლო (3.87)-ის მიკავშირებულ ერთგვაროვან ინტეგრალურ განტოლებას აქვს შემდეგი ფორმა

$$\mathcal{N}^{(4)}\mathbf{h}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S. \tag{3.88}$$

პირველ რიგში დავამტკიცოთ შემდეგი ლემა.

ლემა 3.3. (3.87) და (3.88) ერთგვაროვანი ინტეგრალური განტოლებებიდან თითოეულს აქვს ექვსი წრფივად დამოუკიდებელი ამონახსნი და ისინი ქმნიან ამონახსნთა სრულ სისტემას.

დამტკიცება. თეორემა 3.12-ის საფუძველზე ავაგოთ ექვსკომპონენტიანი შემდეგი ვექტორები:

$$\begin{aligned} &\boldsymbol{\phi}^{(1)}(\mathbf{x}) = (1,0,0,0,0,0), \qquad \boldsymbol{\phi}^{(2)}(\mathbf{x}) = (0,1,0,0,0,0),\\ &\boldsymbol{\phi}^{(3)}(\mathbf{x}) = (0,0,1,0,0,0), \qquad \boldsymbol{\phi}^{(4)}(\mathbf{x}) = (0,-x_3,x_2,0,0,0),\\ &\boldsymbol{\phi}^{(5)}(\mathbf{x}) = (x_3,0,-x_1,0,0,0), \qquad \boldsymbol{\phi}^{(6)}(\mathbf{x}) = (-x_2,x_1,0,0,0,0). \end{aligned} \tag{3.89}$$

ნათელია, $\{\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x})\}_{j=1}^{6}$ წრფივად დამოუკიდებელ ვექტორთა სისტემაა და თეორემა 3.12-ის ძალით ყოველი $\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x})$ ვექტორი $(II)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნია და ასევე, ამონახსნია (3.88) ერთგვაროვანი სინგულარული ინტეგრალური განტოლების, ე.ი. გვაქვს

$$\boldsymbol{\mathcal{M}}(\mathbf{D_x})\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x}) = \mathbf{0}, \qquad \mathbf{x} \in \Omega^{+},$$

$$\{\boldsymbol{\mathcal{R}}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0}, \qquad \mathcal{N}^{(4)}\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{z} \in S,$$

სადაც $j = 1,2,\dots,6$. აქედან გამომდინარე, (3.87) და (3.88) განტოლებებიდან თითოეულს აქვს ექვსი წრფივად დამოუკიდებელი ამონახსნი. ვაჩვენოთ, რომ $\{\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x})\}_{j=1}^{6}$ წარმოადგენს (3.88) განტოლების წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა სრულ სისტემას.

ვთქვათ, $\{\mathbf{g}^{(j)}(\mathbf{z})\}_{j=1}^{m}$ არის (3.87) ერთგვაროვანი განტოლების წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა სისტემა, სადაც $m \geq 6$. ავაგოთ მარტივი ფენის პოტენციალები $\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}^{(j)})$ $(j = 1,2,\dots,m)$. შემდეგი თანაფარდობიდან

$$\mathbf{0}=\sum_{j=1}^{m}\chi_j\,\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}\big(\mathbf{x},\mathbf{g}^{(j)}\big)=\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}\left(\mathbf{x},\sum_{j=1}^{m}\chi_j\,\mathbf{g}^{(j)}\right),\qquad\qquad \mathbf{x}\in\Omega^{+}$$

მარტივად მივიღებთ

$$\sum_{j=1}^{m}\chi_j\,\mathbf{g}^{(j)}(\mathbf{z})=\mathbf{0},\qquad\quad \mathbf{z}\in S,\tag{3.90}$$

სადაც $\chi_1,\chi_2,\dots,\chi_m$ ნებისმიერი მუდმივებია. ცხადია, (3.90)-დან გვაქვს $\chi_1=\chi_2=\cdots=\chi_m=0$. აქედან გამომდინარე, $\big\{\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}\big(\mathbf{x},\mathbf{g}^{(j)}\big)\big\}_{j=1}^{m}$ წრფივად დამოუკიდებელ ვექტორთა სისტემაა.

ვაჩვენოთ, რომ თითოეული $\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}\big(\mathbf{x},\mathbf{g}^{(j)}\big)$ $(j=1,2,\dots,m)$ ვექტორი $(II)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნია. ამასთანავე, თეორემა 3.12-ის და (3.89)-ის ძალით $\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}\big(\mathbf{x},\mathbf{g}^{(j)}\big)$ შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}\big(\mathbf{x},\mathbf{g}^{(j)}\big)(\mathbf{x})=\sum_{l=1}^{6}\chi_{jl}\,\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{x}),$$

სადაც χ_{jl} ($j=1,2,\dots,m$, $l=1,2,\dots,6$) მუდმივებია. მაშასადამე, $\big\{\boldsymbol{\mathcal{P}}^{(1)}\big(\mathbf{x},\mathbf{g}^{(j)}\big)\big\}_{j=1}^{m}$ სისტემის ყოველი ვექტორი წარმოიდგინება $\boldsymbol{\phi}^{(1)}(\mathbf{x})$, $\boldsymbol{\phi}^{(2)}(\mathbf{x}),\dots,\boldsymbol{\phi}^{(6)}(\mathbf{x})$ ექვსი წრფივად დამოუკიდებელი ვექტორის წრფივი კომბინაციის სახით. ამრიგად, $m=6$.

ნეტერის თეორემის ძალით, (3.86) ინტეგრალური განტოლების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი სახით

$$\int_S \mathbf{f}(\mathbf{z})\cdot\boldsymbol{\phi}^{(j)}(\mathbf{z})d_{\mathbf{z}}S=0,\qquad j=1,2,\dots,6,\tag{3.91}$$

სადაც $\boldsymbol{\phi}^{(j)}$ განსაზღვრულია (3.89) ფორმულით.

ცხადია, თუ $\mathbf{f}=(f_1,f_2,\dots,f_6)$ და $\mathbf{f}^{(0)}=(f_1,f_2,f_3)$,მაშინ (3.89)-ის ძალით (3.91) შეიძლება გადავწეროთ შემდეგნაირად

$$\int_S \mathbf{f}^{(0)}(\mathbf{z})\,d_{\mathbf{z}}S=\mathbf{0},\qquad \int_S \mathbf{z}\times\mathbf{f}^{(0)}(\mathbf{z})\,d_{\mathbf{z}}S=\mathbf{0},\tag{3.92}$$

ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 3.21. თუ $S\in C^{1,\nu}$, $\mathbf{f}\in C^{0,\nu'}(S), 0<\nu'<\nu\le 1$, მაშინ $(II)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანა ამოხსნადია მაშინ, როცა სრულდება (3.92) პირობები. ამ შემთხვევაში

რეგულარული ამონახსნი წარმოიდგინება (3.85) მარტივი ფენის პოტენციალით და განისაზღვრება $\widetilde{\mathbf{U}} = (\widetilde{\mathbf{u}}, \tilde{\varphi}, \tilde{p}, \tilde{\theta})$ ვექტორის შესაკრების სიზუსტით, სადაც $\mathbf{g}$ არის (3.86) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი და

$$\widetilde{\mathbf{u}}(\mathbf{x}) = \widetilde{\boldsymbol{a}} + \widetilde{\boldsymbol{b}} \times \mathbf{x}, \qquad \tilde{\varphi}(\mathbf{x}) = \tilde{p}(\mathbf{x}) = \tilde{\theta}(\mathbf{x}) \equiv 0,$$

როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$, ხოლო $\widetilde{\boldsymbol{a}}$ და $\widetilde{\boldsymbol{b}}$ სამკომპონენტიანი ნებისმიერი მუდმივი ვექტორებია.

თავი 4. ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების დრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანები

4.1. ძირითადი განტოლებები

ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის განტოლებები ეფუძნება ერთმანეთთან დაკავშირებულ ოთხი ტიპის შემდეგ თანაფარდობებს [48]:

1. ძირითადი განტოლებები

$$\hat{t}_{lj} = 2\mu\hat{e}_{lj} + \lambda\hat{e}_{rr}\delta_{lj} + (b_\alpha\hat{\varphi}_\alpha - \beta_\alpha\hat{p}_\alpha)\delta_{lj},$$

$$\hat{\sigma}_l^{(1)} = a_1\hat{\varphi}_{1,l} + a_3\hat{\varphi}_{2,l}, \qquad \hat{\sigma}_l^{(2)} = a_3\hat{\varphi}_{1,l} + a_2\hat{\varphi}_{2,l},$$

$$l, j = 1,2,3. \tag{4.1}$$

2. წონასწორობის განტოლებები

$$\hat{t}_{lj,j} = -\rho\hat{F}_l', \qquad \hat{\sigma}_{j,j}^{(1)} + \hat{\xi}^{(1)} = -\rho\hat{s}_1, \qquad \hat{\sigma}_{j,j}^{(2)} + \hat{\xi}^{(2)} = -\rho\hat{s}_2,$$

$$l = 1,2,3. \tag{4.2}$$

3. დარსის კანონი ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულისთვის

$$\hat{\mathbf{v}}^{(1)} = -\frac{\kappa_1'}{\mu'}\nabla\hat{p}_1 - \frac{\kappa_3'}{\mu'}\nabla\hat{p}_2 - \rho_1\hat{\mathbf{s}}_3,$$

$$\hat{\mathbf{v}}^{(2)} = -\frac{\kappa_3'}{\mu'}\nabla\hat{p}_1 - \frac{\kappa_2'}{\mu'}\nabla\hat{p}_2 - \rho_2\hat{\mathbf{s}}_4. \tag{4.3}$$

4. სითხის მასის შენახვის განტოლება

$$\hat{v}_{j,j}^{(1)} + \dot{\hat{\zeta}}_1 + \beta_1\dot{\hat{e}}_{rr} + \gamma_0(\hat{p}_1 - \hat{p}_2) = 0,$$

$$\hat{v}_{j,j}^{(2)} + \dot{\hat{\zeta}}_2 + \beta_2\dot{\hat{e}}_{rr} - \gamma_0(\hat{p}_1 - \hat{p}_2) = 0, \tag{4.4}$$

სადაც $\hat{\sigma}_j^{(1)},\ \hat{\xi}^{(1)}, \hat{s}_1,\ \rho_1,\ \hat{\mathbf{s}}_3$ და $\hat{\sigma}_j^{(2)},\ \hat{\xi}^{(2)}, \hat{s}_2,\ \rho_2,\ \hat{\mathbf{s}}_4$ $(j = 1,2,3)$ არის სხეულის მაწონასწორებელი ძალის კომპონენტი, შიგა მაწონასწორებელი მოცულობითი ძალა, გარე მაწონასწორებელი მოცულობითი ძალა, სითხის სიმკვრივე, გარე ძალა (მაგ., გრავიტაცია) შესაბამისად ფორებისა და ბზარების ქსელებისათვის,

$$\hat{\xi}^{(1)} = -b_1\hat{e}_{rr} - \alpha_1\hat{\varphi}_1 - \alpha_3\hat{\varphi}_2 + m_1\hat{p}_1 + m_3\hat{p}_2,$$

$$\hat{\xi}^{(2)} = -b_2\hat{e}_{rr} - \alpha_3\hat{\varphi}_1 - \alpha_2\hat{\varphi}_2 + m_3\hat{p}_1 + m_2\hat{p}_2, \tag{4.5}$$

$\hat{e}_{lj}$ ძაბვის ტენზორის კომპონენტია და მოიცემა (2.3) ფორმულით, $\hat{\mathbf{v}}^{(1)} = \left(\hat{v}_1^{(1)}, \hat{v}_2^{(1)}, \hat{v}_3^{(1)}\right)$ და $\hat{\mathbf{v}}^{(2)} = \left(\hat{v}_1^{(2)}, \hat{v}_2^{(2)}, \hat{v}_3^{(2)}\right)$ სითხის ნაკადის ვექტორებია შესაბამისად ფორებისა და ბზარებისათვის, γ_0 სითხის შიგა გადაადგილების კოეფიციენტია, რომელიც განსაზღვრავს სითხის მოძრაობას ფორებსა და ბზარებს შორის, $\gamma_0 \geq 0$,

$$\hat{\zeta}_1 = \gamma_1\hat{p}_1 + \gamma_3\hat{p}_2 + m_1\hat{\varphi}_1 + m_3\hat{\varphi}_2,$$
$$\hat{\zeta}_2 = \gamma_3\hat{p}_1 + \gamma_2\hat{p}_2 + m_3\hat{\varphi}_1 + m_2\hat{\varphi}_2, \tag{4.6}$$

ხოლო $b_l, m_j, a_j, \alpha_j, \gamma_j, \kappa_j'$ $(l = 1,2, j = 1,2,3)$ მასალის ძირითადი მუდმივებია.

თუ გავითვალისწინებთ (2.3), (4.1), (4.3) და (4.5)-(4.6) ტოლობებს (4.2) და (4.4) თანაფარდობებში, მივიღებთ ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულის დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის განტოლებათა შემდეგ სისტემას ჩაწერილს $\hat{\mathbf{u}}$ გადაადგილების ვექტორის, $\hat{\varphi}_1$, $\hat{\varphi}_2$ ფორების ფარდობითი მოცულობებისა და $\hat{p}_1$, $\hat{p}_2$ სითხის წნევების ცვლილებების მიმართ

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\hat{\mathbf{u}} + (\lambda+\mu)\nabla\operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + b_\alpha\nabla\hat{\varphi}_\alpha - \beta_\alpha\nabla\hat{p}_\alpha = -\rho\hat{\mathbf{F}}',\\
&(a_1\Delta - \alpha_1)\hat{\varphi}_1 + (a_3\Delta - \alpha_3)\hat{\varphi}_2 - b_1\operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + m_1\hat{p}_1 + m_3\hat{p}_2 = -\rho\hat{s}_1,\\
&(a_3\Delta - \alpha_3)\hat{\varphi}_1 + (a_2\Delta - \alpha_2)\hat{\varphi}_2 - b_2\operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + m_3\hat{p}_1 + m_2\hat{p}_2 = -\rho\hat{s}_2,\\
&(k_1\Delta - \gamma_0)\hat{p}_1 + (k_3\Delta + \gamma_0)\hat{p}_2 + \gamma_1'\dot{\hat{p}}_1 + \gamma_3'\dot{\hat{p}}_2 - \beta_1\operatorname{div}\dot{\hat{\mathbf{u}}} + m_1\dot{\hat{\varphi}}_1 + m_3\dot{\hat{\varphi}}_2 = -\rho_1\operatorname{div}\hat{\mathbf{s}}_3,\\
&(k_3\Delta + \gamma_0)\hat{p}_1 + (k_2\Delta - \gamma_0)\hat{p}_2 + \gamma_3'\dot{\hat{p}}_1 + \gamma_2'\dot{\hat{p}}_2 - \beta_2\operatorname{div}\dot{\hat{\mathbf{u}}} + m_3\dot{\hat{\varphi}}_1 + m_2\dot{\hat{\varphi}}_2 = -\rho_2\operatorname{div}\hat{\mathbf{s}}_4,
\end{aligned} \tag{4.7}$$

სადაც $k_l = \frac{\kappa_l'}{\mu'}$ $(l = 1,2,3)$.

თუ $\hat{u}_j, \hat{F}_j', \hat{\varphi}_l, \hat{p}_l, \hat{s}_l$ და $\hat{\mathbf{s}}_{l+2}$ $(l = 1,2, j = 1,2,3)$ ფუნქციები დროის პარამეტრზე ჰარმონიულადაა დამოკიდებული, ე.ი.

$$\{\hat{u}_j, \hat{F}_j', \hat{\varphi}_l, \hat{p}_l, \hat{s}_l, \hat{\mathbf{s}}_{l+2}\}(\mathbf{x}, t) = \operatorname{Re}[\{u_j, F_j', \hat{\varphi}_l, \hat{p}_l, \hat{s}_l, \hat{\mathbf{s}}_{l+2}\}(\mathbf{x})\, e^{-i\omega t}],$$

მაშინ (4.7)-დან მივიღებთ ორგვარი ფოროვანი სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის მდგრადი რხევის განტოლებათა შემდეგ სისტემას

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla\operatorname{div}\mathbf{u} + b_\alpha\nabla\varphi_\alpha - \beta_\alpha\nabla p_\alpha = -\rho\mathbf{F}',\\
&(a_1\Delta - \alpha_1)\varphi_1 + (a_3\Delta - \alpha_3)\varphi_2 - b_1\operatorname{div}\mathbf{u} + m_1p_1 + m_3p_2 = -\rho s_1,\\
&(a_3\Delta - \alpha_3)\varphi_1 + (a_2\Delta - \alpha_2)\varphi_2 - b_2\operatorname{div}\mathbf{u} + m_3p_1 + m_2p_2 = -\rho s_2,\\
&(k_1\Delta + \gamma_1')p_1 + (k_3\Delta + \gamma_3')p_2 + \beta_1'\operatorname{div}\mathbf{u} + m_1'\varphi_1 + m_3'\varphi_2 = -\rho_1\operatorname{div}\boldsymbol{s}_3,\\
&(k_3\Delta + \gamma_3')p_1 + (k_2\Delta + \gamma_2')p_2 + \beta_2'\operatorname{div}\mathbf{u} + m_3'\varphi_1 + m_2'\varphi_2 = -\rho_2\operatorname{div}\boldsymbol{s}_4,
\end{aligned} \tag{4.8}$$

სადაც $\mathbf{u}=(u_1,u_2,u_3)$, $\mathbf{F}'=(F_1',F_2',F_3')$, ω რხევის სიხშირეა, $\omega>0$, $\beta_l'=i\omega\beta_l$, $m_j'=i\omega m_j$, $\gamma_l'=i\omega\gamma_l-\gamma_0$, $\gamma_3'=i\omega\gamma_3+\gamma_0$, $(l=1,2,\ j=1,2,3)$.

შემოვიღოთ მეორე რიგის მუდმივკოეფიციენტებიანი მატრიცულ დიფერენციალური ოპერატორი:

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})=\big(M_{lj}(\mathbf{D_x})\big)_{7\times7},\qquad M_{lj}=\mu\Delta\delta_{lj}+(\lambda+\mu)\frac{\partial^2}{\partial x_l\partial x_j},\quad M_{l;r+3}=-M_{r+3;l}=b_r\frac{\partial}{\partial x_l},$$

$$M_{l;r+5}=-\beta_r\frac{\partial}{\partial x_l},\quad M_{44}=a_1\Delta-\alpha_1,\quad M_{45}=M_{54}=a_3\Delta-\alpha_3,\quad M_{55}=a_2\Delta-\alpha_2,$$

$$M_{46}=m_1,\quad M_{47}=M_{56}=m_3,\quad M_{57}=m_2,\quad M_{r+5;l}=\beta_r'\frac{\partial}{\partial x_l},\quad M_{64}=m_1',$$

$$M_{65}=M_{74}=m_3',\quad M_{75}=m_2',\quad M_{66}=k_1\Delta+\gamma_1',\quad M_{67}=M_{76}=k_3\Delta+\gamma_3',$$

$$M_{77}=k_2\Delta+\gamma_2',\qquad l,j=1,2,3,\quad r=1,2.$$

ცხადია, (4.8) სისტემა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})=\mathbf{F}(\mathbf{x}),\tag{4.9}$$

სადაც $\mathbf{U}=(\mathbf{u},\varphi_1,\varphi_2,p_1,p_2)$ და $\mathbf{F}=(-\rho\mathbf{F}',-\rho s_1,-\rho s_2,-\rho_1\operatorname{div}\mathbf{s}_3,-\rho_2\operatorname{div}\mathbf{s}_4)$ შვიდკომ-პონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია და $\mathbf{x}\in\mathbb{R}^3$.

ამ თავში ვიგულისხმებთ, რომ სრულდება შემდეგი უტოლობები:

$$\mu>0,\quad 3\lambda+2\mu>0,\quad a_1>0,\quad a_1a_2-a_3^2>0,\quad (3\lambda+2\mu)\alpha_1>3b_1^2,$$
$$\alpha_1>0,\quad \alpha_1\alpha_2-\alpha_3^2>0,\quad \gamma_1>0,\quad \gamma_1\gamma_2-\gamma_3^2>0,\quad k_1>0,\quad k_1k_2-k_3^2>0,$$
$$\frac{1}{3}(3\lambda+2\mu)(\alpha_1\alpha_2-\alpha_3^2)>\alpha_1b_2^2-2\alpha_3b_1b_2+\alpha_2b_1^2.\tag{4.10}$$

4.2. სასაზღვრო ამოცანები

განსაზღვრება 4.1. $\mathbf{U}=(U_1,U_2,\dots,U_7)$ ვექტორ-ფუნქციას ეწოდება რეგულარული Ω^--ში (ან Ω^+-ში), თუ

ა) $U_l\in C^2(\Omega^-)\cap C^1(\overline{\Omega^-})$ $\big($ან $U_l\in C^2(\Omega^+)\cap C^1(\overline{\Omega^+})\big)$,

ბ) $U_l(\mathbf{x})=O(|\mathbf{x}|^{-1})$, $\qquad U_{l,j}(\mathbf{x})=o(|\mathbf{x}|^{-1})$, (4.11)

როცა $|\mathbf{x}|\gg1$, $l=1,2,\dots,7$ და $j=1,2,3$.

შემდეგში გამოვიყენებთ $\mathbf{Q}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=\left(Q_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})\right)_{7\times7}$ მატრიცულ დიფერენცია-ლურ ოპერატორს, სადაც

$$Q_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=\mu\delta_{lj}\frac{\partial}{\partial\mathbf{n}}+\mu n_j\frac{\partial}{\partial x_l}+\lambda n_l\frac{\partial}{\partial x_j},\qquad Q_{lr}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=b_{r-3}n_l,$$

$$Q_{l;r+2}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=-\beta_{r-3}n_l,\qquad Q_{44}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=a_1\frac{\partial}{\partial\mathbf{n}},\quad Q_{45}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=Q_{54}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=a_3\frac{\partial}{\partial\mathbf{n}},$$

$$Q_{55}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=a_2\frac{\partial}{\partial\boldsymbol{n}},\qquad Q_{66}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=k_1\frac{\partial}{\partial\boldsymbol{n}},\qquad Q_{67}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=Q_{76}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=k_3\frac{\partial}{\partial\boldsymbol{n}},$$

$$Q_{77}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=k_2\frac{\partial}{\partial\boldsymbol{n}},\qquad Q_{sj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=Q_{r;m+2}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=Q_{r+2;m}(\mathbf{D_x},\mathbf{n})=0,$$

$$l,j=1,2,3,\quad r,m=4,5\quad s=4,5,6,7. \tag{4.12}$$

ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის მდგრადი რხევის შიგა და გარე ძირითადი სასაზღვრო ამოცანები ჩამოყალიბდება შემდეგნაირად.

ვიპოვოთ (4.9) სისტემის რეგულარული $\mathbf{U}$ ამონახსნი, როცა $\mathbf{x}\in\Omega^+$, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$\lim_{\Omega^+\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^+=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{4.13}$$

ამოცანა $(I)^+_{\mathbf{F},\mathbf{f}}$-ში და

$$\lim_{\Omega^+\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{Q}(\mathbf{D_x},\mathbf{n}(\mathbf{z}))\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\left\{\mathbf{Q}\big(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{U}(\mathbf{z})\right\}^+=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{4.14}$$

ამოცანა $(II)^+_{\mathbf{F},\mathbf{f}}$-ში, სადაც $\mathbf{F}$ და $\mathbf{f}$ შვიდკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია.

ვიპოვოთ (4.9) სისტემის რეგულარული $\mathbf{U}$ ამონახსნი, როცა $\mathbf{x}\in\Omega^-$, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$\lim_{\Omega^-\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^-=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{4.15}$$

ამოცანა $(I)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$-ში და

$$\lim_{\Omega^-\ni\mathbf{x}\to\mathbf{z}\in S}\mathbf{Q}(\mathbf{D_x},\mathbf{n}(\mathbf{z}))\mathbf{U}(\mathbf{x})\equiv\left\{\mathbf{Q}\big(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{U}(\mathbf{z})\right\}^-=\mathbf{f}(\mathbf{z}) \tag{4.16}$$

ამოცანა $(II)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$-ში, სადაც $\mathbf{F}$ და $\mathbf{f}$ შვიდკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია და $\mathrm{supp}\mathbf{F}$ შემოსაზღვრულია Ω^--ში.

ამ თავში პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით დავამტკიცებთ მდგრადი რხევის $(I)^\pm_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(II)^\pm_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანების რეგულარული (კლასიკური)

ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემებს. ერთადერთობის თეორემების დასამტკიცებლად გამოვიყენებთ გრინის იგივეობებს, ხოლო არსებობის თეორემების დასამტკიცებლად - ზედაპირულ და მოცულობით პოტენციალებს. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით $(I)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(II)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანები დაიყვანება სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებზე, რომლებისთვისაც სამართლიანია ნეტერის თეორემები.

4.3. ერთადერთობის თეორემები

ამ პარაგრაფში ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმულ წრფივ კვაზისტატიკის თეორიაში ჯერ აიგება გრინის ფორმულები (იგივეობები), ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე შესწავლილი იქნება $(I)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(II)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანების რეგულარული ამონახსნების ერთადერთობის საკითხი.

შემდეგში გამოვიყენებთ მატრიცულ დიფერენციალურ ოპერატორებს:

1) $$\mathbf{M}^{(0)}(\mathbf{D_x}) = \left(M^{(0)}_{lj}(\mathbf{D_x})\right)_{3\times 3}, \qquad M^{(0)}_{lj}(\mathbf{D_x}) = \mu\Delta\delta_{lj} + (\lambda+\mu)\frac{\partial^2}{\partial x_l \partial x_j},$$

$$\mathbf{M}^{(1)}(\mathbf{D_x}) = \left(M^{(1)}_{lr}(\mathbf{D_x})\right)_{3\times 7}, \qquad M^{(1)}_{lr}(\mathbf{D_x}) = M_{lr}(\mathbf{D_x}),$$

$$\mathbf{M}^{(m)}(\mathbf{D_x}) = \left(M^{(m)}_{1r}(\mathbf{D_x})\right)_{1\times 7}, \qquad M^{(m)}_{1r}(\mathbf{D_x}) = M_{m+2;r}(\mathbf{D_x}),$$

$$\mathbf{M}^{(m+2)}(\mathbf{D_x}) = \left(M^{(m+2)}_{1r}(\mathbf{D_x})\right)_{1\times 7}, \qquad M^{(m+2)}_{1r}(\mathbf{D_x}) = M_{m+4;r}(\mathbf{D_x});$$

2) $$\mathbf{Q}^{(0)}(\mathbf{D_x},\mathbf{n}) = \left(Q^{(0)}_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n})\right)_{3\times 3}, \quad Q^{(0)}_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n}) = Q_{lj}(\mathbf{D_x},\mathbf{n}),$$

$$\mathbf{Q}^{(1)}(\mathbf{D_x},\mathbf{n}) = \left(Q^{(1)}_{lr}(\mathbf{D_x},\mathbf{n})\right)_{3\times 7}, \quad Q^{(1)}_{lr}(\mathbf{D_x},\mathbf{n}) = Q_{lr}(\mathbf{D_x},\mathbf{n}),$$

სადაც $l,j = 1,2,3,\ m = 2,3$ და $r = 1,2,\dots,7$.

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$E^{(0)}(\mathbf{u},\mathbf{u}') = \frac{1}{3}(3\lambda+2\mu)\mathrm{div}\mathbf{u}\ \mathrm{div}\overline{\mathbf{u}}' + \frac{\mu}{2}\sum_{l,j=1;l\neq j}^{3}\left(\frac{\partial u_j}{\partial x_l}+\frac{\partial u_l}{\partial x_j}\right)\left(\frac{\partial \overline{u}'_j}{\partial x_l}+\frac{\partial \overline{u}'_l}{\partial x_j}\right)$$

$$+\frac{\mu}{3}\sum_{l,j=1}^{3}\left(\frac{\partial u_l}{\partial x_l}-\frac{\partial u_j}{\partial x_j}\right)\left(\frac{\partial \overline{u_l'}}{\partial x_l}-\frac{\partial \overline{u_j'}}{\partial x_j}\right),$$

$$E^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u}')=E^{(0)}(\mathbf{U},\mathbf{u}')+(b_\alpha\varphi_\alpha-\beta_\alpha p_\alpha)\mathrm{div}\overline{\mathbf{u}'}, \tag{4.17}$$

$$E^{(2)}(\mathbf{U},\varphi_1')=(a_1\nabla\varphi_1+a_3\nabla\varphi_2)\cdot\nabla\varphi_1'+(b_1\mathrm{div}\mathbf{u}+\alpha_1\varphi_1+\alpha_3\varphi_2-m_1p_1-m_3p_2)\overline{\varphi_1'},$$

$$E^{(3)}(\mathbf{U},\varphi_2')=(a_3\nabla\varphi_1+a_2\nabla\varphi_2)\cdot\nabla\varphi_2'+(b_2\mathrm{div}\mathbf{u}+\alpha_3\varphi_1+\alpha_2\varphi_2-m_3p_1-m_2p_2)\overline{\varphi_2'},$$

$$E^{(4)}(\mathbf{U},p_1')=(k_1\nabla p_1+k_3\nabla p_2)\cdot\nabla p_1'-(\beta_1'\mathrm{div}\mathbf{u}+m_1'\varphi_1+m_3'\varphi_2+\gamma_1'p_1+\gamma_3'p_2)\overline{p_1'},$$

$$E^{(5)}(\mathbf{U},p_2')=(k_3\nabla p_1+k_2\nabla p_2)\cdot\nabla p_2'-(\beta_2'\mathrm{div}\mathbf{u}+m_3'\varphi_1+m_2'\varphi_2+\gamma_3'p_1+\gamma_2'p_2)\overline{p_2'},$$

სამართლიანია შემდეგი ლემები.

ლემა 4.1. თუ $\mathbf{U}=(\mathbf{u},\varphi_1,\varphi_2,p_1,p_2)$ რეგულარული ვექტორია Ω^+ -ში, $u_j',\varphi_1',\varphi_2',p_1',p_2'\in C^1(\Omega^+)\cap C(\overline{\Omega^+})$, $j=1,2,3,$ მაშინ

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(1)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\cdot\mathbf{u}'(\mathbf{x})+E^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u}')\right]d\mathbf{x}=\int_S \mathbf{Q}^{(1)}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\mathbf{U}\cdot\mathbf{u}'d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(2)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{\varphi_1'(\mathbf{x})}+E^{(2)}(\mathbf{U},\varphi_1')\right]d\mathbf{x}=\int_S\left(a_1\frac{\partial\varphi_1}{\partial\mathbf{n}}+a_3\frac{\partial\varphi_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{\varphi_1'}d_{\mathbf{z}}S, \tag{4.18}$$

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(3)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{\varphi_2'(\mathbf{x})}+E^{(3)}(\mathbf{U},\varphi_2')\right]d\mathbf{x}=\int_S\left(a_3\frac{\partial\varphi_1}{\partial\mathbf{n}}+a_2\frac{\partial\varphi_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{\varphi_2'}d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(4)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{p_1'(\mathbf{x})}+E^{(4)}(\mathbf{U},p_1')\right]d\mathbf{x}=\int_S\left(k_1\frac{\partial p_1}{\partial\mathbf{n}}+k_3\frac{\partial p_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{p_1'}d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(5)}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{p_2'(\mathbf{x})}+E^{(5)}(\mathbf{U},p_2')\right]d\mathbf{x}=\int_S\left(k_3\frac{\partial p_1}{\partial\mathbf{n}}+k_2\frac{\partial p_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{p_2'}d_{\mathbf{z}}S,$$

სადაც $\mathbf{U}'=(\mathbf{u}',\varphi_1',\varphi_2',p_1',p_2')$, $\mathbf{u}'=(u_1',u_2',u_3')$.

დამტკიცება. თუ გამოვიყენებთ დრეკადობის კლასიკურ თეორიასა და მათემატიკურ ფიზიკაში კარგად ცნობილ გრინის პირველ იგივეობებს Ω^+ არისთვის (მაგ., იხ. [44])

$$\int_{\Omega^+}\left[\mathbf{M}^{(0)}(\mathbf{D_x})\mathbf{u}(\mathbf{x})\cdot\mathbf{u}'(\mathbf{x})+E^{(0)}(\mathbf{u},\mathbf{u}')\right]d\mathbf{x}=\int_S \mathbf{Q}^{(0)}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\mathbf{u}(\mathbf{z})\cdot\mathbf{u}'(\mathbf{z})d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int\limits_{\Omega^+} \left[\Delta\varphi_l(\mathbf{x})\overline{\varphi_j'(\mathbf{x})} + \nabla\varphi_l(\mathbf{x})\cdot\nabla\varphi_j'(\mathbf{x})\right]d\mathbf{x} = \int\limits_S \frac{\partial\varphi_l(\mathbf{z})}{\partial\mathbf{n}(\mathbf{z})}\overline{\varphi_j'(\mathbf{z})}d_{\mathbf{z}}S, \tag{4.19}$$

მაშინ (4.17)-ის ძალით (4.19)-დან მარტივად მივიღებთ (4.18) იგივეობებს. ■

ლემა 4.2. თუ $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi_1, \varphi_2, p_1, p_2)$ და $\mathbf{U}' = (\mathbf{u}', \varphi_1{}'\varphi_2{}', p_1{}', p_2{}')$ რეგულარული ვექტორია Ω^- -ში, მაშინ

$$\int\limits_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(1)}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{U}(\mathbf{x})\cdot\mathbf{u}'(\mathbf{x}) + E^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u}')\right]d\mathbf{x} = -\int\limits_S \mathbf{Q}^{(1)}(\mathbf{D}_{\mathbf{z}},\mathbf{n})\mathbf{U}\cdot\mathbf{u}'d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int\limits_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(2)}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{\varphi_1'(\mathbf{x})} + E^{(2)}(\mathbf{U},\varphi_1')\right]d\mathbf{x} = -\int\limits_S \left(a_1\frac{\partial\varphi_1}{\partial\mathbf{n}} + a_3\frac{\partial\varphi_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{\varphi_1'}d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int\limits_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(3)}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{\varphi_2'(\mathbf{x})} + E^{(3)}(\mathbf{U},\varphi_2')\right]d\mathbf{x} = -\int\limits_S \left(a_3\frac{\partial\varphi_1}{\partial\mathbf{n}} + a_2\frac{\partial\varphi_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{\varphi_2'}d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int\limits_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(4)}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{p_1'(\mathbf{x})} + E^{(4)}(\mathbf{U},p_1')\right]d\mathbf{x} = -\int\limits_S \left(k_1\frac{\partial p_1}{\partial\mathbf{n}} + k_3\frac{\partial p_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{p_1'}d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int\limits_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(5)}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{U}(\mathbf{x})\overline{p_2'(\mathbf{x})} + E^{(5)}(\mathbf{U},p_2')\right]d\mathbf{x} = -\int\limits_S \left(k_3\frac{\partial p_1}{\partial\mathbf{n}} + k_2\frac{\partial p_2}{\partial\mathbf{n}}\right)\overline{p_2'}d_{\mathbf{z}}S, \tag{4.20}$$

სადაც $\mathbf{U}' = (\mathbf{u}', \varphi_1', \varphi_2', p_1', p_2')$, $\mathbf{u}' = (u_1', u_2', u_3')$.

დამტკიცება. ამჯერად გამოვიყენოთ გრინის პირველი იგივეობები Ω^- არისთვის, რომლებიც ასევე ცნობილია დრეკადობის კლასიკურ თეორიიდან და მათემატიკური ფიზიკიდან (მაგ., იხ. [44])

$$\int\limits_{\Omega^-} \left[\mathbf{M}^{(0)}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{u}(\mathbf{x})\cdot\mathbf{u}'(\mathbf{x}) + E^{(0)}(\mathbf{u},\mathbf{u}')\right]d\mathbf{x} = -\int\limits_S \mathbf{Q}^{(0)}(\mathbf{D}_{\mathbf{z}},\mathbf{n})\mathbf{u}(\mathbf{z})\cdot\mathbf{u}'(\mathbf{z})d_{\mathbf{z}}S,$$

$$\int\limits_{\Omega^-} \left[\Delta\varphi_l(\mathbf{x})\overline{\varphi_j'(\mathbf{x})} + \nabla\varphi_l(\mathbf{x})\cdot\nabla\varphi_j'(\mathbf{x})\right]d\mathbf{x} = -\int\limits_S \frac{\partial\varphi_l(\mathbf{z})}{\partial\mathbf{n}(\mathbf{z})}\overline{\varphi_j'(\mathbf{z})}d_{\mathbf{z}}S. \tag{4.21}$$

ცხადია, (4.11) და (4.17)-ის ძალით (4.21)-დან მივიღებთ (4.20) იგივეობებს. ■

ლემა 4.1 და ლემა 4.2-ის დახმარებით მტკიცდება შემდეგი თეორემები.

თეორემა 4.1. თუ $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi_1, \varphi_2, p_1, p_2)$ რეგულარული ვექტორია $\Omega^+ -$ ში, $\mathbf{U}' = (\mathbf{u}', \varphi_1', \varphi_2', p_1', p_2') \in C^1(\Omega^+) \cap C\left(\overline{\Omega^+}\right)$, მაშინ

$$\int_{\Omega^+} [\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) \cdot \mathbf{U}'(\mathbf{x}) + E(\mathbf{U}, \mathbf{U}')] d\mathbf{x} = \int_S \boldsymbol{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{U}(\mathbf{z}) \cdot \mathbf{U}'(\mathbf{z}) d_{\mathbf{z}}S, \tag{4.22}$$

სადაც

$$E(\mathbf{U}, \mathbf{U}') = E^{(1)}(\mathbf{U}, \mathbf{u}') + E^{(2)}(\mathbf{U}, \varphi_1') + E^{(3)}(\mathbf{U}, \varphi_2') + E^{(4)}(\mathbf{U}, p_1') + E^{(5)}(\mathbf{U}, p_2').$$

თეორემა 4.2. თუ $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi_1, \varphi_2, p_1, p_2)$ და $\mathbf{U}' = (\mathbf{u}', \varphi_1', \varphi_2', p_1', p_2')$ რეგულარული ვექტორებია Ω^- – ში, მაშინ

$$\int_{\Omega^-} [\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) \cdot \mathbf{U}'(\mathbf{x}) + E(\mathbf{U}, \mathbf{U}')] d\mathbf{x} = -\int_S \mathbf{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{U}(\mathbf{z}) \cdot \mathbf{U}'(\mathbf{z}) d_{\mathbf{z}}S. \tag{4.23}$$

(4.22) და (4.23) ფორმულები შესაბამისად გრინის პირველი იგივეობებია ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების დრეკადობის ბმულ წრფივ კვაზისტატიკის თეორიაში Ω^+ და Ω^- არეებისთვის.

ადვილად ჩანს, რომ (4.17) ფორმულებიდან მივიღებთ

$$E^{(1)}(\mathbf{U}, \mathbf{u}) = \frac{1}{3}(3\lambda + 2\mu)\, |\mathrm{div}\mathbf{u}|^2 + E_0(\mathbf{u}) + (b_\alpha \varphi_\alpha - \beta_\alpha p_\alpha)\mathrm{div}\overline{\mathbf{u}}, \tag{4.24}$$

$$E^{(2)}(\mathbf{U}, \varphi_1) = (a_1 \nabla\varphi_1 + a_3 \nabla\varphi_2) \cdot \nabla\varphi_1 + (b_1 \mathrm{div}\mathbf{u} + \alpha_1\varphi_1 + \alpha_3\varphi_2 - m_1 p_1 - m_3 p_2)\overline{\varphi_1},$$

$$E^{(3)}(\mathbf{U}, \varphi_2) = (a_3 \nabla\varphi_1 + a_2 \nabla\varphi_2) \cdot \nabla\varphi_2 + (b_2 \mathrm{div}\mathbf{u} + \alpha_3\varphi_1 + \alpha_2\varphi_2 - m_3 p_1 - m_2 p_2)\overline{\varphi_2},$$

$$E^{(4)}(\mathbf{U}, p_1) = (k_1 \nabla p_1 + k_3 \nabla p_2) \cdot \nabla p_1 - (\beta_1' \mathrm{div}\mathbf{u} + m_1'\varphi_1 + m_3'\varphi_2 + \gamma_1' p_1 + \gamma_3' p_2)\overline{p_1},$$

$$E^{(5)}(\mathbf{U}, p_2) = (k_3 \nabla p_1 + k_2 \nabla p_2) \cdot \nabla p_2 - (\beta_2' \mathrm{div}\mathbf{u} + m_3'\varphi_1 + m_2'\varphi_2 + \gamma_3' p_1 + \gamma_2' p_2)\overline{p_2},$$

სადაც

$$E_0(\mathbf{u}) = \frac{\mu}{2} \sum_{l,j=1;\, l\neq j}^{3} \left| \frac{\partial u_j}{\partial x_l} + \frac{\partial u_l}{\partial x_j} \right|^2 + \frac{\mu}{3} \sum_{l,j=1}^{3} \left| \frac{\partial u_l}{\partial x_l} - \frac{\partial u_j}{\partial x_j} \right|^2. \tag{4.25}$$

ახლა შეგვიძლია დავიწყოთ $(I)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(II)^{\pm}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანების რეგულარული ამონახსნების ერთადერთობის საკითხის შესწავლა. სამართლიანია შემდეგი თეორემები.

თეორემა 4.3. თუ $(I)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანას გააჩნია რეგულარული ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერთია.

დამტკიცება. ვთქვათ, $(I)^{+}_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ამოცანას აქვს ორი რეგულარული ამონახსნი. მაშინ მათი სხვაობა $\mathbf{U}$ იქნება $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ შიგა ერთგვაროვანი სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი, ე.ი. $\mathbf{U}$ არის

$$\mathbf{M}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{0} \tag{4.26}$$

ერთგვაროვანი განტოლების რეგულარული ამონახსნი, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{+}$ და აკმაყოფილებს ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობას

$$\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0}, \ \text{როცა} \ \mathbf{z} \in S. \tag{4.27}$$

ადვილად ჩანს, რომ (4.26) და (4.27)-ის გათვალისწინებით (4.20)-დან მივიღებთ

$$\int\limits_{\Omega^{+}} E^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\,d\mathbf{x} = 0, \ \int\limits_{\Omega^{+}} E^{(l+1)}(\mathbf{U},\varphi_l)\,d\mathbf{x} = 0, \ \int\limits_{\Omega^{+}} E^{(l+3)}(\mathbf{U},p_l)\,d\mathbf{x} = 0, \ \ l = 1,2. \tag{4.28}$$

ამასთანავე, (4.24) ფორმულების ძალით მარტივად მტკიცდება შემდეგი ტოლობის სამართლიანობა

$$\begin{aligned}
&\mathrm{Re}\big[E^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\big] = \frac{1}{3}(3\lambda+2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2 + E_0(\mathbf{u}) + (b_\alpha\varphi_\alpha - \beta_\alpha p_\alpha)\mathrm{div}\overline{\mathbf{u}},\\
&\mathrm{Im}\big[E^{(2)}(\mathbf{U},\varphi_1) + E^{(3)}(\mathbf{U},\varphi_2)\big] = a_1|\nabla\varphi_1|^2 + 2a_3\mathrm{Re}(\nabla\varphi_1\cdot\nabla\varphi_2)\\
&\qquad +a_2|\nabla\varphi_2|^2 + \alpha_1|\varphi_1|^2 + 2\alpha_3\mathrm{Re}(\varphi_1\overline{\varphi_2}) + \alpha_2|\varphi_2|^2 + b_\alpha\mathrm{Re}(\varphi_\alpha\mathrm{div}\overline{\mathbf{u}})\\
&\qquad -[m_1\mathrm{Re}(\varphi_1\overline{p_1}) + m_3\mathrm{Re}(\varphi_1\overline{p_2}+\varphi_2\overline{p_1}) + m_2\mathrm{Re}(\varphi_2\overline{p_2})],\\
&\mathrm{Im}\big[E^{(4)}(\mathbf{U},p_1) + E^{(5)}(\mathbf{U},p_2)\big] = -\omega\beta_\alpha\mathrm{Re}(p_\alpha\mathrm{div}\overline{\mathbf{u}})\\
&\qquad -\omega[m_1\mathrm{Re}(\varphi_1\overline{p_1}) + m_3\mathrm{Re}(\varphi_1\overline{p_2}+\varphi_2\overline{p_1}) + m_2\mathrm{Re}(\varphi_2\overline{p_2}\,)]\\
&\qquad -\omega[\gamma_1|p_1|^2 + 2\gamma_3\mathrm{Re}(p_1\overline{p_2}) + \gamma_2|p_2|^2].
\end{aligned}$$

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავწეროთ

$$\begin{aligned}
&\mathrm{Re}\big[E^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\big] + \mathrm{Im}\big[E^{(2)}(\mathbf{U},\varphi_1) + E^{(3)}(\mathbf{U},\varphi_2)\big] - \frac{1}{\omega}\mathrm{Im}\big[E^{(4)}(\mathbf{U},p_1) + E^{(5)}(\mathbf{U},p_2)\big]\\
&= E_0(\mathbf{u}) + \Big[\frac{1}{3}(3\lambda+2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2 + 2b_\alpha\mathrm{Re}(\varphi_\alpha\mathrm{div}\overline{\mathbf{u}}) + \alpha_1|\varphi_1|^2 + 2\alpha_3\mathrm{Re}(\varphi_1\overline{\varphi_2}) + \alpha_2|\varphi_2|^2\Big]\\
&+[a_1|\nabla\varphi_1|^2 + 2a_3Re(\nabla\varphi_1\cdot\nabla\varphi_2) + a_2|\nabla\varphi_2|^2] + [\gamma_1|p_1|^2 + 2\gamma_3Re(p_1\overline{p_2}) + \gamma_2|p_2|^2].
\end{aligned} \tag{4.29}$$

თუ გათვალისწინებთ (4.10) პირობას, მარტივად მივიღებთ

$$E_0(\mathbf{u}) \geq 0, \quad a_1|\nabla\varphi_1|^2 + 2a_3Re(\nabla\varphi_1\cdot\nabla\varphi_2) + a_2|\nabla\varphi_2|^2 \geq 0,$$

$$\alpha_1|\varphi_1|^2 + 2\alpha_3\mathrm{Re}(\varphi_1\overline{\varphi_2}) + \alpha_2|\varphi_2|^2 \geq 0,$$

$$\frac{1}{3}(3\lambda+2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2 + 2b_\alpha\mathrm{Re}(\varphi_\alpha\mathrm{div}\overline{\mathbf{u}}) + \alpha_1|\varphi_1|^2 + 2\alpha_3\mathrm{Re}(\varphi_1\overline{\varphi_2}) + \alpha_2|\varphi_2|^2 \geq 0,$$

$$\gamma_1|p_1|^2 + 2\gamma_3 Re(p_1\overline{p_2}) + \gamma_2|p_2|^2 \geq 0. \tag{4.30}$$

ცხადია, (4.30)-ის ძალით (4.29)-დან გვაქვს

$$\mathrm{Re}\big[E^{(1)}(\mathbf{U},\mathbf{u})\big] + \mathrm{Im}\big[E^{(2)}(\mathbf{U},\varphi_1) + E^{(3)}(\mathbf{U},\varphi_2)\big]$$
$$-\frac{1}{\omega}\big\{\mathrm{Im}\big[E^{(4)}(\mathbf{U},p_1) + E^{(5)}(\mathbf{U},p_2)\big]\big\} \geq 0. \tag{4.31}$$

ახლა დავუბრუნდეთ (4.28) ტოლობებს და გავითვალისწინოთ (4.31) თანაფარდობა. შედეგად მივიღებთ

$$E_0(\mathbf{u}) = 0, \quad \alpha_1|\varphi_1|^2 + 2\alpha_3 \mathrm{Re}(\varphi_1\overline{\varphi_2}) + \alpha_2|\varphi_2|^2 = 0,$$

$$\frac{1}{3}(3\lambda + 2\mu)|\mathrm{div}\mathbf{u}|^2 + 2b_\alpha \mathrm{Re}(\varphi_\alpha \mathrm{div}\overline{\mathbf{u}}) + \alpha_1|\varphi_1|^2 + 2\alpha_3 \mathrm{Re}(\varphi_1\overline{\varphi_2}) + \alpha_2|\varphi_2|^2 = 0,$$

$$\gamma_1|p_1|^2 + 2\gamma_3 Re(p_1\overline{p_2}) + \gamma_2|p_2|^2 = 0. \tag{4.32}$$

თუ ისევ გამოვიყენებთ (4.10) პირობას (4.32)-ში, მაშინ გვექნება

$$\mathrm{div}\mathbf{u}(\mathbf{x}) = 0, \qquad \varphi_l(\mathbf{x}) = p_l(\mathbf{x}) = 0, \qquad l = 1,2, \tag{4.33}$$

როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$. ისევე, როგორც დრეკადობის კლასიკურ თეორიაში (მაგ., იხ. [44]), (4.32) და (4.33)-ის პირველი ტოლობებიდან მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ $\mathbf{u}$ ხისტი გაადგილების ვექტორია და ჩაიწერება შემდეგი ფორმით

$$\mathbf{u}(\mathbf{x}) = \widetilde{\boldsymbol{a}} + \widetilde{\boldsymbol{b}} \times \mathbf{x}, \tag{4.34}$$

სადაც $\widetilde{\boldsymbol{a}}$ და $\widetilde{\boldsymbol{b}}$ ნებისმიერი სამკომპონენტიანი მუდმივი ვექტორებია.

ბოლოს, თუ (4.34)-ში გავითვალისწინებთ (4.27) ერთგვაროვან სასაზღვრო პირობას, მივიღებთ $\mathbf{u}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$. აქედან, (4.33)-ის ძალით გვაქვს $\mathbf{U}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^+$. ■

ანალოგიურად მტკიცდება შემდეგი თეორემა.

თეორემა 4.4. თუ $(II)^+_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ სასაზღვრო ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ მისი ორი რეგულარული ამონახსნი ერთმანეთისგან განსხვავდება $\mathbf{U} = (\mathbf{u},\varphi_1,\varphi_2,p_1,p_2)$ ვექტორით, სადაც φ_l და p_l $(l = 1,2)$ აკმაყოფილებენ (4.33) პირობას, ხოლო $\mathbf{u}$ ხისტი გადაადგილების ვექტორია და აქვს (4.34) ფორმა, სადაც $\widetilde{\boldsymbol{a}}$ და $\widetilde{\boldsymbol{b}}$ სამკომპონენტიანი ნებისმიერი მუდმივი ვექტორებია და $\mathbf{x} \in \Omega^+$.

თეორემა 4.5. თუ $(K)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ გარე სასაზღვრო ამოცანას აქვს რეგულარული ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერთია, სადაც $K = I, II$.

დამტკიცება. ვთქვათ, $(K)^{-}_{\mathbf{F,f}}$ $(K = I, II)$ სასაზღვრო ამოცანას აქვს ორი რეგულარული ამონახსნი. მაშინ მათი სხვაობა $\mathbf{U}$ არის $(K)^{+}_{\mathbf{0,0}}$ ერთგვაროვანი სასაზღვრო ამოცანის რეგულარული ამონახსნი, ე.ი. $\mathbf{U}$ არის (4.26) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$, აკმაყოფილებს ერთგვაროვან სასაზღვრო პირობას

$$\{\mathbf{U}(\mathbf{z})\}^{-} = \mathbf{0} \tag{4.35}$$

$K = I$ შემთხვევაში და

$$\{\mathbf{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{U}(\mathbf{z})\}^{-} = \mathbf{0} \tag{4.36}$$

$K = II$ შემთხვევაში.

თუ გავითვალისწინებთ (4.26), (4.35) და (4.36) ტოლობებს, მაშინ (4.20)-დან გვექნება

$$\int\limits_{\Omega^{-}} E^{(1)}(\mathbf{U}, \mathbf{u}) d\mathbf{x} = 0, \qquad \int\limits_{\Omega^{-}} E^{(l+1)}(\mathbf{U}, \varphi_l) d\mathbf{x} = 0,$$

$$\int\limits_{\Omega^{-}} E^{(l+3)}(\mathbf{U}, p_l) d\mathbf{x} = 0, \qquad l = 1,2. \tag{4.37}$$

თეორემა 4.3-ის ანალოგიურად, (4.37)-დან მივიღებთ

$$\mathbf{u}(\mathbf{x}) = \widetilde{\boldsymbol{a}} + \widetilde{\boldsymbol{b}} \times \mathbf{x}, \qquad \varphi_l(\mathbf{x}) = p_l(\mathbf{x}) = 0, \qquad l = 1,2, \tag{4.38}$$

სადაც $\mathbf{x} \in \Omega^{-}$, $\widetilde{\boldsymbol{a}}$ და $\widetilde{\boldsymbol{b}}$ სამკომპონენტიანი მუდმივი ვექტორებია. ამასთანავე, ამონახსნის უსასრულობაში ქრობის (4.11) პირობის ძალით (4.38)-დან შეგვიძლია დავწეროთ $\mathbf{u}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. მაშასადამე, $\mathbf{U}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}$, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. ■

4.4. ფუნდამენტური ამონახსნი

განმარტება 4.1. $\mathbf{G}(\mathbf{x}) = \left(G_{lj}(\mathbf{x})\right)_{7\times 7}$ მატრიცას ეწოდება (4.9) განტოლების ფუნდამენტური ამონახსნი, თუ განზოგადებულ ფუნქციათა კლასში იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობას

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{G}(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x})\mathbf{J}_7,$$

სადაც $\mathbf{x} \in \mathbb{R}^3$.

ავაგოთ $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცა შემდეგი მეთოდით. თავდაპირველად განვიხილოთ არაერთგვაროვანი განტოლებათა სისტემა

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla\mathrm{div}\mathbf{u} - b_\alpha\nabla\varphi_\alpha + \beta'_\alpha\nabla p_\alpha = \boldsymbol{\mathcal{F}}',\\
&(a_1\Delta - \alpha_1)\varphi_1 + (a_3\Delta - \alpha_3)\varphi_2 + b_1\mathrm{div}\mathbf{u} + m'_1 p_1 + m'_3 p_2 = \mathcal{F}_4,\\
&(a_3\Delta - \alpha_3)\varphi_1 + (a_2\Delta - \alpha_2)\varphi_2 + b_2\mathrm{div}\mathbf{u} + m'_3 p_1 + m'_2 p_2 = \mathcal{F}_5,\\
&(k_1\Delta + \gamma'_1)p_1 + (k_3\Delta + \gamma'_3)p_2 - \beta_1\mathrm{div}\mathbf{u} + m_1\varphi_1 + m_3\varphi_2 = \mathcal{F}_6,\\
&(k_3\Delta + \gamma'_3)p_1 + (k_2\Delta + \gamma'_2)p_2 - \beta_2\mathrm{div}\mathbf{u} + m_3\varphi_1 + m_2\varphi_2 = \mathcal{F}_7,
\end{aligned} \tag{4.39}$$

სადაც $\mathcal{F}_l$ $(l = 1, 2, \dots, 7)$ გლუვი ფუნქციებია $\mathbb{R}^3$-ში, $\boldsymbol{\mathcal{F}}' = (\mathcal{F}_1, \mathcal{F}_2, \mathcal{F}_3)$. ცხადია, (4.39) სისტემა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\mathbf{M}^{\mathrm{T}}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) = \boldsymbol{\mathcal{F}}(\mathbf{x}), \tag{4.40}$$

სადაც $\mathbf{M}^{\mathrm{T}}$ არის $\mathbf{M}$ მატრიცის ტრანსპონირებული, $\mathbf{U} = (\mathbf{u}, \varphi_1, \varphi_2, p_1, p_2)$, $\boldsymbol{\mathcal{F}} = (\boldsymbol{\mathcal{F}}', \mathcal{F}_4, \mathcal{F}_5, \mathcal{F}_6, \mathcal{F}_7)$.

ვიმოქმედოთ (4.39)-ის პირველ განტოლებაზე div ოპერაცია. მივიღებთ შემდეგ სისტემას

$$\begin{aligned}
&\mu_0\Delta\mathrm{div}\mathbf{u} - b_\alpha\Delta\varphi_\alpha + \beta_\alpha\Delta p_\alpha = \mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}',\\
&(a_1\Delta - \alpha_1)\varphi_1 + (a_3\Delta - \alpha_3)\varphi_2 + b_1\mathrm{div}\mathbf{u} + m'_1 p_1 + m'_3 p_2 = \mathcal{F}_4,\\
&(a_3\Delta - \alpha_3)\varphi_1 + (a_2\Delta - \alpha_2)\varphi_2 + b_2\mathrm{div}\mathbf{u} + m'_3 p_1 + m'_2 p_2 = \mathcal{F}_5,\\
&(k_1\Delta + \gamma'_1)p_1 + (k_3\Delta + \gamma'_3)p_2 - \beta_1\mathrm{div}\mathbf{u} + m_1\varphi_1 + m_3\varphi_2 = \mathcal{F}_6,\\
&(k_3\Delta + \gamma'_3)p_1 + (k_2\Delta + \gamma'_2)p_2 - \beta_2\mathrm{div}\mathbf{u} + m_3\varphi_1 + m_2\varphi_2 = \mathcal{F}_7,
\end{aligned} \tag{4.41}$$

სადაც $\mu_0 = \lambda + 2\mu$. ცხადია, (4.41)-დან გვაქვს

$$\mathbf{A}(\Delta)\mathbf{V} = \boldsymbol{\Phi}, \tag{4.42}$$

სადაც $\mathbf{V} = (\mathrm{div}\mathbf{u}, \varphi_1, \varphi_2, p_1, p_2) = (V_1, V_2, \dots, V_5)$, $\boldsymbol{\Phi} = (\mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}', \mathcal{F}_4, \mathcal{F}_5, \mathcal{F}_6, \mathcal{F}_7)$ $= (\Phi_1, \Phi_2, \dots, \Phi_5)$ და

$$\mathbf{A}(\Delta) = \left(A_{lj}(\Delta)\right)_{5\times5} = \begin{pmatrix} \mu_0\Delta & -b_1\Delta & -b_2\Delta & \beta'_1\Delta & \beta'_2\Delta \\ b_1 & a_1\Delta - \alpha_1 & a_3\Delta - \alpha_3 & m'_1 & m'_3 \\ b_2 & a_3\Delta - \alpha_3 & a_2\Delta - \alpha_2 & m'_3 & m'_2 \\ -\beta_1 & m_1 & m_3 & k_1\Delta + \gamma'_1 & k_3\Delta + \gamma'_3 \\ -\beta_2 & m_3 & m_2 & k_3\Delta + \gamma'_3 & k_2\Delta + \gamma'_2 \end{pmatrix}_{5\times5}.$$

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\Lambda_1(\Delta) = \frac{1}{a_0 k_0 \mu_0} \det \mathbf{A}(\Delta) = \Delta \prod_{j=1}^{4} \left(\Delta + \lambda_j^2\right), \tag{4.43}$$

სადაც $a_0 = a_1 a_2 - a_3^2,\ k_0 = k_1 k_2 - k_3^2$, ხოლო $\lambda_1^2,\ \lambda_2^2,\ \lambda_3^2$ და λ_4^2 შემდეგი განტოლების ფესვებია (ξ-ის მიმართ)

$$\det \begin{pmatrix} \mu_0 & -b_1 & -b_2 & \beta_1' & \beta_2' \\ b_1 & -a_1\xi - \alpha_1 & -a_3\xi - \alpha_3 & m_1' & m_3' \\ b_2 & -a_3\xi - \alpha_3 & -a_2\xi - \alpha_2 & m_3' & m_2' \\ -\beta_1 & m_1 & m_3 & -k_1\xi + \gamma_1' & -k_3\xi + \gamma_3' \\ -\beta_2 & m_3 & m_2 & -k_3\xi + \gamma_3' & -k_2\xi + \gamma_2' \end{pmatrix} = 0.$$

შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ $\operatorname{Im} \lambda_l > 0; \quad \lambda_l \neq \lambda_j,\ l, j = 1,2,3,4,\ l \neq j$. ცხადია, (4.42) განტოლებიდან შეგვიძლია დავწეროთ

$$\Lambda_1(\Delta)\operatorname{div}\mathbf{u} = \Psi_1, \quad \Lambda_1(\Delta)\varphi_l = \Psi_{l+1}, \quad \Lambda_1(\Delta)p_l = \Psi_{l+3}, \qquad l = 1,2, \tag{4.44}$$

სადაც

$$\Psi_m = \frac{1}{a_0 k_0 \mu_0} \sum_{j=1}^{5} A_{jm}^* \Phi_j\,, \qquad m = 1, 2, 3,4,5 \tag{4.45}$$

და A_{jm}^* არის $\mathbf{A}$ მატრიცის A_{jm} ელემენტის ალგებრული დამატება.

ახლა (4.39)-ის პირველ ტოლობაზე ვიმოქმედოთ $\Lambda_1(\Delta)$ ოპერატორით და გავითვალისწინოთ (4.44) თანაფარდობები. მაშინ მივიღებთ შემდეგ ტოლობას

$$\Lambda_2(\Delta)\mathbf{u} = \widetilde{\boldsymbol{\Psi}}, \tag{4.46}$$

სადაც $\Lambda_2(\Delta) = \Delta\Lambda_1(\Delta)$ და

$$\widetilde{\boldsymbol{\Psi}} = \frac{1}{\mu}\Lambda_1(\Delta)\boldsymbol{\mathcal{F}}' - \frac{1}{\mu}\nabla[(\lambda+\mu)\Psi_1 - b_\alpha \Psi_{\alpha+1} + \beta_\alpha' \Psi_{\alpha+3}]. \tag{4.47}$$

ადვილად ჩანს, რომ (4.44) და (4.46)-ის გაერთიანებით შეგვიძლია დავწეროთ

$$\boldsymbol{\Lambda}(\Delta)\mathbf{U} = \boldsymbol{\Psi}, \tag{4.48}$$

სადაც $\boldsymbol{\Psi} = (\widetilde{\boldsymbol{\Psi}},\ \Psi_2, \Psi_3,\ \Psi_4, \Psi_5)$ შვიდკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა და

$$\boldsymbol{\Lambda} = (\Lambda_{lj})_{7\times 7}, \qquad \Lambda_{11} = \Lambda_{22} = \Lambda_{33} = \Lambda_2, \qquad \Lambda_{44} = \Lambda_{55} = \Lambda_{66} = \Lambda_{77} = \Lambda_1,$$
$$\Lambda_{lj} = 0, \qquad l \neq j, \qquad l, j = 1, 2, \dots, 7. \tag{4.49}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$m_{l1}(\Delta) = -\frac{1}{a_0 k_0 \mu \mu_0}\left[(\lambda+\mu)A_{l1}^*(\Delta) - b_\alpha A_{l;\alpha+1}^*(\Delta) + \beta_\alpha' A_{l;\alpha+3}^*(\Delta)\right],$$

$$m_{lj}(\Delta)=\frac{1}{a_0k_0\mu_0}A^*_{lj}(\Delta),\qquad l=1,2,\dots,5\qquad j=2,3,4,5. \tag{4.50}$$

(4.50)-ის ძალით (4.45) და (4.47)-დან შეგვიძლია დავწეროთ

$$\widetilde{\boldsymbol{\Psi}}=\frac{1}{\mu}\Lambda_1(\Delta)\boldsymbol{\mathcal{F}}'+m_{11}(\Delta)\nabla\mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}'+\sum_{l=2}^{5}m_{l1}(\Delta)\nabla\mathcal{F}_{l+2},$$

$$\Psi_j=m_{1j}(\Delta)\mathrm{div}\boldsymbol{\mathcal{F}}'+\sum_{l=2}^{5}m_{lj}(\Delta)\mathcal{F}_{l+2}\,,\qquad j=2,3,4,5. \tag{4.51}$$

მიღებული (4.51) ტოლობები შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი სახით

$$\boldsymbol{\Psi}=\mathbf{K}^{\mathrm{T}}(\mathbf{D_x})\boldsymbol{\mathcal{F}}, \tag{4.52}$$

სადაც

$$\mathbf{K}(\mathbf{D_x})=\left(K_{lj}(\mathbf{D_x})\right)_{7\times7},\qquad K_{lj}(\mathbf{D_x})=\frac{1}{\mu}\Lambda_1\delta_{lj}+m_{11}(\Delta)\frac{\partial^2}{\partial x_l\partial x_j},$$

$$K_{l;r+2}(\mathbf{D_x})=m_{1r}(\Delta)\frac{\partial}{\partial x_l},\qquad K_{r+2;j}(\mathbf{D_x})=m_{r1}(\Delta)\frac{\partial}{\partial x_j}, \tag{4.53}$$

$$K_{r+2;m+2}(\mathbf{D_x})=m_{rm}(\Delta)\,,\qquad r,m=2,3,4,5.$$

თუ გავითვალისწინებთ (4.40) და (4.48) ტოლობებს (4.52)-ში, ადვილად მივიღებთ

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{K}(\mathbf{D_x})=\boldsymbol{\Lambda}(\Delta). \tag{4.54}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\boldsymbol{\Upsilon}(\mathbf{x})=\left(\Upsilon_{lj}(\mathbf{x})\right)_{7\times7},\qquad \Upsilon_{11}(\mathbf{x})=\Upsilon_{22}(\mathbf{x})=\Upsilon_{33}(\mathbf{x})=\sum_{r=0}^{4}\eta_{2r}\gamma^{(r)}(\mathbf{x})+\eta_{10}\gamma_0'(\mathbf{x}),$$

$$\Upsilon_{44}(\mathbf{x})=\Upsilon_{55}(\mathbf{x})=\Upsilon_{66}(\mathbf{x})=\Upsilon_{77}(\mathbf{x})=\sum_{r=0}^{4}\eta_{1r}\gamma^{(r)}(\mathbf{x}), \tag{4.55}$$

$$\Upsilon_{lj}(\mathbf{x})=0,\qquad l\neq j,\qquad l,j=1,2,\dots,7,$$

სადაც

$$\gamma^{(0)}(\mathbf{x})=-\frac{1}{4\pi|\mathbf{x}|},\qquad \gamma_0'(\mathbf{x})=-\frac{|\mathbf{x}|}{8\pi},\qquad \gamma^{(j)}(\mathbf{x})=-\frac{e^{i\lambda_j|\mathbf{x}|}}{4\pi|\mathbf{x}|}, \tag{4.56}$$

და

$$\eta_{10}=\prod_{l=1}^{4}\lambda_l^{-2},\qquad \eta_{1j}=\lambda_j^{-2}\prod_{l=1;l\neq j}^{4}(\lambda_j^2-\lambda_l^2)^{-1}, \tag{4.57}$$

$$\eta_{20} = \eta_{10} \sum_{l=1}^{4} \lambda_l^{-2}, \qquad \eta_{2j} = \lambda_j^{-4} \prod_{l=1; l\neq j}^{4} (\lambda_j^2 - \lambda_l^2)^{-1}. \qquad j = 1,2,3,4.$$

ამასთანავე, (4.43), (4.49), (4.56) და (4.57)-ზე დაყრდნობით მარტივია დავამტკიცოთ შემდეგი ტოლობა

$$\mathbf{\Lambda}(\Delta)\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x})\mathbf{J}_7, \tag{4.58}$$

ე.ი. $\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x})$ არის $\mathbf{\Lambda}(\Delta)$ ოპერატორის ფუნდამენტური მატრიცა.

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\mathbf{G}(\mathbf{x}) = \mathbf{K}(\mathbf{D_x})\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}). \tag{4.59}$$

ცხადია, (4.54), (4.58) და (4.59) ტოლობების გამოყენებით შეგვიძლია დავწეროთ

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{G}(\mathbf{x}) = \mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{K}(\mathbf{D_x})\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}) = \mathbf{\Lambda}(\Delta)\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x}) = \delta(\mathbf{x})\mathbf{J}_7,$$

ანუ $\mathbf{G}(\mathbf{x})$ არის $\mathbf{M}(\mathbf{D_x})$ ოპერატორის ფუნდამენტური მატრიცა. ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 4.6. $\mathbf{G}(\mathbf{x}) = (G_{lj}(\mathbf{x}))_{7\times 7}$ მატრიცა, რომელიც განსაზღვრულია (4.59) ფორმულით, (4.8) სისტემის ფუნდამენტური ამონახსნია, სადაც $\mathbf{K}(\mathbf{D_x})$ და $\mathbf{\Upsilon}(\mathbf{x})$ შესაბამისად მოცემულია (4.53) და (4.55) თანაფარდობებით.

მაშასადამე, $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცა ავაგეთ შემდეგი 6 ელემენტარული ფუნქციის საშუალებით $\gamma_0'(\mathrm{x})$, $\gamma^{(j)}(\mathrm{x})$, $(j = 0,1,\dots,4)$.

თეორემა 4.6-დან გამომდინარეობს $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცის შემდეგი ძირითადი თვისებები.

თეორემა 4.7. $\mathbf{G}(\mathbf{x})$ მატრიცის თითოეული სვეტი შემდეგი ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნია

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{G}(\mathbf{x}) = \mathbf{0},$$

როცა $\mathbf{x} \in \mathbb{R}^3 \backslash \{\mathbf{0}\}$.

თეორემა 4.8. შემდეგი შეფასებები

$$G_{lj}(\mathbf{x}) = O(|\mathbf{x}|^{-1}), \qquad G_{rm}(\mathbf{x}) = O(|\mathbf{x}|^{-1}), \qquad G_{r+2;m+2}(\mathbf{x}) = O(|\mathbf{x}|^{-1}),$$
$$G_{ls}(\mathbf{x}) = O(1), \qquad G_{sl}(\mathbf{x}) = O(1), \qquad G_{r;m+2}(\mathbf{x}) = O(1),$$
$$G_{r+2;m}(\mathbf{x}) = O(1), \qquad l,j = 1,2,3, \qquad r,m = 4,5, \qquad s = 4,5,6,7$$

სამართლიანია კოორდინატთა სათავის მახლობლობაში.

თეორემა 4.9. მატრიცა $\mathbf{G}^{(0)}(\mathbf{x}) = \left(G_{lj}^{(0)}(\mathbf{x})\right)_{7\times 7}$, რომელიც განსაზღვრულია თანაფარდობებით

$$G_{lj}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{1}{\mu}\left(\Delta\delta_{lj} - \frac{\lambda+\mu}{\mu_0}\frac{\partial^2}{\partial x_l \partial x_j}\right)\gamma_0'(\mathbf{x}) = -\frac{\lambda+3\mu}{8\pi\mu\mu_0}\frac{\delta_{lj}}{|\mathbf{x}|} - \frac{\lambda+\mu}{8\pi\mu\mu_0}\frac{x_l x_j}{|\mathbf{x}|^3},$$

$$G_{44}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{a_2}{a_0}\gamma^{(0)}(\mathbf{x}), \qquad G_{45}^{(0)}(\mathbf{x}) = G_{54}^{(0)}(\mathbf{x}) = -\frac{a_3}{a_0}\gamma^{(0)}(\mathbf{x}),$$

$$G_{55}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{a_1}{a_0}\gamma^{(0)}(\mathbf{x}), \qquad G_{66}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{k_2}{k_0}\,\gamma^{(0)}(\mathbf{x}),$$

$$G_{67}^{(0)}(\mathbf{x}) = G_{76}^{(0)}(\mathbf{x}) = -\frac{k_3}{k_0}\,\gamma^{(0)}(\mathbf{x}), \quad G_{77}^{(0)}(\mathbf{x}) = \frac{k_1}{k_0}\,\gamma^{(0)}(\mathbf{x}), \quad l,j = 1,2,3,$$

შემდეგი სისტემის ფუნდამენტური ამონახსნია

$$\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla\mathrm{div}\mathbf{u} = \mathbf{0}, \qquad a_1\Delta\varphi_1 + a_3\Delta\varphi_2 = 0,\ \ a_3\Delta\varphi_1 + a_2\Delta\varphi_2 = 0,$$

$$k_1\Delta p_1 + k_3\Delta p_2 = 0, \quad k_3\Delta p_1 + k_2\Delta p_2 = 0.$$

თეორემა 4.10. შემდეგი თანაფარდობა

$$G_{lj}(\mathbf{x}) - G_{lj}^{(0)}(\mathbf{x}) = \mathrm{const} + O(|\mathbf{x}|), \qquad l,j = 1,2,\dots,7$$

სამართლიანია კოორდინატთა სათავის მახლობლობაში.

მაშასადამე, თეორემა 4.8 და თეორემა 4.10-ის საფუძველზე $\mathbf{G}^{(0)}(\mathbf{x})$ მატრიცა კოორდინატთა სათავის მახლობლობაში წარმოადგენს (4.8) სისტემის $\mathbf{G}(\mathbf{x})$ ფუნდამენტური მატრიცის სინგულარულ ნაწილს.

4.5. ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალები

ამ პარაგრაფში გამოვიყენებთ $\tilde{\mathbf{Q}}(\mathbf{D}_\mathbf{x},\mathbf{n}) = \left(\tilde{Q}_{lj}(\mathbf{D}_\mathbf{x},\mathbf{n})\right)_{7\times 7}$ მატრიცულ დიფერენციალურ ოპერატორს, რომლის ელემენტები განსაზღვრულია შემდეგნაირად

$$\tilde{Q}_{lj}(\mathbf{D}_\mathbf{x},\mathbf{n}) = Q_{lj}(\mathbf{D}_\mathbf{x},\mathbf{n}), \qquad \tilde{Q}_{l;r+5}(\mathbf{D}_\mathbf{x},\mathbf{n}) = -\beta_r' n_l,$$

$$\tilde{Q}_{ms}(\mathbf{D}_\mathbf{x},\mathbf{n}) = Q_{ms}(\mathbf{D}_\mathbf{x},\mathbf{n}), \qquad l = 1,2,3, \qquad j = 1,2,3,4,5,$$

$$r = 1,2, \qquad m = 4,5,6,7, \qquad s = 1,2,\dots,7, \tag{4.60}$$

სადაც $Q_{lj}(\mathbf{D_x}, \mathbf{n})$ მოცემულია (4.12) ფორმულით.

შემოვიღოთ აღნიშვნა:

1) მარტივი ფენის პოტენციალი

$$\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \int_S \mathbf{G}(\mathbf{x}-\mathbf{y})\mathbf{g}(\mathbf{y})d_{\mathbf{y}}S,$$

2) ორმაგი ფენის პოტენციალი

$$\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \int_S [\widetilde{\mathbf{Q}}(\mathbf{D_y},\mathbf{n}(\mathbf{y}))\mathbf{G}^{\mathrm{T}}(\mathbf{x}-\mathbf{y})]^{\mathrm{T}}\,\mathbf{g}(\mathbf{y})d_{\mathbf{y}}S,$$

3) მოცულობითი პოტენციალი

$$\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x},\boldsymbol{\phi},\Omega^{\pm}) = \int_{\Omega^{\pm}} \mathbf{G}(\mathbf{x}-\mathbf{y})\boldsymbol{\phi}(\mathbf{y})d\mathbf{y},$$

სადაც $\mathbf{G}$ არის $\mathbf{M}(\mathbf{D_x})$ ოპერატორის ფუნდამენტური მატრიცა და წარმოიდგინება (4.59) სახით, $\widetilde{\mathbf{Q}}$ მოიცემა (4.60) ფორმულით, ხოლო $\mathbf{g}$ და $\boldsymbol{\phi}$ შვიდკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციებია.

სამართლიანია შემდეგი თეორემები.

თეორემა 4.11. თუ $S \in C^{r+1,v}, \mathbf{g} \in C^{r,v'}(S), 0 < v' < v \leq 1$ და r არაუარყოფითი მთელი რიცხვია, მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(1)}(.,\mathbf{g}) \in C^{0,v'}(\mathbb{R}^3) \cap C^{r+1,v'}(\Omega^{\pm}) \cap C^{\infty}(\overline{\Omega^{\pm}})$,

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{x} \in \Omega^{\pm}$,

გ) $\mathbf{Q}(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z}))\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g})$ სინგულარული ინტეგრალია, როცა $\mathbf{z} \in S$,

დ) $\{\mathbf{Q}(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g})\}^{\pm} = \mp\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \mathbf{Q}(\mathbf{D_z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}), \quad \boldsymbol{z} \in S, \qquad (4.61)$

ე) $\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = O(|\mathbf{x}|^{-1}), \ \frac{\partial}{\partial x_l}\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = O(|\mathbf{x}|^{-2})$,

როცა $|\mathbf{x}| \gg 1$ და $l = 1,2,3$.

თეორემა 4.12. თუ $S \in C^{r+1,v}, \mathbf{g} \in C^{r,v'}(S), 0 < v' < v \leq 1$, მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(2)}(.,\mathbf{g}) \in C^{r+1,v'}(\overline{\Omega^{\pm}}) \cap C^{\infty}(\Omega^{\pm})$,

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D_x})\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g}) = \mathbf{0}, \quad \mathbf{x} \in \Omega^{\pm}$,

გ) $\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})$ სინგულარული ინტეგრალია, როცა $\mathbf{z}\in S$,

დ) $\left\{\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})\right\}^{\pm}=\pm\dfrac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z})+\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}),\quad \mathbf{z}\in S,$ (4.62)

ე) $\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g})=O(|\mathbf{x}|^{-2}),\ \dfrac{\partial}{\partial x_l}\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x},\mathbf{g})=O(|\mathbf{x}|^{-3}),$

როცა $|\mathbf{x}|\gg 1$ და $l=1,2,3$.

ვ) $\{\mathbf{Q}(\mathbf{D}_\mathbf{z},\mathbf{n}(\mathbf{z}))\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})\}^{+}=\{\mathbf{Q}(\mathbf{D}_\mathbf{z},\mathbf{n}(\mathbf{z})\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g})\}^{-},$

სადაც r არაუარყოფითი მთელი რიცხვია, ხოლო m ნატურალური რიცხვია და $\mathbf{z}\in S$.

თეორემა 4.13. თუ $S\in C^{r+1,v},\boldsymbol{\phi}\in C^{r,v'}(\Omega^{+}),0<v'<v\leq 1$, მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(3)}(\cdot,\boldsymbol{\phi},\Omega^{+})\in C^{1,v'}(\mathbb{R}^3)\cap C^2(\Omega^{+})\cap C^{2,v'}\left(\overline{\Omega_0^{+}}\right)$,

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D}_\mathbf{x})\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x},\boldsymbol{\phi},\Omega^{+})=\boldsymbol{\phi}(\mathbf{x}),\quad \mathbf{x}\in\Omega^{+}$,

სადაც Ω_0^{+} არეა $\mathbb{R}^3$-ში და $\Omega_0^{+}\subset\Omega^{+}$, ხოლო r არაუარყოფითი მთელი რიცხვია.

თეორემა 4.14. თუ $S\in C^{1,v},\mathrm{supp}\boldsymbol{\phi}=\Omega\subset\Omega^{-},\boldsymbol{\phi}\in C^{0,v'}(\Omega^{-}),0<v'<v\leq 1$,მაშინ

ა) $\mathbf{P}^{(3)}(\cdot,\boldsymbol{\phi},\Omega^{-})\in C^{1,v'}(\mathbb{R}^3)\cap C^2(\Omega^{-})\cap C^{2,v'}(\overline{\Omega_0^{-}})$

ბ) $\mathbf{M}(\mathbf{D}_\mathbf{x})\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x},\boldsymbol{\phi},\Omega^{-})=\boldsymbol{\phi}(\mathbf{x}),\quad \mathbf{x}\in\Omega^{-}$,

სადაც Ω არეა $\mathbb{R}^3$-ში და $\overline{\Omega_0^{-}}\subset\Omega^{-}$.

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\mathcal{H}^{(1)}\mathbf{g}(\mathbf{z})=\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z})+\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{H}^{(2)}\mathbf{g}(\mathbf{z})=\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z})+\mathbf{Q}\big(\mathbf{D}_\mathbf{z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{H}^{(3)}\mathbf{g}(\mathbf{z})=-\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z})+\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{H}^{(4)}\mathbf{g}(\mathbf{z})=-\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z})+\mathbf{Q}\big(\mathbf{D}_\mathbf{z},\mathbf{n}(\mathbf{z})\big)\mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z},\mathbf{g}),$$

$$\mathcal{H}_\varsigma\mathbf{g}(\mathbf{z})=\frac{1}{2}\mathbf{g}(\mathbf{z})+\varsigma\mathbf{P}^{(2)}(\mathbf{z},\mathbf{g}),\quad \mathbf{z}\in S, \tag{4.63}$$

სადაც ς კომპლექსური რიცხვია. თეორემა 4.11 და თეორემა 4.12-ის საფუძველზე $\mathcal{H}^{(l)}$ $(l=1,2,3,4)$ და $\mathcal{H}_\varsigma$ სინგულარული ინტეგრალური ოპერატორებია.

თუ $\mathbf{\Gamma}^{(r)}=(\Gamma_{lj}^{(r)})_{7\times 7}$ არის $\mathcal{H}^{(r)}$ $(r=1,2,3,4)$ ოპერატორის სიმბოლო, მაშინ (4.63)-დან გვაქვს

$$\det\mathbf{\Gamma}^{(1)} = \det\mathbf{\Gamma}^{(2)} = -\det\mathbf{\Gamma}^{(3)} = -\det\mathbf{\Gamma}^{(4)}$$
$$= \left(-\frac{1}{2}\right)^7 \left(1 - \frac{\mu^2}{\mu_0^2}\right) = -\frac{(\lambda + 2\mu)^2 - \mu^2\varsigma^2}{128(\lambda + 2\mu)^2} < 0. \qquad (4.64)$$

აქედან გამომდინარე, $\mathcal{H}^{(r)}$ ოპერატორი ნორმალური ტიპისაა, სადაც $r = 1,2,3,4$.

ამასთანავე, თუ $\mathbf{\Gamma}_\varsigma$ და $\mathrm{ind}\mathcal{H}_\varsigma$ შესაბამისად $\mathcal{H}_\varsigma$ ოპერატორის სიმბოლო და ინდექსია, მაშინ შეგვიძლია ვაჩვენოთ

$$\det\mathbf{\Gamma}_\varsigma = -\frac{(\lambda + 2\mu)^2 - \mu^2\varsigma^2}{128(\lambda + 2\mu)^2}$$

და $\det\mathbf{\Gamma}_\varsigma = 0$ კომპლექსური სიბრტყის მხოლოდ ორ ς_1 და ς_2 წერტილში, სადაც

$$\varsigma_1 = -\frac{\lambda + 2\mu}{\mu}, \qquad \varsigma_2 = \frac{\lambda + 2\mu}{\mu}.$$

თუ გავითვალისწინებთ $\det\mathbf{\Gamma}_1 = \det\mathbf{\Gamma}^{(1)}$ ტოლობას, მივიღებთ $\varsigma_j \neq 1$ $(j = 1,2)$ და

$$\mathrm{ind}\mathcal{H}_1 = \mathrm{ind}\mathcal{H}^{(1)} = \mathrm{ind}\mathcal{H}_0 = 0.$$

სრულიად ანალოგიურად გვექნება

$$\mathrm{ind}\mathcal{H}^{(2)} = -\mathrm{ind}\mathcal{H}^{(1)} = 0, \qquad \mathrm{ind}\mathcal{H}^{(3)} = -\mathrm{ind}\mathcal{H}^{(4)} = 0.$$

მაშასადამე, სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი $\mathcal{H}^{(r)}$ $(r = 1,2,3,4)$ ნორმალური ტიპისაა და მისი ინდექსი ნულია. აქედან გამომდინარე, ამ ოპერატორების შესაბამის სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებისთვის სამართლიანია ნეტერის თეორემები.

4.6. არსებობის თეორემები

ამ პარაგრაფში პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დავამტკიცებთ ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულების დრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის მდგრადი რხევის $(K)^+_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ და $(K)^-_{\mathbf{F},\mathbf{f}}$ ძირითადი სასაზღვრო ამოცანების რეგულარული ამონახსნების არსებობის თეორემებს, სადაც $K = I, II$.

თავდაპირველად შევნიშნოთ, რომ თეორემა 4.13 და თეორემა 4.14-ის საფუძველზე მოცულობითი პოტენციალი $\mathbf{P}^{(3)}(\mathbf{x}, \mathbf{F}, \Omega^{\pm})$ არის (4.9) არაერთგვაროვანი განტოლების კერძო ამონახსნი, სადაც $\mathbf{F} \in C^{0,\nu'}(\Omega^{\pm}), 0 < \nu' \leq 1$, ხოლო $\operatorname{supp}\mathbf{F}$ შემოსაზღვრული არეა Ω^{-} -ში. რის გამოც, საკმარისია დავამტკიცოთ $(K)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ და $(K)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანების რეგულარული ამონახსნების არსებობის თეორემები, სადაც $K = I, II$.

ამოცანა $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი ორმაგი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x}, \mathbf{g}), \tag{4.64}$$

სადაც $\mathbf{g}$ შვიდკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა და $\mathbf{x} \in \Omega^{+}$.

თეორემა 4.12-ის საფუძველზე, ვექტორ-ფუნქცია $\mathbf{U}$ შემდეგი ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნია

$$\mathbf{M}(\mathbf{D}_{\mathbf{x}})\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{0}, \tag{4.65}$$

როცა $\mathbf{x} \in \Omega^{+}$. თუ გავითვალისწინებთ (4.13) სასაზღვრო პირობას და (4.62) იგივეობას, მაშინ (4.64)-დან მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{H}^{(1)}\mathbf{g}(\boldsymbol{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{4.66}$$

სადაც $\mathbf{g}$ უცნობი ვექტორ-ფუნქციაა და $\boldsymbol{z} \in S$. დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის (4.66) განტოლება ყოველთვის ამოხსნადია.

ცხადია, (4.66)-ის შესაბამისი მიკავშირებული ერთგვაროვანი განტოლება ჩაიწერება შემდეგი ფორმით

$$\mathcal{H}^{(2)}\mathbf{h}(\boldsymbol{z}) = \mathbf{0}, \tag{4.67}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$, ხოლო $\mathbf{h}$ შვიდკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა. ვაჩვენოთ, რომ (4.67)-ს აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი.

ვთქვათ, $\mathbf{h}_0$ არის (4.67) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი. თეორემა 4.11-ის და (4.67) ტოლობის საფუძველზე ვექტორ-ფუნქცია $\mathbf{V}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{h_0})$ იქნება $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი. როგორც ვიცით, თეორემა 4.5-ის ძალით $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, ე.ი.

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}, \qquad \mathbf{x} \in \Omega^{-}. \tag{4.68}$$

ამასთანავე, თეორემა 4.11-ის და (4.68) ტოლობის გამოყენებით მივიღებთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} = \mathbf{0},$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$. აქედან გამომდინარე, $\mathbf{V}(\mathbf{x})$ ვექტორი $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნია და თეორემა 4.3-ის ძალით ვღებულობთ

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) \equiv \mathbf{0}, \qquad \mathbf{x} \in \Omega^{+}. \tag{4.69}$$

თუ გავითვალისწინებთ (4.61), (4.68) და (4.69) ფორმულებს, შეგვიძლია დავწეროთ

$$\mathbf{h_0}(\mathbf{z}) = \{\mathbf{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} - \{\mathbf{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0},$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

მაშასადამე, (4.67) განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ნეტერის თეორემის საფუძველზე (4.66) არაერთგვაროვანი განტოლება ყოველთვის ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის. ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 4.15. თუ $S \in C^{2,\nu}, \mathbf{f} \in C^{1,\nu'}(S), 0 < \nu' < \nu \le 1$, მაშინ არსებობს $(I)^{+}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი, რომელიც ერთადერთია და წარმოიდგინება (4.64) ორმაგი ფენის პოტენციალის სახით, სადაც $\mathbf{g}$ არის (4.66) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ყოველთვის ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის.

ამოცანა $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი მარტივი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{h}), \tag{4.70}$$

სადაც $\mathbf{h}$ შვიდკომპონენტიანი ვექტორ-ფუნქციაა და $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. თეორემა 4.11-ის ძალით $\mathbf{U}$ ვექტორ-ფუნქცია (4.65) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნია, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. თუ გამოვიყენებთ (4.16) სასაზღვრო პირობას და (4.61) იგივეობას, მაშინ (4.70)-დან უცნობი $\mathbf{h}$ ვექტორისთვის მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{H}^{(2)}\mathbf{h}(\mathbf{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{4.71}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

თეორემა 4.15-ში ვაჩვენეთ, რომ (4.71)-ის შესაბამის (4.67) ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. აქედან გამომდინარე, ნეტერის თეორემის ძალით (4.71) ინტეგრალური განტოლება ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის. მაშასადამე, სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 4.16. თუ $S \in C^{2,\nu}, \mathbf{f} \in C^{0,\nu'}(S), 0 < \nu' < \nu \leq 1$, მაშინ $(II)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს, იგი ერთადერთია და წარმოიდგინება (4.70) მარტივი ფენის პოტენციალის სახით, სადაც $\mathbf{h}$ არის (4.71) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის.

ამოცანა $(I)^{-}_{\mathbf{0},\mathbf{f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალების ჯამის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{g}) + \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x}, \mathbf{g}), \tag{4.72}$$

სადაც $\mathbf{g}$ შვიდკომპონენტიანი უცნობი ვექტორ-ფუნქციაა და $\mathbf{x} \in \Omega^{-}$.

ცხადია, თეორემა 4.11 და თეორემა 4.12-ის ძალით $\mathbf{U}$ ვექტორ-ფუნქცია (4.65) ერთგვაროვანი განტოლების რეგულარული ამონახსნია, როცა $\mathbf{x} \in \Omega^{-}$. თუ გავითვალისწინებთ (4.15) სასაზღვრო პირობას და (4.62) ფორმულას, მაშინ უცნობი $\mathbf{g}$ ვექტორ-ფუნქციისათვის (4.72)-დან მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{H}^{(5)}\mathbf{g}(\mathbf{z}) \equiv \mathcal{H}^{(3)}\mathbf{g}(\mathbf{z}) + \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{z}, \mathbf{g}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{4.73}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის (4.73) განტოლება ყოველთვის ამოხსნადია. მართლაც, მარტივი საჩვენებელია, რომ $\mathcal{H}^{(5)}$ ნორმალური ტიპის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორია და $\operatorname{ind} \mathcal{H}^{(5)} = \operatorname{ind} \mathcal{H}^{(3)} = 0$. ჯერ ვაჩვენოთ, რომ

$$\mathcal{H}^{(5)}\mathbf{g}_{\mathbf{0}}(\mathbf{z}) = \mathbf{0} \tag{4.74}$$

ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი, სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

ვთქვათ, $\mathbf{g}_0$ არის (4.74) ერთგვაროვანი განტოლების ამონახსნი. მაშინ

$$\mathbf{V}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{g}_0) + \mathbf{P}^{(2)}(\mathbf{x}, \mathbf{g}_0) \tag{4.75}$$

ვექტორი იქნება $(I)^{-}_{\mathbf{0,0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი და თეორემა 4.5-ის ძალით მივიღებთ (4.68) ტოლობას.

ამასთანავე, (4.61), (4.62) და (4.75) ტოლობების გამოყენებით შეგვიძლია დავწეროთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} - \{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} = \mathbf{g}_0(\boldsymbol{z}), \tag{4.76}$$

$$\{\mathbf{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} - \{\mathbf{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{-} = -\mathbf{g}_0(\boldsymbol{z}),$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$. თუ გავითვალისწინებთ (4.68)-ს (4.76) თანაფარდობებს მივიღებთ

$$\{\mathbf{Q}(\mathbf{D_z}, \mathbf{n})\mathbf{V}(\mathbf{z}) + \mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0}, \tag{4.77}$$

როცა $\boldsymbol{z} \in S$.

ცხადია, $\mathbf{V}$ ვექტორი (4.65) განტოლების ამონახსნია Ω^{+}-ში და აკმაყოფილებს (4.77) ერთგვაროვან სასაზღვრო პირობას. ახლა გამოვიყენოთ (4.18) იგივეობები $\mathbf{U} = \mathbf{U}' = \mathbf{V}$ ვექტორისთვის და მივიღებთ

$$\{\mathbf{V}(\mathbf{z})\}^{+} = \mathbf{0}, \tag{4.78}$$

როცა $\boldsymbol{z} \in S$. ბოლოს, (4.68) და (4.78)-ის ძალით (4.76)-დან გვაქვს $\mathbf{g}_0(\boldsymbol{z}) \equiv \mathbf{0}$, სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

მაშასადამე, (4.74) ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი. ნეტერის თეორემის საფუძველზე (4.73) ინტეგრალური განტოლება ყოველთვის ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის. ამით დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 4.17. თუ $S \in C^{2,\nu}, \mathbf{f} \in C^{1,\nu'}(S), 0 < \nu' < \nu \leq 1$, მაშინ $(I)^{-}_{\mathbf{0,f}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს, იგი ერთადერთია და წარმოიდგინება (4.72) მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალის ჯამის სახით, სადაც $\mathbf{g}$ არის (4.73) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი, რომელიც ამოხსნადია ნებისმიერი $\mathbf{f}$ ვექტორისთვის.

ამოცანა $(II)^{+}_{\mathbf{0,f}}$. ვეძებოთ ამ ამოცანის რეგულარული ამონახსნი მარტივი ფენის პოტენციალის სახით

$$\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{P}^{(1)}(\mathbf{x}, \mathbf{g}), \tag{4.79}$$

სადაც $\mathbf{g}$ შვიდკომპონენტიანი უცნობი ვექტორ-ფუნქცია და $\mathbf{x} \in \Omega^+$. თუ გავითვალისწინებთ (4.62) ფორმულას და (4.14) სასაზღვრო პირობას, მაშინ $\mathbf{g}$ ვექტორის მიმართ მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\mathcal{H}^{(4)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \mathbf{f}(\mathbf{z}), \tag{4.80}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$. განვიხილოთ შესაბამისი ერთგვაროვანი განტოლება

$$\mathcal{H}^{(4)}\mathbf{g}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \tag{4.81}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$. ცხადია, (4.81)-ის მიკავშირებულ ერთგვაროვან განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\mathcal{H}^{(3)}\mathbf{h}(\mathbf{z}) = \mathbf{0}, \tag{4.82}$$

სადაც $\boldsymbol{z} \in S$.

სამართლიანია შემდეგი ლემა.

ლემა 4.3. (4.81) და (4.82) ერთგვაროვან განტოლებებს აქვთ ექვსი წრფივად დამოუკიდებელი ამონახსნი, რომლებიც ქმნიან ამონახსნთა სრულ სისტემას.

ლემა 4.3 მტკიცდება ლემა 2.4-ის ანალიგიურად.

თეორემა 4.4-ის საფუძველზე შემოვიღოთ შემდეგი შვიდკომპონენტიანი ვექტორები:

$$\boldsymbol{\vartheta}^{(1)} = (1,0,0,0,0,0,0), \qquad \boldsymbol{\vartheta}^{(2)} = (0,1,0,0,0,0,0), \qquad \boldsymbol{\vartheta}^{(3)} = (0,0,1,0,0,0,0),$$
$$\boldsymbol{\vartheta}^{(4)} = (0,-x_3,x_2,0,0,0,0), \qquad \boldsymbol{\vartheta}^{(5)} = (x_3,0,-x_1,0,0,0,0),$$
$$\boldsymbol{\vartheta}^{(6)} = (-x_2,x_1,0,0,0,0,0). \tag{4.83}$$

ცხადია, $\{\boldsymbol{\vartheta}^{(j)}(\mathbf{x})\}_{j=1}^{6}$ წრფივად დამოუკიდებელ ვექტორთა სისტემაა. თეორემა 4.12-ის ძალით ყოველი $\boldsymbol{\vartheta}^{(j)}(\mathbf{x})$ ვექტორი $(II)^+_{\mathbf{0},\mathbf{0}}$ ამოცანის რეგულარული ამონახსნია და ასევე, ამონახსნია (4.82) ერთგვაროვანი სინგულარული ინტეგრალური განტოლების. აქედან გამომდინარე, ჩვენ გაქვს

$$\mathbf{M}(\mathbf{D_x})\boldsymbol{\vartheta}^{(j)}(\mathbf{x}) = \mathbf{0}, \qquad \mathbf{x} \in \Omega^+,$$
$$\left\{\mathbf{Q}(\mathbf{D_z},\mathbf{n})\boldsymbol{\vartheta}^{(j)}(\mathbf{x})\right\}^+ = \mathbf{0}, \qquad \mathcal{H}^{(3)}\boldsymbol{\vartheta}^{(j)}(\mathbf{x}) = \mathbf{0}, \quad \boldsymbol{z} \in S, \qquad j = 1,2,\dots,6.$$

რადგან $\{\boldsymbol{\vartheta}^{(j)}(\mathbf{x})\}_{j=1}^{6}$ არის (4.82)-ის წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა სრული სისტემა, ამიტომ ნეტერის თეორემის საფუძველზე (4.80) ინტეგრალური

განტოლების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა ჩაიწერება შემდეგი ფორმით

$$\int\limits_S \mathbf{f}(\boldsymbol{z})\cdot\boldsymbol{\vartheta}^{(j)}(\mathbf{z})d_{\boldsymbol{z}}S=0,\qquad j=1,2,\dots,6, \tag{4.84}$$

სადაც $\boldsymbol{\vartheta}^{(j)}$ განსაზღვრულია (4.83)-ით.

თუ $\mathbf{f}=(f_1,f_2,\dots,f_7)$ და $\mathbf{f}^{(0)}=(f_1,f_2,f_3)$, მაშინ (4.83)-ის საფუძველზე (4.84) თანაფარდობა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\int\limits_S \mathbf{f}^{(0)}(\boldsymbol{z})d_{\boldsymbol{z}}S=\mathbf{0},\qquad \int\limits_S \boldsymbol{z}\times\mathbf{f}^{(0)}(\boldsymbol{z})d_{\boldsymbol{z}}S\;=\mathbf{0}. \tag{4.85}$$

მაშასადამე, დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა.

თეორემა 4.18. თუ $S\in\ C^{2,\nu},\mathbf{f}\in C^{0,\nu'}(S),0<\nu'<\nu\leq 1$, მაშინ $(II)^+_{\mathbf{0},\mathbf{f}}$ ამოცანა ამოხსნადია მხოლოდ მაშინ, როცა შესრულებულია (4.85) პირობა. ამ შემთხვევაში ამოცანის ამონახსნი წარმოიდგინება (4.79) მარტივი ფენის პოტენციალის სახით და განსაზღვრულია $\widetilde{\mathbf{U}}=(\tilde{\mathbf{u}},\tilde{\varphi}_1,\tilde{\varphi}_2,\tilde{p}_1,\tilde{p}_2)$ შესაკრები ვექტორის სიზუსტით, სადაც $\mathbf{g}$ არის (4.80) სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამონახსნი და

$$\tilde{\mathbf{u}}(\mathbf{x})=\tilde{\boldsymbol{a}}+\tilde{\boldsymbol{b}}\times\mathbf{x},\qquad \tilde{\varphi}_l(\mathbf{x})=\tilde{p}_l\,(\mathbf{x})\equiv\mathbf{0},\qquad \mathbf{x}\in\Omega^+,\qquad l=1,2,$$

ხოლო $\tilde{\boldsymbol{a}}$ და $\tilde{\boldsymbol{b}}$ ნებისმიერი სამკომპონენტიანი მუდმივი ვექტორებია.

თავი 5. ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის ბმული კვაზისტატიკის თეორიის ამოცანები

5.1. ძირითადი განტოლებები

ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულების თერმოდრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის განტოლებები ეფუძნება ერთმანეთთან დაკავშირებულ ექვსი ტიპის შემდეგ თანაფარდობებს:

1. **წონასწორობის განტოლებები**

$$\hat{t}_{lj,j} = -\rho \hat{F}'_l, \qquad \hat{\sigma}^{(1)}_{j,j} + \hat{\xi}^{(1)} = -\rho \hat{s}_1, \qquad \hat{\sigma}^{(2)}_{j,j} + \hat{\xi}^{(2)} = -\rho \hat{s}_2, \qquad l = 1,2,3, \tag{5.1}$$

სადაც $\hat{\sigma}^{(1)}_j$, $\hat{\xi}^{(1)}, \hat{s}_1$ და $\hat{\sigma}^{(2)}_j$, $\hat{\xi}^{(2)}, \hat{s}_2$ $(j = 1,2,3)$ არის სხეულის მაწონასწორებელი ძალის კომპონენტი, შიგა წონასწორობის ძალა, გარე მაწონასწორებელი მოცულობითი ძალა შესაბამისად ფორებისა და ბზარების ქსელებისათვის,

$$\hat{\xi}^{(1)} = -b_1 \hat{e}_{rr} - \alpha_1 \hat{\varphi}_1 - \alpha_3 \hat{\varphi}_2 + m_1 \hat{p}_1 + m_3 \hat{p}_2 + \varepsilon_1 \hat{\theta},$$
$$\hat{\xi}^{(2)} = -b_2 \hat{e}_{rr} - \alpha_3 \hat{\varphi}_1 - \alpha_2 \hat{\varphi}_2 + m_3 \hat{p}_1 + m_2 \hat{p}_2 + \varepsilon_2 \hat{\theta}. \tag{5.2}$$

2. **ძირითადი განტოლებები**

$$\hat{t}_{lj} = 2\mu \hat{e}_{lj} + \lambda \hat{e}_{rr} \delta_{lj} + \left(b_\alpha \hat{\varphi}_\alpha - \beta_\alpha \hat{p}_\alpha - \varepsilon_0 \hat{\theta}\right)\delta_{lj},$$
$$\hat{\sigma}^{(1)}_l = a_1 \hat{\varphi}_{1,l} + a_3 \hat{\varphi}_{2,l}, \qquad \hat{\sigma}^{(2)}_j = a_3 \hat{\varphi}_{1,l} + a_2 \hat{\varphi}_{2,l},$$
$$\rho \hat{\eta} = \varepsilon_0 \hat{e}_{rr} + \varepsilon_\alpha \hat{\varphi}_\alpha + \varepsilon_{\alpha+2} \hat{p}_\alpha + a\hat{\theta}, \qquad l, j = 1,2,3, \tag{5.3}$$

სადაც $\hat{\eta}$ ენტროპიაა, $\hat{e}_{lj}$ დეფორმაციის ტენზორის კომპონენტია და განსაზღვრულია (2.3) ფორმულით, ხოლო a სხეულის სითბოტევადობაა.

3. **სითხის მასის შენახვის განტოლება**

$$\hat{v}^{(1)}_{j,j} + \dot{\hat{\zeta}}_1 + \beta_1 \dot{\hat{e}}_{rr} + \gamma_0 (\hat{p}_1 - \hat{p}_2) = 0,$$
$$\hat{v}^{(2)}_{j,j} + \dot{\hat{\zeta}}_2 + \beta_2 \dot{\hat{e}}_{rr} - \gamma_0 (\hat{p}_1 - \hat{p}_2) = 0, \tag{5.4}$$

სადაც $\hat{\mathbf{v}}^{(1)} = \left(\hat{v}_1{}^{(1)}, \hat{v}_2{}^{(1)}, \hat{v}_3{}^{(1)}\right)$ და $\hat{\mathbf{v}}^{(2)} = \left(\hat{v}_1{}^{(2)}, \hat{v}_2{}^{(2)}, \hat{v}_3{}^{(2)}\right)$ სითხის ნაკადის ვექტორებია შესაბამისად ფორებსა და ბზარებში, γ_0 სითხის შიდა გადაადგილების (გაჟონვის) კოეფიციენტია, რომელიც განსაზღვრავს სითხის მოძრაობას ფორებსა და ბზარებში, $\gamma_0 \geq 0$,

$$\hat{\zeta}_1 = \gamma_1\hat{p}_1 + \gamma_3\hat{p}_2 + m_1\hat{\varphi}_1 + m_3\hat{\varphi}_2 + \varepsilon_3\hat{\theta},$$
$$\hat{\zeta}_2 = \gamma_3\hat{p}_1 + \gamma_2\hat{p}_2 + m_3\hat{\varphi}_1 + m_2\hat{\varphi}_2 + \varepsilon_4\hat{\theta}. \qquad (5.5)$$

4. დარსის კანონი ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულებისთვის

$$\hat{\mathbf{v}}^{(1)} = -\frac{\kappa_1'}{\mu'}\nabla\hat{p}_1 - \frac{\kappa_3'}{\mu'}\nabla\hat{p}_2 - \rho_1\hat{\mathbf{s}}_3,$$
$$\hat{\mathbf{v}}^{(2)} = -\frac{\kappa_3'}{\mu'}\nabla\hat{p}_1 - \frac{\kappa_2'}{\mu'}\nabla\hat{p}_2 - \rho_2\hat{\mathbf{s}}_4, \qquad (5.6)$$

სადაც κ_j' $(j = 1,2,3)$ ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულის შიგა მაკროსკოპული გამტარიანობაა; ρ_1, $\hat{\mathbf{s}}_3$ და ρ_2, $\hat{\mathbf{s}}_4$ არის სითხის სიმკვრივე, გარე ძალა შესაბამისად ფორებისა და ბზარებისთვის, ხოლო $b_l, \beta_l, m_j, a_j, \alpha_j, \gamma_j, \varepsilon_0, \varepsilon_1, \dots, \varepsilon_4$ $(l = 1,2, j = 1,2,3)$ მასალის ძირითადი მუდმივებია.

5. ფურიეს სითბოგამტარობის კანონი

$$\hat{\mathbf{q}} = -\kappa\nabla\hat{\theta}, \qquad (5.7)$$

სადაც $\hat{\mathbf{q}}$ სითბოს ნაკადის ვექტორია, ხოლო κ ფოროვანი მასალის თბოგამტარობაა.

6. სითბოს გადაცემის განტოლება

$$\operatorname{div}\hat{\mathbf{q}} = -T_0\dot{\hat{\eta}} + \rho\hat{s}_5, \qquad (5.8)$$

სადაც $\hat{s}_5$ სითბოს წყაროა.

თუ გავითვალისწინებთ (2.3), (5.2), (5.3), (5.5)-(5.7) ტოლობებს (5.1), (5.4) და (5.8) თანაფარდობებში, მივიღებთ ორგვარი ფოროვნობის მქონე მასალების თერმოდრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის განტოლებათა შემდეგ სისტემას ჩაწერილს $\hat{\mathbf{u}}$ გადაადგილების ვექტორის, $\hat{\varphi}_1$, $\hat{\varphi}_2$ ფორების ფარდობითი მოცულობის, $\hat{p}_1$, $\hat{p}_2$ სითხის წნევისა და $\hat{\theta}$ ტემპერატურის ცვლილების მიმართ:

$$\mu\Delta\hat{\mathbf{u}} + (\lambda+\mu)\nabla\operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + b_\alpha\nabla\varphi_\alpha - \beta_\alpha\nabla p_\alpha - \varepsilon_0\nabla\hat{\theta} = -\rho\hat{\mathbf{F}}',$$
$$a_1\Delta\hat{\varphi}_1 + a_3\Delta\hat{\varphi}_2 - \alpha_1\hat{\varphi}_1 - \alpha_3\hat{\varphi}_2 - b_1\operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + m_1\hat{p}_1 + m_3\hat{p}_2 + \varepsilon_1\hat{\theta} = -\rho\hat{s}_1, \qquad (5.9)$$
$$a_3\Delta\hat{\varphi}_1 + a_2\Delta\hat{\varphi}_2 - \alpha_3\hat{\varphi}_1 - \alpha_2\hat{\varphi}_2 - b_2\operatorname{div}\hat{\mathbf{u}} + m_3\hat{p}_1 + m_2\hat{p}_2 + \varepsilon_2\hat{\theta} = -\rho\hat{s}_2,$$
$$k_1\Delta\hat{p}_1 + k_3\Delta\hat{p}_2 - \gamma_1\dot{\hat{p}}_1 - \gamma_3\dot{\hat{p}}_2 - \beta_1\operatorname{div}\dot{\hat{\mathbf{u}}} - m_1\dot{\hat{\varphi}}_1 - m_3\dot{\hat{\varphi}}_2 - \varepsilon_3\dot{\hat{\theta}} - \gamma_0(\hat{p}_1 - \hat{p}_2)$$
$$= -\rho_1\operatorname{div}\hat{\boldsymbol{s}}_{\mathbf{3}},$$
$$k_3\Delta\hat{p}_1 + k_2\Delta\hat{p}_2 - \gamma_3\dot{\hat{p}}_1 - \gamma_2\dot{\hat{p}}_2 - \beta_2\operatorname{div}\dot{\hat{\mathbf{u}}} - m_3\dot{\hat{\varphi}}_1 - m_2\dot{\hat{\varphi}}_2 - \varepsilon_3\dot{\hat{\theta}} + \gamma_0(\hat{p}_1 - \hat{p}_2)$$
$$= -\rho_2\operatorname{div}\hat{\boldsymbol{s}}_{\mathbf{4}},$$

$$\kappa\Delta\dot{\hat{\theta}} - T_0\left(a\dot{\hat{\theta}} + \varepsilon_0 \operatorname{div}\dot{\hat{\mathbf{u}}} + \varepsilon_\alpha \dot{\hat{\varphi}}_\alpha + \varepsilon_{\alpha+2}\dot{\hat{p}}_\alpha\right) = -\rho s_5,$$

სადაც $k_j = \frac{\kappa_j}{\mu_j}$ $(j = 1,2,3)$.

თუ $\hat{u}_j, \hat{F}_j, \hat{\varphi}_l, \hat{p}_l, \hat{s}_l, \hat{\mathbf{s}}_{l+2}, \hat{s}_5, \hat{\theta}$ $(l = 1,2, j = 1,2,3)$ ფუნქციები დროის პარამეტრზე ჰარმონიულადაა დამოკიდებული, ანუ

$$\{\hat{u}_j, \hat{F}_j, \hat{\varphi}_l, \hat{p}_l, \hat{s}_l, \hat{\mathbf{s}}_{l+2}, \hat{s}_5, \hat{\theta}\}(\mathbf{x}, t) = \operatorname{Re}[\{u_j, F_j, \varphi_l, p_l, s_l, \mathbf{s}_{l+2}, s_5, \theta\}(\mathbf{x})\, e^{-i\omega t}],$$

მაშინ (5.9)-დან მივიღებთ ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულების თერმოდრეკადობის ბმული წრფივი კვაზისტატიკის თეორიის მდგრადი რხევის განტოლებათა შემდეგ სისტემას:

$$\begin{aligned}
&\mu\Delta\mathbf{u} + (\lambda+\mu)\nabla\operatorname{div}\mathbf{u} + b_\alpha\nabla\varphi_\alpha - \beta_\alpha\nabla p_\alpha - \varepsilon_0\nabla\theta = -\rho\boldsymbol{F}',\\
&(a_1\Delta - \alpha_1)\varphi_1 + (a_3\Delta - \alpha_3)\varphi_2 - b_1\operatorname{div}\mathbf{u} + m_1 p_1 + m_3 p_2 + \varepsilon_1\theta = -\rho s_1,\\
&(a_3\Delta - \alpha_3)\varphi_1 + (a_2\Delta - \alpha_2)\varphi_2 - b_2\operatorname{div}\mathbf{u} + m_3 p_1 + m_2 p_2 + \varepsilon_2\theta = -\rho s_2,\\
&(k_1\Delta + \gamma_1')p_1 + (k_3\Delta + \gamma_3')p_2 + \beta_1'\operatorname{div}\mathbf{u} + m_1'\varphi_1 + m_3'\varphi_2 + \varepsilon_3'\theta = -\rho_1\operatorname{div}\boldsymbol{s}_3,\\
&(k_3\Delta + \gamma_3')p_1 + (k_2\Delta + \gamma_2')p_2 + \beta_2'\operatorname{div}\mathbf{u} + m_3'\varphi_1 + m_2'\varphi_2 + \varepsilon_4'\theta = -\rho_2\operatorname{div}\boldsymbol{s}_4,\\
&(\kappa\Delta + a')\theta + \varepsilon_0'\operatorname{div}\mathbf{u} + \varepsilon_\alpha'\varphi_\alpha + \varepsilon_{\alpha+2}'T_0 p_\alpha = -\rho s_5,
\end{aligned}\tag{5.10}$$

სადაც $\mathbf{u} = (u_1, u_2, u_3)$, $\boldsymbol{F}' = (F_1', F_2', F_3')$, ω რხევის სიხშირეა, $\omega > 0$, $\beta_l' = i\omega\beta_l$, $a' = i\omega a T_0$, $m_j' = i\omega m_j$, $\varepsilon_{j-1}' = i\omega\varepsilon_{j-1}T_0$, $\varepsilon_{l+2}' = i\omega\varepsilon_{l+2}$, $\gamma_l' = i\omega\gamma_l - \gamma_0$, $\gamma_3' = i\omega\gamma_3 + \gamma_0$ $(l = 1,2,\ j = 1,2,3)$.

შემოვიღოთ მეორე რიგის მუდმივკოეფიციენტებიანი მატრიცულ დიფერენციალური ოპერატორი:

$$\boldsymbol{\mathcal{M}}(\mathbf{D_x}) = \left(\mathcal{M}_{lj}(\mathbf{D_x})\right)_{8\times 8}, \quad \mathcal{M}_{lj} = \mu\Delta\delta_{lj} + (\lambda+\mu)\frac{\partial^2}{\partial x_l \partial x_j},$$

$$\mathcal{M}_{l;r+3} = -\mathcal{M}_{r+3;l} = b_r\frac{\partial}{\partial x_l}, \quad \mathcal{M}_{l;r+5} = -\beta_r\frac{\partial}{\partial x_l}, \ \ \mathcal{M}_{l8} = -\varepsilon_0\frac{\partial}{\partial x_l},$$

$$\mathcal{M}_{44} = a_1\Delta - \alpha_1, \quad \mathcal{M}_{45} = \mathcal{M}_{54} = a_3\Delta - \alpha_3, \ \ \mathcal{M}_{55} = a_2\Delta - \alpha_2\,,$$

$$\mathcal{M}_{46} = m_1, \quad \mathcal{M}_{47} = \mathcal{M}_{56} = m_3, \quad \mathcal{M}_{57} = m_2, \quad \mathcal{M}_{r+3;8} = \varepsilon_r, \ \ \mathcal{M}_{r+5;l} = \beta_r'\frac{\partial}{\partial x_l},$$

$$\mathcal{M}_{64} = m_1', \quad \mathcal{M}_{65} = \mathcal{M}_{74} = m_3', \quad \mathcal{M}_{75} = m_2', \ \ \mathcal{M}_{66} = k_1\Delta + \gamma_1',$$

$$\mathcal{M}_{67} = \mathcal{M}_{76} = k_3\Delta + \gamma_3', \quad \mathcal{M}_{77} = k_2\Delta + \gamma_2', \quad \mathcal{M}_{r+5;8} = \varepsilon_{r+2}',$$

$$\mathcal{M}_{8l} = \varepsilon_0'\frac{\partial}{\partial x_l}, \quad \mathcal{M}_{8;r+3} = \varepsilon_r', \ \ \mathcal{M}_{8;r+5} = \varepsilon_{r+2}'T_0, \ \ \mathcal{M}_{88} = \kappa\Delta + a',$$

$$l, j = 1,2,3, \quad r = 1,2.$$

ცხადია, (5.10) სისტემა შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\boldsymbol{\mathcal{M}}(\mathbf{D_x})\mathbf{U}(\mathbf{x}) = \mathbf{F}(\mathbf{x}), \tag{5.11}$$

